პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 იანვარი ოთხშაბათი 2010
№ 020 (13 008) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დავით მუჯირი: ლოკომოტივს ვუჩივლებ!

## ნიკოლაი ნაუმოვი: მას არ უნდა ვარჯიში, მაგრამ პრივილეგიებს კი ითხოვს



» გვერდი 4



ჩისამბა ლუნგუ

## პრეცედენტი: აფრიკელმა საქართველოს ნაკრების ფორმა მოირგო!

» გვერდი 3



გიორგი მერებაშვილი

ამხანაგური მატჩები

## ზესტაფონმა ავსტრია, დინამომ ზარია...



» გვერდი 2-3



## მადა ჭამაში მოდის

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან » გვერდი 12

# მშვიდობით!




ენდი როდიკი

## როდიკმა სახლი გაიჩილიჩა, ჩემპიონმა ტიტული დათმო...



რაფაელ ნადალი

» გვერდი 16

ერთიანი ბიბლიოთეკა

საკონტროლო მატჩები

# სუსხიანი გამარჯვება

...თუ არ ვცდებით, ორი წლის წინათ იყო, რომ „წავიწუწუნეთ": „ეს რა უბედურებაა, დეკემბერსა და თებერვალში ჩვენს სტადიონებზე ბურთაობა ვის გაუგიაო". კლიმატურ პირობებსა და ჩვენი მოედნების კატასტროფულ მდგომარეობას ვგულისხმობდით - წვიმა-თოვლისგან ატალახებულ თუ გადათოვლილ მინდვრებზე ხეირიანად ბურთს რომ ვერავინ გააგორებდა. ან, რა - გუშინ ნაკლები სუსხი იყო? ერთი ეგ არის, ფეხბურთელები მინდვრის საფრის ხარისხით ვერ დაიწუწუნებდნენ - უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, თუ როგორ იდეალურ მდგომარეობაშია რუსთავის „ფოლადის" ხელოვნურსაფრიანი მოედანი. აი, ტრიბუნებზე კი... ჯდომა კი არა, რამდენიმე წუთით ფეხზე დადგომაც „გმირობის ტოლფასი" იყო...

თუმცა ვინც მართლა გაუძლო და ბოლომდე უცქირა „ოლიმპი"-"ლოკომოტივის" საკონტროლო შეხვედრას, ალბათ, არც ინანებდა. რა თქმა უნდა, არც არავინ ველოდით, რომ ორივე გუნდი ლამაზ სანახაობას შემოგვთავაზებდა; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ორივე გუნდის მწვრთნელები - გამოცდილი **თემურ მახარაძე** და მისი ახალგაზრდა კოლეგა **გელა სანაია** ჯერ კიდევ ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში არიან. არ დაგვავიწყდეს კიდევ ორი მნიშვნელოვანი ნიუანსიც: პირველი, რაღა თქმა უნდა, დატვირთვებია, ფეხბურთელები მოსამზადებელ ეტაპზე რომ იღებენ და ზოგიერთი კონკრეტული მოთამაშე „მძიმედ" თუ გამოიყურებოდა, ამის გამოც იყო.

მეორე ფაქტორი კი, ფეხბურთელების ერთმანეთთან შეუთამაშებლობა იყო და ეს უფრო მასპინძლებზე ითქმოდა. ყოველ შემთხვევაში პირველ ტაიმში ერთი-ორი კი არა, ერთბაშად რამდენჯერმე იყო ისეთი მომენტი, „ოლიმპის" ფეხბურთელები ერთმანეთს რომ ვერ უგებდნენ. თემურ მახარაძემ მოედანზე ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა: გუნდის პოტენციურ ახალწვეულზე (ნიგერიელებზე - **ოლუჩესა და ოკეჩუკვუზე**) დაკვირვება კვლავაც გრძელდება; ტრავმა აწუხებს აქვსენტი გილაურს, ხოლო ანდერსონ **აკინო** და **ფრაგა** ბრაზილიიდან ახალი დაბრუნებულები არიან და, აქედან გამომდინარე, გუშინდელ მატჩში მათ ხილვას არც ველოდით.

...მატჩი „ოლიმპის" შეტევებით დაიწყო და საწყის ხუთ წუთში მასპინძლებს ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შეექმნათ: **დავით იმედაშვილისა** და **გიორგი ხიდეშელის** დარტყმები ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ყოველივე ამას „ლოკომოტივის" ახალგაზრდულ გუნდზე დამთრგუნველად არ უმოქმედია და გელა სანაიას შეგირდებმა, ფაქტობრივად, ტოლი არ დაუდეს ფავორიტ მასპინძლებს. ეგ კი არა, პირველი ტაიმის შუაგულისთვის „ლოკომოტივი" უფრო აქტიურად გამოიყურებოდა და ჯერ „მოკრძალებულად", შემდეგ კი უფრო „თამამად" შეუტია მასპინძელთა კარს. პირველად გუნდის ახალწვეულმა **გიორგი მახარაძემ** დაარტყა, მერე უკვე **ზვიად მეტრეველს** შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ „ლოკომოტივის" კიდევ ერთი ახალწვეულის თავური არაზუსტი გამოდგა. ტაიმის ბოლოსკენ სტუმრებმა კიდევ ორი მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს: **ლევან სალარიძე** „ერთი შეხებით" ცდილობდა ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ სულ მცირედი დააკლდა გოლის გატანამდე.

სამაგიეროდ, მეტრეველმა ჩინებულად შეირგო „ოლიმპის" პოტენციური ახალწვეულის ელოხის ჩინებული „საჩუქარი" და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა. იმის მიუხედავად, რომ მატჩი ამხანაგურ და საკონტროლო შინაარსს ატარებდა, ასეთი შედეგი, მაინც სენსაციად უნდა შეფასებულიყო. საკუთარი შეგირდებით უკმაყოფილო თემურ მახარაძემ პირველ ტაიმშივე „გადააწყო" საკუთარი გუნდი, მაგრამ რასაც რეალური მომენტი ჰქვია, „ოლიმპმა" მხოლოდ ორჯერ შექმნა: პირველ ეპიზოდში ჩინებული რეაქცია გამოამჟღავნა **მაქსიმე ქვილითაიამ**; მეორედ კი ოკეჩუკვუს მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი „ლოკომოტივის"-კარის ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ თემურ მახარაძემ მოედანზე ორი ახალი ფორვარდი შეიყვანა და **გიორგი ჭედიას** და **რევაზ ჯიქიას** აქტიურმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა თამაშის შინაარსის შეცვლა. თუმცა მეორე ტაიმში პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს: „ლოკომოტივის" კიდევ ერთი ახალწეული (და „ოლიმპის" ყოფილი ნახევარმცველი) **გიორგი ჭელიძე** უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ გამოცდილმა **გრიგოლ ჭანტურიამ** მართლაც, ჩინებულად ითამაშა - საკუთარი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა! სამაგიეროდ, მასპინძელთა „დაწოლამ" შედეგი გამოიღო და რევაზ ჯიქიამ ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა; სულ მალე „ოლიმპს" გოლის გატანის კიდევ ერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ ჭედია-იმედაშვილის კომბინაციას „ლოკომოტივის" სათადარიგო მეკარის **ირაკლი დგებუაძის** საიმედო თამაში წინ აღუდგა. „ოლიმპმა" მაინც შეძლო გამარჯვების გოლის გატანა: გიორგი ხიდეშელი კარგად გაერკვა სიტუაციაში და საჯარიმოს გარედან მისმა ზუსტმა დარტყმამ შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:1.

აქვე, აღვნიშნავთ, რომ „ლოკომოტივს" სხვადასხვა მიზეზის გამო სამი წამყვანი ფეხბურთელი (**ნიკა გუშარაშვილი, გიორგი ხატიაშვილი, რევაზ წულაძე**) აკლდა. თუმცა, ამის მიუხედავადაც გელა სანაიას ახალგაზრდულ გუნდს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. გუშინდელ მატჩში გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ისპარეზეს:

ოლიმპი: ჭანტურია (73. მერლანი) - ელოხი (46. ჭედია), მაჭავარიანი, კვარაცხელია, ხუბუა - დობროვოლსკი, იმედაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ხიდეშელი, ოლუჩე (47. თარგამაძე) - ოკეჩუკვუ (46. რ. ჯიქია).

ლოკომოტივი: ქვილითაია (46. დგებუაძე) - ვეკუა (65. გადელია), ხუმარაშვილი (80. ცინცაძე), ლ. ჩაგელიშვილი (80. სოსელია), სარალიძე (62. ლ. დეკანოსიძე) - დიაკვნიშვილი (42. ქებაძე) - გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (71. ა. შენგელია), გ. მახარაძე (62. ჩარგეიშვილი), ზ. მახარაძე (71. სულთანიშვილი), ზონ. გოცირიძე (46. ჯავახაძე) - მეტრეველი (46. დ. ჩაგელიშვილი).

რუსთავის „ოლიმპი" მომდევნო საკონტროლო შეხვედრას, სავარაუდოდ, 30 იანვარს ჩაატარებს და თუ რაიმე არ შეიცვალა, მეტოქედ „ვიტ ჯორჯია" ეყოლება.

გია ტუხაშვილი



რევაზ ჯიქია

## ელოხი ორი წლით

რუსთავის „ოლიმპში" გასინჯვაზე ჩამოსული ცენტრალური მცველი **ემანუელ ელოხი** გუნდის მთავარ მწვრთნელ **თემურ მახარაძეს** მოეწონა და მისი დატოვება გადაწყვიტა. ასეთი შემთხვევისთვის კლუბის ხელმძღვანელებმა თადარიგი წინასწარ დაიჭირეს და ფინანსური პირობები გაარკვიეს - ეს ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა.

კონტრაქტის მიხედვით, 19 წლის ნიგერიელი მცველი „ოლიმპში" უახლოესი ორი წლის განმავლობაში ითამაშებს. ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. რუსთაველთა პრესცენტრის ინფორმაციით, მახარაძე დაცვის ცენტრში ელოხისა და ბრაზილიელი ფრაგას ტანდემზე აპირებს დაყრდნობას.

მერაბ მამულაშვილი



# ორმხრივი კმაყოფილება

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. **კახა კაჭარავას** გუნდის მეტოქე ამჯერადაც უკრაინის წარმომადგენელი იყო - ლუგანსკის „ზარია" (თავისი ქვეყნის ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ მეცამეტე ადგილზე იმყოფება). შეგახსენებთ, რომ გუშინდლამდე „დინამომ" ჯერ პოლტავის „ვორსკლასთან" ითამაშა ფრედ (0:0), მერე კი უეფას თასის მფლობელ დონეცკის „შახტართან" დასანანი მარცხი (0:1) იწვნია. და აი, პირველი გამარჯვებაც, რომელიც იმით უფრო არის ფასეული, რომ „დინამოს" გუშინდელი მეტოქე ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში საკმაოდ გაძლიერდა და ჩვენი გუნდის წინააღმდეგ უკრაინის ნაკრების ყოფილმა და ახლანდელმა წევრებმაც (**შუსტი, ეზერსკი, სემენენკო, შევჩუკი**) ისპარეზეს. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში „დინამომ" ახალგაზრდული შემადგენლობით ისპარეზა: **შეყრილაძე - კაკუბავა, ჩადუნელი, გეთიაშვილი, ოთარაშვილი - ფირცხალავა, ნემსაძე - ლეკვთაძე, თექთურმანიძე, ქანთარია - აკირემი.**

მატჩის პირველი წუთებიდანვე მოედანზე უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა: „დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელები ტოლს არ უდებდნენ გამოცდილ მეტოქეს. შეხვედრის პირველი სახიფათო მომენტიც დინამოელებმა შექმნეს, მაგრამ დონეცკის „შახტარისა" და უკრაინის ნაკრების ყოფილმა მეკარე **ბოგდან შუსტმა** მდგომარეობა განმუხტა. ტაიმის ბოლომდე მოედანზე, ფაქტობრივად, თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა; „ზარიას" ფეხბურთელებმაც რამდენჯერმე მიიტანეს იერიში „დინამოს" კარზე, მაგრამ ჩინებულად ასპარეზობდა ჩვენი გუნდის ახალწვეული **ბექა შეყრილაძე**, ვინც რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „ზარიას" ნახევარმცველი **სილიუკი** „დინამოს" საჯარიმოში რომ შევიდა და შორეულ კუთხეში ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. საბედნიეროდ „დინამომ" ძალიან მალე, სამ წუთში შეძლო საპასუხო გოლის გატანა: „ზარიას" კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყა დაინიშნა, შემდეგ დასწრებაზე **ჟორჟ აკირემიმ** იყოჩაღა და ანგარიშიც გაათანაბრა! ეს ყველაფერი 51-ე წუთზე მოხდა; მესამოცე წუთიდან კი კახა კაჭარავამ მეკარე ბექა შეყრილაძის გარდა ყველა ფეხბურთელი გამოცვალა და მოედანზე უკვე „დინამოს" ძირითადი შემადგენლობა ვიხილეთ: **შეყრილაძე - თომაშვილი, გ. კაშია, კრსტესკი, ჩიკვილაძე - ედნილსონი, კოშკაძე - კახელიშვილი, მერებაშვილი, ჯუისი - ვაწაძე.**

67-ე წუთზე განხორციელებული სწრაფი შეტევა შედეგიანი აღმოჩნდა: გიორგი მერებაშვილმა ჩინებულად გამოიყენა „ზარიას" მეკარის შუსტის შეცდომა და როგორც მერე გაირკვა, მატჩის საბოლოო შედეგიც დააფიქსირა. კიდევ ვიმეორებთ: მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაინც დადებით ემოციებს გვიტოვებს ქართული გუნდის წარმატებული ასპარეზობა. დაბოლოს, „დინამოს" მთავარი მწვრთნელის, კახა კაჭარავას კომენტარიც, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე რომ გამოქვეყნდა:

*„ჩემპიონატის მეორე ეტაპისათვის მზადება წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ძალიან საინტერესო საკონტოლო შეხვედრები ჩავატარეთ. ასეთი მატჩები რაც მეტი იქნება, ჩვენ გუნდს უფრო წაადგება. სამივე შეხვედრაში მეტოქეებს ტოლი არ დავუდეთ, განსაკუთრებით ეს „შახტარზე" ითქმის - იმ მატჩში, თამაშიდან გამომდინარე, წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. სასიამოვნოა, რომ დღეს გამარჯვება შევძელით; კმაყოფილი ვარ როგორც ახალწვეულებით, ასევე იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებითაც, დღევანდელი მატჩი რომ დაიწყეს".*

დაბოლოს, დავამატებთ, რომ სამშობლოში გამომგზავრებამდე „დინამო" თურქეთში, სავარაუდოდ კიდევ ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.

გია ტუხაშვილი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საკონტროლო მატჩი

# ზესტაფონმა აუსტრია მოინელა

ესპანეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ პირენეებზე პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. როგორც ადრე გაუწყეთ, **გია გეგუჩაძის** გუნდის პირველი მეტოქე ავსტრიული ბუნდესლიგის ბრინჯაოს პრიზიორი ვენის „აუსტრია“ იყო. ცნობისთვის, ქვეყნის 23-გზის ჩემპიონი და 27-გზის თასის მფლობელი „აუსტრია“ ევროპის ლიგის მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ რაუნდში მონაწილეობდა, მაგრამ ეს ეტაპი ვერ გადალახა.



ზესტაფონელთა კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ავსტრიელები ჩვენს გუნდს მთავარი შემადგენლობით ეთამაშნენ. ვენელებს ერთადერთი ფეხბურთელი, „ტოტენჰემის“ ყოფილი შუახაზელი **მილენკო აჩიმოვიჩი** აკლდათ. თუმცა იმერლებმაც დანაკლისით ითამაშეს - მცირე ავადმყოფობის გამო გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი, მეკარე **ზურაბ მამალაძე** და მცველი **გიორგი ონიანი** ვერ ათამაშა. ამ ფეხბურთელების არყოფნაში, მეკარე **როინ კვასხვაძესა** და გუნდის ახალწვეულს, მცველ **დავით მჭედლიშვილს** მიეცათ თავის გამოჩენის შანსი და მათ ეს შანსი გამოიყენეს კიდეც.

ახლა უშუალოდ მატჩზე ვთქვათ. შეხვედრის პირველი ტაიმი იმერელთა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა. მართალია ხიფათი როინ კვასხვაძის კართანაც არაერთხელ შეიქმნა, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ ზესტაფონელებს უფრო მეტი და მწვავე მომენტები შექმნეს **ჰაინც ლინდნერის** კართან. მატჩის ერთადერთი გოლი კი 28-ე წუთზე გავიდა. იმერელთა მთავარი მეგოლე **ნიკა გელაშვილი** მარცხნიდან შეიჭრა ავსტრიელთა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან ბურთი კარში გადაგზავნა. 1:0. ტაიმის ბოლომდე ჩვენს გუნდს კიდევ ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შანსი, მაგრამ ალარაფერი შეცვლილა. შესვენებაზე, ტრადიციულად გუნდებმა შეცვლებს მიმართეს. თამაშის განახლებამდე და მეორე ნახევრის მსვლელობისას, გია გეგუჩაძემ სასტარტოს რამდენიმე ფეხბურთელი გამოიყვანა მოედნიდან. ამით კარგად ისარგებლეს ვენელებმა და უპირატესობას დაეუფლნენ. თუმცა ზესტაფონელთა მეკარე როინ კვასხვაძემ, თანაგუნდელთა დახმარებით ბოლომდე მშრალად შეძლო კარის შენახვა და იმერლებმა მინიმალურად, 1:0 მოიგეს.

„ზესტაფონმა“ „აუსტრიის“ წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **რ. კვასხვაძე, მჭედლიშვილი (74. კობახიძე), ლობჟანიძე, ხიდეშელი, ელიავა, დაუშვილი (90. მაკარიანი), ძარია (59. კორღალიძე), გრიგალაშვილი (75. გორგიაშვილი), აფციაური (77. ცხადაია), დვალი (59. ბენაშვილი), გელაშვილი (67. წინამძღვრიშვილი).**

დაბოლოს, ზესტაფონელები მომდევნო ამხანაგურ მატჩს ესპანეთში ხვალ, 28 იანვარს, **ირაკლი მოდებაძის** ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ გამართავენ.

**დავით ცაბაძე**

U 21

# პრეცედენტი: აფრიკელმა საქართველოს ნაკრების ფორმა მოირგო!

## ფრე ავსტრიულ გრანდთან. გაბელიას კმაყოფილების საბაბი აქვს



23 იანვარს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ერთკვირიანი შეკრებისთვის (სიდეში) თურქეთში გაემგზავრა. **ოთარ გაბელიამ** საკურორტო ქალაქ სიდეში ფაქტობრივად დუბლშემადგენლობა (რეალურად, ეს იყო კლუბების ნაკრები) წაიყვანა. ცვლილებები იძულებითი იყო. ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბ „ვილახოიოსას“ ცენტრალური მცველი **ლევან ტყებუჩავა** თურქეთში ვერ ჩავიდა. საკუთარ კლუბებში ვარჯიშობენ **გიორგი ჭედია** (რუსთავის „ოლიმპი“) და **დავით ხურცილავა** („ვიტ ჯორჯია“).

სიდეში ემზადება „გაგრა“, რომელსაც მეკარე **ლადო ნადირაშვილი** დაუშავდა და კლუბმა ვერ გაუშვა. მართალია, მას შემდეგ **ზვიად სტურუა** დაიმატეს, მაგრამ გუნდი ერთი მეკარის ამარა ვერ დარჩებოდა. მათ ნაცვლად, გაბელიამ ფინეთიდან ცენტრალური მცველი **ნიკა კილაძე**, ცხინვალის „სპარტაკიდან“ ნახევარმცველი **დეკანოიძე**, „ოლიმპიდან“ მცველი **გიორგი რეხვიაშვილი**, ხოლო ზუგდიდის „ბაიადან“ თავდამსხმელი **ირაკლი ეხვაია** დაიმატა. კილაძე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი გახლდათ და მცირე ხნის წინ წავიდა ფინეთში. დეკანოიძემ კი საჩხერის „ჩიხურაში“ გამოიჩინა თავი. რაც შეეხება ეხვაიას, ტრავმის გამო მას საკმაოდ ბევრი გაუცდა და „ბაიაში“ მხოლოდ ჩემპიონატის მსვლელობისას გამოჩნდა, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბოლო მომენტში გაბელიამ იმავე „გაგრიდან“ მცველი **ჯიმი გაბუნია** და თავდამსხმელი **გიორგი გაბედავა** მიიწვია. ანუ, საბოლოოდ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თურქეთში ასეთი შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები - **ზარქუა** (ბაია), **ბახტაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

მცველები - **ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **რეხვიაშვილი** (ოლიმპი), **აქუბარდია** (ბაია), **კილაძე** (კაი პა, ფინეთი), **რეხვიაშვილი** (ოლიმპი), **ჯიმი გაბუნია** (გაგრა);

ნახევარმცველები - **გუგუჩია, სიხარულია** (ორივე ბაია), **ჯანელიძე** (ვიტ ჯორჯია), **ოქრიაშვილი** (გაგრა), **თარხნიშვილი** (ოლიმპი), **წულაძე** (ლოკომოტივი), **დეკანოიძე** (სპარტაკი);

თავდამსხმელები - **ჩისამბა ლუნგუ, ეხვაია** (ორივე ბაია), **გაბედავა** (გაგრა), **ბუზალაძე** (სპარტაკი), **მაისურაძე** (სპარტაკი).

თავდაპირველად ითქვა, რომ ქართველი ახალგაზრდები თურქეთში სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავდნენ. საბოლოოდ, ორი სპარინგის ჩატარება უფრო ოპტიმალურად მიიჩნიეს. პირველი მატჩი კი გუშინ გაიმართა - გაბელიას გუნდს ავსტრიული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი, ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ლიდერი ვენის „რაპიდი“ დაუპირისპირდა.

**საქართველო U 21-რაპიდი 1:1**

1:0 ეხვაია (65), 1:1 კონრადი (90+6)

საქართველო: **ბახტაძე - რეხვიაშვილი, ხატიაშვილი, კილაძე, გაბუნია - ჯანელიძე, გუგუჩია, თარხნიშვილი, მაისურაძე - ლუნგუ, ბუზალაძე.** მეორე ტაიმში ითამაშეს: **ზარქუა, აქუბარდია, წულაძე, სიხარულია, ეხვაია, დეკანოიძე.**

რაპიდი: **კიონიგსჰოფერი - კულოვიტცი, სომა, ედერი, კატცერი - ჰოფმანი, ჰეიკინენი, კალვაკი, დრაჟანი - სალიჰი, ტრიმელი.** მეორე ტაიმში ითამაშეს: **ჰელდი, დობერი, შოსვანდტერი, პატოჩკა, იოვანოვიჩი, პეხლივანი, გარტნერი, კონრადი.**

თავიდანვე ვიტყვით, რომ ავსტრიელებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი (**პაუერი, ტონჰოფერი, ბოშკოვიჩი, ილდიზი, ჯელავიჩი**) აკლდა. თუმცა მეტოქე ბევრად უკეთეს სასტარტო მდგომარეობაში იყო, ვიდრე ჩვენი ახალგაზრდული. რა დასამალია და, შეხვედრამდე ცუდის მოლოდინი გვქონდა - გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „რაპიდს“ სერიოზულ წინააღმდეგობას არათუ ჩვენი ახალგაზრდულის დუბლშემადგენლობა, ძირითადი გუნდიც ძნელად გაუწევდა...

საბედნიეროდ, ვარაუდი არ გამართლდა. თურქეთში დავუკავშირდით ნაკრები გუნდების ტექნიკურ დირექტორ **ნიკა ჩხეიძეს**, რომელმაც გვითხრა, რომ ჩვენებს საკმაოდ ბევრი რეალური საგოლე მომენტები ჰქონიათ, მაგრამ **ჯანელიძეს, მაისურაძესა** და **ეხვაიას** შანსები ვერ გამოუყენებიათ. თუმცა 65-ე წუთზე ეხვაიამ მაინც ისარგებლა ავსტრიელთა მცველების, **პატოჩკასა** და **იოვანოვიჩის** შეუთანხმებლობით და ანგარიში გახსნა - 1:0.

ცხადია, ავსტრიელები გააქტიურდნენ. ანგარიშის გათანაბრება **მარიო კონრადსა** და **რენე გარტნერს** შეეძლოთ. თუმცა „რაპიდის“ მცდელობამ შედეგი მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებული დროის მე-6 წუთზე გამოიღო - შეტევა ზუსტი დარტყმით კონრადმა დააგვირგვინა - 1:1.

დაგვეთანხმებით, შედეგი ერთდროულად მოულოდნელიცაა და სასიამოვნოც. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაკრების ფორმა პირველად მოირგო აფრიკელმა ფეხბურთელმა - **ჩისამბა ლუნგუმ** (ზამბიიდან). 2009 წელს მან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო, სხვა ქვეყნის ნაკრებში არ უთამაშია და შესაბამისად, გაბელიას მისი გამოძახების უფლება ჰქონდა. მეორე მხარეა, გამოგვადგება თუ არა ლუნგუ? ამას დრო გამოაჩენს. სხვა მხრივ კი ნაკრების თავკაცი კმაყოფილი იყო შედეგითაც, თამაშითაც და იმითიც, რომ ყველა მოთამაშე გასინჯა.

ფეხბურთის ფედერაციის პიარმენეჯერის, **თათია ბურდულის** თქმით, ქართველი ახალგაზრდები მეორე ამხანაგურ შეხვედრას სიდეში 29 იანვარს, შვეიცარიულ „თუნთან“ გამართავენ. თბილისის დროით მატჩი 16 საათზე დაიწყება. ნაკრები საქართველოში 30 იანვარს დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

კობა ჟორჟიკაშვილი

**ზუგდიდის „ბაიას“ ბაზაზე გიორგი დევდარიანის ხელმძღვანელობით საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შეკრება დაასრულა, ამჟამად კი იქ 17-წლამდელთა შემდეგი ფორმაციის გუნდი ვარჯიშობს. შეგახსენებთ, ეს ნაკრები ევროპის შემდეგი ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი ჯგუფის მატჩებს ოქტომბერში თბილისი უმასპინძლებს, საქართველოს ნაკრების მეტოქეები კი პოლონეთი, ინგლისი და შვედეთი იქნებიან. „ლელო“ 17-წლამდელთა მომავალ მთავარ მწვრთნელს, კობა ჟორჟიკაშვილს ესაუბრა.**



# დასკვნებისთვის დრო კიდევ მჭირდება

**- როდის დაიწყო 17-წლამდელთა ახალი ნაკრების ჩამოყალიბების პროცესი?**

- მოგეხსენებათ, ამ თანამდებობაზე სულ ცოტა ხნის წინ დავინიშნე და შესაბამისად, მუშაობასაც ახლახან შევუდექი. უკვე დავიწყეთ მასშტაბური სელექცია, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. თბილისელ ჭაბუკებსაც დავაკვირდით და რეგიონებიც მოვიარეთ - ვიყავით სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში... პირველ ეტაპზე 26 ფეხბურთელი შევარჩიეთ და ზუგდიდში სწორედ ისინი ვარჯიშობენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრების ბირთვი უკვე გამოიკვეთა. იქამდე ჯერ ძალიან შორია - შესაძლოა, ამ 26 მოთამაშიდან უმეტესობამ სანაკრებო მოთხოვნები არ დააკმაყოფილოს და გუნდი სულ სხვა ფეხბურთელებით დაკომპლექტდეს. კიდევ გავიმეორებ, რომ სელექცია სულ ახლახან დავიწყეთ და თვალთახედვის არედან 1994-95 წლებში დაბადებული არც ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი არ გამოგვეპარება.

**- თქვენს განკარგულებაში მყოფ კონტინგენტზე პირველი შთაბეჭდილება როგორია?**

- დასკვნების გასაკეთებლად ცოტა დრო კიდევ დამჭირდება, რამდენიმე დღეში ამ თემაზე ვრცლად საუბარი შემეძლება.

**- ზუგდიდურ შეკრებაზე აქცენტი რომელ კომპონენტებზე კეთდება?**

- ეს გაცნობითი ხასიათის შეკრებაა, სადაც დეტალურად გვსურს გავეცნოთ თითოეული ფეხბურთელის ავ-კარგს. სწორედ ამიტომ ჯერ თავს ვიკავებთ ტესტმატჩების ჩატარებისგან. ამ ეტაპზე უმეტესად ორმხრივი თამაშებით ვიფარგლებით. თუმცა თენგიზ სულაქველიძის აკადემიის გუნდთან თამაში მაინც ჩავატარეთ. შეკრება კი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს - დილაობით აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება, საღამოობით კი ბურთით ვვარჯიშობთ.

**- ზუგდიდური შეკრების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

- ეს შეკრება ორ კვირას გასტანს, რის შემდეგაც რამდენიმე დღით დავისვენებთ და ისევ ზუგდიდში დავბრუნდებით. თებერვლისთვის ამხანაგური მატჩების ჩატარებასაც ვგეგმავთ, მთელი გაზაფხულის განმავლობაში ინტენსიურად ვივარჯიშებთ. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და აღვნიშნავ, რომ ფეხბურთის ფედერაცია მზადებაში ყველანაირად გვიწყობს ხელს. ზუგდიდის ბაზაზე რომ იდეალური პირობებია, ეს ისედაც ყველასთვისაა ცნობილი.

**- ნაკრების ბირთვი როდის გამოიკვეთება?**

- ზაფხული ძალიან დატვირთული გვექნება და აგვისტოსთვის უკვე ცნობილი იქნება ის შემადგენლობა, რომელსაც შესარჩევ ტურნირში დავეყრდნობით.

**- მეტოქეებზე რას იტყოდით?**

- უდავოა, რომ ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, ერთიმეორეზე უხერხული მეტოქეები შეგვხვდნენ, მაგრამ უშანსოდ ნამდვილად არ ვართ. თამაშები რომ თბილისში ჩატარდება, ბუნებრივია, ეს ფაქტორიც დაგვეხმარება.

**- თქვენი გუნდის სამწვრთნელო შტაბში ვინ იმუშავებს?**

- ჩემი ასისტენტი გოჩა ავსაჯანიშვილი იქნება, მეკარეებს კი რამაზ სოლოლაშვილი გაწვრთნის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტი

# დავით მუჯირი: ლოკომოტივს ვუჩივლებ!

რუსულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივმა" **დავით მუჯირს** კონტრაქტი გაუწყვიტა. „ლოკომოტივის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლუბი და ფეხბურთელი ამ საკითხის თაობაზე ბოლო დროს ინტენსიურად საუბრობდნენ, თანამშრომლობის შეწყვეტა ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა და საბოლოო შეთანხმებაც შედგა. თუმცა თავად მუჯირის კომენტარმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა:

*„კონტრაქტი კლუბმა გამიწყვიტა ძალიან სასაცილო არგუმენტით - თითქოსდა სამუშაო ადგილზე მისვლა ოთხ დღეზე მეტით დავაგვიანე. „ლოკომოტივი" აცხადებს, რომ 28-დან 31 დეკემბრამდე კლუბის განკარგულებაში არ ვიყავი. არადა, იური სიომინმა ფეხბურთელები 8 იანვრამდე დაგვითხოვა და შესაბამისად, გუნდში ყველანი ამ დღეს გამოვცხადდით. საინტერესოა, რატომ უნდა მივსულიყავი „ლოკომოტივში" 28 დეკემბერს? დღეს (26 იანვარს, რედ.) განმიცხადეს, რომ ოფიციალურად, 21 იანვრიდან ვარ გათავისუფლებული. გამოდის, რომ გათავისუფლების შემდეგ „ლოკომოტივის" შემადგენლობაში ხუთი დღე ტყუილუბრალოდ ვვარჯიშობდი. მომხდარით შოკირებული ვარ. ძალიან მწყდება გული, რომ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა ასე მოიქცა. არა მგონია, ასეთი ნაბიჯები წაადგეს იმ კლუბს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ამბიცია აქვს. საკუთარ უფლებებს ბოლომდე დავიცავ, ნორმალურ კლუბში ფეხბურთელებს ასე არ ექცევიან. „ლოკომოტივს" სასამართლოში აუცილებლად ვუჩივლებ, უკან დახევას არ ვაპირებ",* - განუცხადა მუჯირმა championat.ru-ს კორესპონდენტს.

ნაუმოვი: რა პრეტენზიები აქვს მუჯირს? ის სასამართლოს ვერ მოიგებს!

გუშინ ამავე ვებგვერდზე გამოქვეყნდა „ლოკომოტივის" პრეზიდენტ **ნიკოლაი ნაუმოვის** კომენტარიც. რკინიგზელთა პირველი ჩინოსანი დარწმუნებულია, რომ მუჯირი სასამართლოს ვერ მოიგებს. მოდით, გავეცნოთ ნაუმოვის არგუმენტებს:

*„ყველაფერი მარტივადაა: მას 28-დღიანი შვებულება ჰქონდა, ანუ 28 დეკემბრამდე, კლუბში კი 8 იანვარს გამოცხადდა. არ მესმის მისი პრეტენზიების. რა, ზედმეტი წონა არ აქვს? მას არ უნდა ვარჯიში და ამ დროს, პრივილეგიებს კი ითხოვს. რა უფლებით? სხვათა შორის, კონტრაქტში ისიც უწერია, რომ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში კლუბს იქით უნდა გადაუხადოს კომპენსაცია, თან საკმაოდ სოლიდური. შემიძლია, ყველას გავუგო. არიან მოთამაშეები, რომლებიც ძირითადში ვერ ხვდებიან, მაგრამ ბევრს მუშაობენ, რათა სიტუაცია შეცვალონ. მუჯირის შემთხვევა კი აბსოლუტურად განსხვავებულია - მას მხოლოდ ხელფასი აინტერესებს, თან ისე, რომ ბოლომდე არც დაიხარჯოს. ჩვენ რუსეთის შრომითი კანონმდებლობით ვხელმძღვანელობთ. სასამართლო, თუ საერთოდ მივიდა საქმე აქამდე, ჩვენ გაგვამართლებს".*

შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივში" მუჯირმა მხოლოდ 25 ოფიციალური მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. მალე გაირკვევა, სად გააგრძელებს კარიერას 32 წლის შემტევი ნახევარმცველი, რომლის ერთ-ერთ სავარაუდო ნავსაყუდლად ყოფილ კლუბ „კრილია სოვეტოვსაც" ასახელებენ.



დავით მუჯირი

**ლევან ჯანეზაშვილი**

ათეული წილისყრამდე

დავით ცაბაძის პროექტი

# მურთაზ შელია: კმარა უკუსვლა, ახლა წინ უნდა ვიაროთ!

7 თებერვალს ვარშავაში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრაა. სწორედ თებერვლის პირველი კვირა გაარკვევს ჩვენი ჯგუფის მეტოქეებს. საინტერესოა, რა პროგნოზს აკეთებენ ჩვენი ფეხბურთის ცნობილი ფიგურები, ნაკრების ყოფილი თუ ახლანდელი მოთამაშეები, ყოფილი თუ მოქმედი საფეხბურთო ფუნქციონერები. სწორედ მათ შორის შევარჩიეთ ამ რუბრიკისთვის 10 რესპონდენტი და დღეს ამ ახალი რუბრიკის პრეზენტაციას გთავაზობთ - „ათეული წილისყრამდე". ყველა რესპონდენტს 5 კითხვისგან შემდგარ ერთგვარ ანკეტას წარვუდგენთ:

1. ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული გუნდის ხელმძღვანელთა შეცვლის შემდეგ, რამდენად იმედიანად ხართ განწყობილი ნაკრების მიმართ?

2. ექვსგუნდიან ჯგუფში ჯობია მოვხვდეთ, თუ ხუთგუნდიანში?

3. როგორია თქვენი პროგნოზი - ვის გვარგუნებს წილისყრა მეტოქეებად (თითო კალათიდან აირჩიეთ თითო გუნდი)?

I კალათა - ესპანეთი, გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, ხორვატია, პორტუგალია, საფრანგეთი, რუსეთი.

II კალათა - საბერძნეთი, ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, სერბეთი, თურქეთი, დანია, სლოვაკეთი, რუმინეთი.

III კალათა - ისრაელი, ბულგარეთი, ფინეთი, ნორვეგია, ირლანდია, შოტლანდია, ჩრდ. ირლანდია, ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინა.

IV კალათა - სლოვენია, ლატვია, უნგრეთი, ლიტვა, ბელარუსი, ბელგია, უელსი, მაკედონია, კვიპროსი.

VI კალათა - აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, მალტა, ფარერები, ანდორა, სან მარინო.

4. თქვენი აზრით, რომელი გუნდები არიან საქართველოს ნაკრებისთვის სასურველი მეტოქეები და რატომ?

5. როგორ ფიქრობთ, რომელ ადგილზე გავა საქართველო ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში?

პირველ რესპონდენტად ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი, ცხინვალის „სპარტაკის" ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ შელია შევარჩიეთ. ის ახალგაზრდულ ნაკრებში ოთარ გაბელიას სამწვრთნელო შტაბის წევრიცაა. შელიას, რომელიც ადრე პესიმისტურად იყო განწყობილი, ახლა აშკარად ოპტიმიზმი ეტყობა.



**1.** ბოლო ორი-სამი საკვალიფიკაციო ეტაპის წინ პესიმისტურად ვიყავი განწყობილი და სამწუხაროდ, ნაკრების შედეგებმა ეს პესიმიზმი გაამართლა. რა თქმა უნდა, მერჩივნა, შევმცდარიყავი და ჩემი ვარაუდები არ გამართლებულიყო, მაგრამ... ბოლო შესარჩევში მხოლოდ 3 ქულა ავიღეთ, ნაკრებმა ერთი თამაშიც ვერ მოიგო და... ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს? ვფიქრობ, ამაზე ქვემოთ აღარ წავალთ და ამჯერად უკვე იმედიანად ვარ განწყობილი. მჯერა, თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ჩვენი ნაკრები უკეთ წარმოჩნდება და შედეგებიც უკეთესი გვექნება. ამას ჩემი და თემურის ურთიერთობიდან გამომდინარე არ ვამბობ. ყველამ კარგად იცის, რომ ქეცბაია სამართლიანი კაცია, ბრძოლის ჟინი არ აკლია და თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ საქმესაც კარგად დაეუფლა. რა თქმა უნდა, ესეც მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. დარწმუნებული ვარ, ქეცბაიას ხელში არავინ დაიჩაგრება, ვინც ღირსი იქნება, სწორედ ის ითამაშებს ეროვნულ გუნდში.

**2.** ჩემი აზრით, 6-გუნდიან ჯგუფში მოხვედრა სჯობს, თამაშიც მეტი გვექნება და მეტი ქულის დაგროვების შანსიცაა.

**3.** რაც შეეხება მეტოქეების არჩევას, ინტუიციას მივენდობი... **პორტუგალია, თურქეთი, ჩრ. ირლანდია, ბელარუსი, ფარერები**... შესაძლოა, ესენი იყვნენ ჩვენი ნაკრების მეტოქეები. საინტერესოა, ჩვენი მეტოქეებიდან რამდენ გუნდს გამოვიცნობ...

**4.** ვფიქრობ, პირველი კალათიდან **იტალია** გვირჩევნია. თუ არ ვცდები, ერთი-ორი საკვალიფიკაციო ეტაპი იყო, „სკუადრა აძურა" ჩვენს ჯგუფში რომ არ ყოფილა. იტალიის ნაკრებთან ბოლოს ხშირად მოგვიწია თამაშმა და არც ერთხელ არ გაგვჭირვებია. უფრო მეტიც, ბოლო მატჩში, სექტემბერში, იტალიელებს გაუჭირდათ ჩვენს ნაკრებთან თბილისში თამაში. საერთოდ „სკუადრა აძურა" საკმაო სიმპათიას ტოვებს ჩემში, მაგრამ ამ ბოლო შეხვედრაში საზიზღრად ითამაშა... ჩემი აზრით, ამ გუნდთან უფრო შეუძლია ჩვენს ნაკრებს კარგი თამაშის ჩვენება.

მეორე კალათიდან ალბათ მაინც ყველას **საბერძნეთი** უნდა გვერჩივნოს. ამ გუნდისა და ჩვენი ნაკრების თამაშის სტილი ახლოსაა ერთმანეთთან, უფრო ტექნიკურ ფეხბურთს ამჯობინებენ. თანაც, ქეცბაია კარგად იცნობს ბერძნულ ფეხბურთს.

ოოო, მესამე კალათიდან **ბულგარეთი** მინდა რომ შეგვხვდეს. შარშან ოქტომბერში განცდილი ფიასკოს შემდეგ რევანში გვინდა და თუ ბულგარეთი შეგვხვდება, მჯერა რევანშს ავიღებთ. მით უმეტეს, ფეხბურთელები, გულშემატკივარი და ყველა ერთად სწორედ ამ რევანშის წყურვილით ვიქნებით შემართულები.

მეოთხე კალათიდან ალბათ მაინც **ლატვია** გვირჩევნია მეტოქედ... ჩემი აზრით ლატვიის, ესტონეთისა და ამნაირი გუნდებთან ძლევით უნდა დავიწყოთ ეტაპობრივად წინსვლა.

ბოლო კალათიდან **აზერბაიჯანი** ჯობია. ამ ექვსეულიდან რომელი გუნდიც არ უნდა გვერგოს მეტოქედ, ყველას უნდა მოვუგოთ, მაგრამ აზერბაიჯანი მინდა ჩვენს ჯგუფში რომ იყოს. და იცით, რატომ? ბოლო წლებში აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი ფული ჩაიდო. ეს დაეტყოთ კიდეც ამ ქვეყნის კლუბებს, მაგრამ ისიც მაინტერესებს, როგორ დაეტყო ეს აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებს.

**5.** ამ კითხვაზე გადაჭრით რაიმეს თქმა გამიჭირდება, მაგრამ... მოდი, ასე გიპასუხებთ - ახალი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ბოლო ადგილებზე აღარ უნდა გავიდეთ - კმარა უკუსვლა, ეტაპობრივად წინ უნდა ვიაროთ! თემურ ქეცბაიას ფაქტორის გარდა, ისიც მაიმედებს, რომ სახელმწიფო ფეხბურთს ისევ ეხმარება და როგორც ითქვა, ეს დახმარება ახლა უფრო მეტი იქნება. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრები ამ შესარჩევში უკეთ წარმოჩნდება.

**დავით ცაბაძე**

აქცენტი

## საქართველო 42-ეა

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა fair play-ის ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს არც ამ რეიტინგში აქვს სახარბიელო მაჩვენებელი - ევროპულ ქვეყნებს შორის მხოლოდ და მხოლოდ 42-ე ადგილზეა. შეგახსენებთ, აღნიშნულ რეიტინგს პრაქტიკული დანიშნულება აქვს - სამ ყველაზე დისციპლინირებულ ქვეყანას ევროტურნირებზე თითო დამატებითი ადგილი ეძლევა.

ყველაფერი იქით მიდის, რომ ამ სამ საგზურს შვედეთი, დანია და ინგლისი გაინაწილებენ. მართალია, გადამწყვეტი მნიშვნელობა სეზონის მიწურულს გამოქვეყნებულ რეიტინგს ექნება, მაგრამ დღეისათვის ეს სამი ქვეყანა საკმაო უპირატესობით ლიდერობს და სავარაუდოდ, ისინი პოზიციებს არ დათმობენ.

## შონიას მეოთხე საკონტროლო

ლუცკის „ვოლინში" სინჯებზე მყოფმა **თემურ შონიამ** ამ გუნდის შემადგენლობაში მეოთხე ამხანაგური მატჩი ჩაატარა. „ვოლინი" „სევასტოპოლს" შეხვდა და 2:3 დამარცხდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველს საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია. მან ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 72-ე წუთზე შეცვალეს.

## უამინდობამ სპარინგი ჩაშალა

გუშინ ზუგდიდის „ბაიასა" და ლანჩხუთის „გურიას" შორის ამხანაგური მატჩი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ უამინდობის გამო 31 იანვრისთვის გადაიდო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ბაიას" ურეკული შეკრება დასასრულს უახლოვდება. მორიგი საკონტროლო შეხვედრა 2 თებერვალსაა დაგეგმილი - **ელგუჯა ქომეთიანისა** და **სოსო ჭედიას** გუნდი ზუგდიდში ხობის „კოლხეთს" უმასპინძლებს.

## ადამიას დებიუტი

აზერბაიჯანულ „ყარაბახში" გადასულმა **გიორგი ადამიამ** ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველი შეხვედრა ჩაატარა. თურქულ შეკრებაზე მყოფი „ყარაბახი" ამხანაგურად რუმინულ „გლორიას" გაეჯიბრა და ფრედ, 0:0 ითამაშა. ქართველი თავდამსხმელი აგდამელთა ძირითად შემადგენლობაში იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფეხბურთი ყველასათვის

## მეოთხედ...

ვიტალი დარასელიას ხსოვნის ტურნირი სენაკში უკვე ტრადიციად იქცა. წელს მეოთხედ ჩატარდა უბნის ჭაბუკ ფეხბურთელ გუნდებს შორის 8 გუნდის მონაწილეობით. პირველ ადგილზე გავიდა „მერანი", მეორეზე „ეგრისი", ხოლო მესამეზე „ტეხურა".

**ლელოს კორ.**

ინტერვიუ

ედიკ საჭაია

# გამიშვეს? არასწორი ინფორმაცია გქონიათ...

## პატრონი რომ მყოლოდა, დღესაც პრემიერლიგაში ვითამაშებდი...



ედიკ საჯაია

**ედიკ საჯაია** მცირე ხნის წინ რუსეთის პირველი ლიგის კლუბ ასტრახანის „ვოლგარ-გაზპრომში" ჩაირიცხა. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ტრანსფერით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ საკმაოდ სარფიანი პირობები შესთავაზეს. ნაკრების მიღმა დარჩენილი ფეხბურთელი ამბობს, რომ მის ასაკში ასეთ წინადადებაზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა.

„ვოლგარ-გაზპრომი" გასულ სეზონში მე-12 ადგილზე გავიდა, წელს კი, საჯაიას თქმით, კლუბს სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა მოუწევს. გუშინ თურქეთში მყოფ საჯაიასთან გასაუბრება მოვახერხეთ...

**- კმაყოფილი ხართ „ვოლგარ-გაზპრომში" გადასვლით?**

- დიახ, აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს, კლუბმა საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზა, ასტრახანიც მშვენიერი ქალაქია და რომ არ დავმალო, მახაჩყალის შემდეგ თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ. რაც მთავარია, გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**- რა ხანგრძლივობისაა კონტრაქტი?**

- ორწლიანია და ეს კლუბის ხელმძღვანელობის ინიციატივა იყო. გუნდში მისვლამდე ვიცოდი, რომ სამედიცინო შემოწმება უნდა გამევლო და ამის შემდეგ ჩავირიცხებოდი.

**- „ანჟიდან" რატომ გაგიშვეს?**

- გამიშვეს? არასწორი ინფორმაცია გქონიათ - მე არავის გავუშვივარ!

**- აბა, რატომ წამოხვედით?**

- ხელფასზე ვერ შევთანხმდით. მე პირობების გაუმჯობესება მოვითხოვე, რაზეც უარი მითხრეს და ვუთხარი - მაშინ, წავალ-მეთქი. ჰოდა, წამოვედი...

**- ეს „ვოლგარ-გაზპრომი" რა გუნდია?**

- წელს ხელმძღვანელობა პრემიერლიგაში გადასვლას გვთხოვს. ასეთ კლუბში მოხვედრა სასიამოვნოცაა და საინტერესოც, თანაც, კარგი პირობები შემომთავაზეს.

**- კი, მაგრამ „ანჟი" უკვე გადავიდა პრემიერლიგაში და უფრო მაღალ დონეზე თამაში არ გსურდათ?**

- როგორ არ მსურდა, მაგრამ ვერ შევთანხმდით და კვლავ პირველ ლიგაში დარჩენა ვამჯობინე. ახლა თურქეთში ვარ და სეზონისთვის ვემზადები.

**- სხვა მიწვევა არ გქონდათ?**

- „ვოლგარმა" პრემიერლიგის საკადრისი პირობები შემომთავაზა და სხვა ვარიანტებზე ალარც მიფიქრია.

**- ...მაგრამ პრემიერლიგაში თამაში განა უფრო სასარგებლო არ არის?**

- გააჩნია გუნდს. ძალიან მაგარი ქალაქი და ხალხია. მოკლედ, მე კმაყოფილი ვარ.

**- გულახდილად თქვით: მაღალ დონეზე თამაში ალარ გინდათ?**

- მშვიდი ცხოვრება და ფეხბურთის თამაში მინდა, თან ორივე ერთად. ფეხბურთს დაძაბული ვერ ითამაშებ, ამიტომაცაა აუცილებელი - სიმშვიდე. აქ წინა კლუბზე ორჯერ უკეთესი პირობები შემომთავაზეს და რატომ უნდა მეთქვა უარი?

**- ეს გასაგებია იქნება, თუკი ნაკრებში მოხვედრის იმედი ალარ გაქვთ.**

- გულის სილრმეში კი მინდა, მაგრამ რეალურ ვითარებასაც ვაფასებ - ნაკრებში ალარ გამომიძახებენ. ვილას ვახსოვარ, ან ვისლა ვჭირდები? არადა, ეროვნულ გუნდში თამაში ჩემთვის ყოველთვის სიამოვნება იყო. ახლა ისეთ ასაკში ვარ, ხომ იცით, მომავალზეც უნდა ვიფიქრო. სამ-ოთხ წელიწადში საქართველოში რომ დავბრუნდები, არ მინდა, 100-ლარიანი ხელფასი სანატრელი მქონდეს. სამწუხაროდ, ცხოვრება ისეთია, კაცს საკუთარი ოჯახის მომავალზე ბევრი ფიქრი მართებს.

**- ეს გასაგებია, მაგრამ კარიერის უკეთ აწყობაც ხომ შეგეძლოთ? 22 წლისა მოსკოვის „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობაში თამაშობდით... რამ შეგიშალათ შემდგომში ხელი?**

- ბევრი ელემენტარული შეცდომა დავუშვი და სწორედ ამან შემიშალა. ახლა ძალიან კი ვნანობ ამას, მაგრამ უკვე გვიანია. ცოტა უფრო წინდახედული უნდა ვყოფილიყავი. თუმცა... იცით რას გეტყვით? მაშინ მამუკა ჯულელის მსგავსი პატრონი რომ მყოლოდა, დღესაც პრემიერლიგის ძალიან მაგარ გუნდში ვითამაშებდი. სხვათა შორის, „ვოლგარ-გაზპრომშიც" ჯულელმა გადამიყვანა...

**მერაბ მამულაშვილი**

მატჩის შემდეგ

# უკრაინის ნაკრების მეკარე: თბილისის დინამო სოლიდური გუნდია

უკვე ვწერდით, რომ თბილისის „დინამოსა" და დონეცკის „შახტარის" ამხანაგური შეხვედრა ანთალიაში უკრაინული გრანდის გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. თუმცა უნდა ალინიშნოს, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა მატჩი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა. ამ თემას ალარ დავუბრუნდებოდით, რომ არა ფრიად საგულისხმო კომენტარები, რომელსაც უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე წავაწყდით.

უეფას თასის მფლობელის ფეხბურთელები „დინამოზე" პატივისცემით ლაპარაკობენ, რაც, ამდენი ნეგატივის ფონზე, ჩვენს ქომაგებს ცოტათი მაინც მოულბობს გულს.

**იაროსლავ რაკიცკი**, დონეცკის „შახტარის" ცენტრალური მცველი: *„ვფიქრობ, შედეგი კანონზომიერი იყო, თუმცა მეტოქემ მომენტები შექმნა და ისიც შეიძლება ითქვას, რომ გაგვიმართლა. აქვს თუ არა მნიშვნელობა საკონტროლო შეხვედრების შედეგებს? რა თქმა უნდა, აქვს! ჩვენ, მაგალითად, მწვრთნელმა უპირველეს ყოვლისა შედეგ ზე თამაში დაგვავალა, რადგან ჩვენი კლუბის პრესტიჟს ვუფრთხილდებით".*

**ანდრეი პიატოვი**, „შახტარისა" და უკრაინის ნაკრების მეკარე: *„ძალიან დაძაბული და საინტერესო თამაში გამოდგა. ამ შეხვედრიდან ბევრი სასარგებლო დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რადგან ჩვენ სოლიდური გუნდი დაგვიპირისპირდა. რითი დამამახსოვრდნენ ქართველები? ისინი ძალიან სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდნენ და ამაში ლამის მთელი გუნდი იყო ჩართული. ნეტავ, ასეთი შეხვედრა კიდევ ბევრი გავმართოთ".*

ალექსანდრ გლადკიი, „შახტარისა" და უკრაინის ნაკრების თავდამსხმელი: *„თამაში მომეწონა, კარგი ფეხბურთი იყო და მეტოქის კარგი თამაშის გამო მოგება ძალიან გაგვიჭირდა. ასე რომ, სპარინგით კმაყოფილი დავრჩი, მოგებამ კი, ბუნებრივია, გამახარა. კარგი იქნება, ასეთი საინტერესო შეხვედრები ბევრი რომ გვქონდეს".*

**მერაბ მამულაშვილი**

წუხელ

**პორტსმუთი-ვესტ ჰემი 1:1**

**პორტსმუთი:** ბეგოვიჩი, უილსონი, ქაბული, ჰრეიდარსონი, ფინენი, მოკოენა, ბასინასი, პიკიონი (73. უებერი), ბოატენგი, უტაკა, მულინზი (64. ვანდენ ბორე).

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, ტომკინსი (80. და კოსტა), სპექტორი, ფობერი, კოვაჩი, ბეჰრამი, ნობლი, დიამანტი (87. სტანისლასი), კოლინზი, ნუბლი (74. კ. კოული).

**გოლები:** 0:1 აპსონი (52), 1:1 უებერი (67)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 18-15 (9-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 18 322

**ვულვზი-ლივერპული 0:0**

**ვულვზი:** ჰანემანი, ბერა, კრედოკი, უარდი, ზუბარი, მანსიენი, ჰენრი, ჯერვისი (89. გედიურა), ფოლი, დოილი, მილიაში (73. ჯოუნსი).

**ლივერპული:** რეინა, კირიაკოსი, შკრტელი, ინსუა, კარაგერი, მასკერანო, ლუკასი, ჯერარდი, რიერა (67. ნგოგი), კუიტი, მაქსი როდრიგესი.

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 0-7; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 6-8 (1-1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 28 763

**ტოტენჰემი-ფულჰემი 2:0**

**ტოტენჰემი:** კინგი, დოუსონი, ბეილი, ჩორლუკა, პალასიოსი, ჰადლსტოუნი, მოდრიჩი, ბენტლი, კრაუჩი, დეფო (82. კინი).

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, სმოლინგი, ბერდი, ჰიუზი, დიკგაკოი, მერფი, გერა (72. კამარა), დაფი, რიისე (64. დეივისი), სამორა (79. ელმი).

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (27), 2:0 ბენტლი (60)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 15-11 (5-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 35 467

**ბოლტონი-ბარნლი 1:0**

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ნაითი, კეჰილი, რიკეტსი, სტეინსონი, მუამბა, კოენი, ტეილორი (77. გარდნერი), იანგ ლი (90. ვაისი), კლასნიჩი (52. ელმანდერი), დევისი.

**ბარნლი:** იენსენი, კარლაისლი, დაფი, კალვენესი, მერსი, მაკკანი (13. მაკდონალდი), ალექსანდერი (17. პატერსონი), ელიოტი, იგლზი (66. ნიმანი), ნაჯენტი, ფლეტჩერი.

**გოლი:** 1:0 იანგ ლი (35)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 18-11 (3-1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 23 986



იუვენტუსი

# ფერარას მაინც ვერაფერი უშველისო...

## ჩიროს ან ტრაპატონი შეცვლის, ან ბენიტესი

„სპორტმედიასეტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „იუვენტუსის“ მესვეურებმა, როგორც იქნა, მიიღეს გადაწყვეტილება **ჩირო ფერარასთან** დაკავშირებით - უახლოეს დღეებში ახალგაზრდა სპეციალისტს პოსტის დატოვება მოუწევს. ამ ამბავს პიემონტელები მხოლოდ პარასკევს გაახმაურებენ, ანუ მას მერე, რაც „ვეკია სენიორა“ იტალიის თასის მეოთხედფინალურ პაექრობაში „ინტერს“ დაუპირისპირდება. გამოცემის მტკიცებით, „იუვემ“ რომც დაამარცხოს „ნერაძური“, ფერარას მაინც ვერაფერი უშველის.

თავს ვერ დავდებთ, რომ ეს ასე მოხდება, მაგრამ ფაქტია, რომ „სპორტმედიასეტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია სხვა სპორტულმა პორტალებმა და გამოცემებმაც აიტაცეს. ფერარას ხელში „იუვე“ მწვავე კრიზისს განიცდის და გასაკვირი ნამდვილად არ იქნება, თუ უახლოეს დღეებში მისი გათავისუფლების ამბავს გავიგებთ. შესაბამისად, კვლავ წინა პლანზე წამოიწია ფერარას მემკვიდრის საკითხმა. ნაკლებად აქტუალურია **გუუს ჰიდინკის** ამბავი, სამაგიეროდ, სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ **დინო ძოფზე, კლაუდიო ჯენტილესა** და ახლა უკვე **ჯოვანი ტრაპატონიზეც**. დიახ, დიდი მაესტრო ერთ-ერთ და საკმაოდ რეალურ კანდიდატად განიხილება.

როგორც იცით, ირლანდიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხცოვანი სპეციალისტი სეზონის ბოლომდე ფაქტობრივად უქმად გახლავთ. თუ ტრაპატონი „იუვესთან“ ივნისამდე გააფორმებს ხელშეკრულებას, ამის საწინააღმდეგო წესით არც ირლანდიელებს უნდა ჰქონდეთ რამე. თავად ტრაპატონის ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი პოზიცია აქვს:

*„ტურინიდან კონკრეტული შეთავაზება არ მიმიღია, მაგრამ ამ კლუბში ბევრი ახლობელი მყავს და ვიცი, რომ ჩემს კანდიდატურაზე მართლაც მსჯელობენ. ჩემი პოზიცია? - სანამ წინადადება არ მექნება, ვერაფერს გეტყვით. „იუვენტუსი“ მშობლიური გუნდია და იქ დაბრუნება ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა, მაგრამ იმასაც მნიშვნელობა აქვს, თუ რა მიზნით უნდა ჩავიბარო „იუვე“ - მოტივაციას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, „ბიანკონერი“ კი უკვე ჩამოშორებულია სკუდეტოსთვის ბრძოლას. ამასთან, გუნდი ჩემპიონთა ლიგიდანაც გამოვარდა და გამოდის, რომ ტურინში მხოლოდ ლიგის საგზურის მოსაპოვებლად უნდა ჩავიდე. სიმართლე გითხრათ, არც თუ სასიამოვნო პერსპექტივაა“.*

ტრაპატონი ამბობს, ტურინში ჩემზე მსჯელობენო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფერარას მართლაც აღარ უწერია დიდი დღე - ვგულისხმობ „იუვენტუსის“ სათავეში, თორემ ისე ღმერთმა კარგად ამყოფოს. და მაინც? - თუ „იუვემ“ „ინტერი“ დაამარცხა და თასის ნახევარფინალში გავიდა, ნუთუ ესეც ვერ გადაარჩენს ჩიროს? - თავად ფერარას სწორედ ამის იმედი აქვს და მოახლოებული ბატალიის წინ საბრძოლო განწყობას ინარჩუნებს:

*„უნდა მოვნახოთ გამოსავალი და დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება. ფეხბურთელები საშინელ ხასიათზე არიან და ეს სრულიად ბუნებრივია, თუმცა ახლა ყურების ჩამოყრის დრო არ არის - წინ მძიმე მატჩი გველის, რომელიც საჩვენოდ უნდა დავასრულოთ. კარგად მესმის, რომ ეს ურთულესი ამოცანა იქნება, მაგრამ მჯერა, საამისო ძალა შეგვწევს. „ინტერი“ მოტივირებულია და ამაში ჟოზე მოურინიოს სიტყვები მარწმუნებს, ისინი შემოგვიტევენ და ეცდებიან სწრაფი გოლი გაგვიტანონ. ჩვენი მხრივ უნდა ვეცადოთ, რომ მოედნის ცენტრი არ დავთმოთ და მეტოქეს აქტიურად შევუტიოთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მიზნის მიღწევა. „ინტერის“ ძლევა კრიზისის დასასრულის დასაწყისი იქნება. მე მჯერა ამის“.*

ფერარას კი სჯერა, მაგრამ „ინტერის“ დამარცხება რომ იოლი არ იქნება, ცხადზე ცხადია, თანაც ასეთი „იუვენტუსისთვის“ და თანაც, მეტოქის მოედანზე. მით უმეტეს, „ინტერი“ მართლაც არ აპირებს არაფრის დათმობას და ფერარას თქმისა არ იყოს, ამაში **ჟოზე მოურინიოს** სიტყვები გვარწმუნებს:

*„დროა დერბიში მოპოვებული გამარჯვება დავივიწყოთ და იტალიის თასზე გადავერთოთ. ჩვენთვის სამივე ტურნირი, რომელშიც ვმონაწილეობთ, უმნიშვნელოვანესია. „ინტერის“ კალიბრის გუნდს არ აქვს უფლება რომელიმე ტურნირს ზერელედ მოეკიდოს და ძალები დაზოგოს, ამიტომ, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ძალების სრული მობილიზებით ვიასპარეზებთ“.*

გუშინ კიდევ ერთხელ გაიჟღერა **რაფა ბენიტესის** გვარმა. ჩიროსი არ იყოს, ესპანელ სპეციალისტსაც ემუქრება სამსახურის დაკარგვა. ასეთი თამაშით „ლივერპულს“ ძალიან გაუჭირდება საჩემპიონთალიგო ოთხეულში მოხვედრა. თუმცა „წითლების“ უფროსებს მეოთხე ადგილიც აღარ აკმაყოფილებთ - რაც მთავარია, ტიტულები არ ჩანს.

ფერარა კი ამდენხანს იმიტომ ვერ შეცვალეს, რომ სახელიანი მწვრთნელები დაკავებულები არიან. ამათგან, პირველი შეიძლება სწორედ ბენიტესი გათავისუფლდეს. როცა „იუვენტუსის“ ვარიანტზე ჰკითხეს, რაფას აგენტმა ჟურნალისტს არაორაზროვნად უპასუხა - არასოდეს თქვა „არასოდეს“, ფეხბურთში ყველაფერი სწრაფად იცვლებაო...

ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

**ლაშა ნიკლაური**



ჩირო ფერარას დღეებს უთვლიანო...

ლა ლიგა

*XIX ტურის რჩეულნი*

# ცხვირი გაუტეხა, მაგრამ მაინც...

**11-ის უკანასკნელი ტურის რჩეულებს წარმოგიდგენთ. ვერსია ჩვენეული არაა, goal.com-მა გუნდი ამჯერად 4-1-4-1 ფორმაციით შეარჩია. ტურის ნაკრებში ერთი გუნდიდან ორზე მეტი ფეხბურთელი არ მოხვედრილა...**

**სესარი** (ვალენსია): 38 წლის გოლკიპერმა ასაკისთვის უჩვეულო სიყოჩაღე გამოავლინა. მას სხვა გზა არ დარჩენოდა, რადგან დაცვის ოთხეულს „ტენერიფესთან“ მატჩში ჯგუფურად ეძინა. სესარმა, სულ მცირე, ხუთი აშკარა გოლისგან იხსნა „ლოს ჩე“ და პირადად მოუპოვა გუნდს ქულა.

**დანი ალვეში** (ბარსელონა): ბრაზილიელი მუდამ სოლიდურად თამაშობს, მაგრამ დიდი ხანია არ გვინახავს ასე ეფექტური დანი ალვეში. პირველი გოლი მისი პასით გავიდა, მეორე თავად გაიტანა, მესამე კი მისი წამოწყებული კომბინაციის დასრულებას მოჰყვა, ალვეშმა „ვალიადოლიდის“ დაცვის მარცხენა ფლანგი სრულ პანიკაში და ქაოსში ამყოფა 90 წუთის განმავლობაში.

**ჟულიენ ესკუდე** (სევილია): ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა „ალმერიასთან“ ჭკვიანურად უხელმძღვანელა დაცვის ხაზს. ესკუდე კარგად „კითხულობდა“ მეტოქის შეტევებს, შლიდა მათ და თავადაც დიდი სიამოვნებით ერთვებოდა „სევილიას“ შეტევებში.

**მანოლო მარტინესი** (ტენერიფე): თუკი სესარმა „ვალენსია“ იხსნა, მანოლო „ელ ტეტეს“ გმირი გახდა ამ შეხვედრაში. 29 წლის მარტინესმა „გადაყლაპა“ **დავიდ ვილია**, რომლის არსებობასაც მოედანზე ვერავინ ამჩნევდა.

**ხოან კაპდევილია** (ვილიარეალი): „ელ სუბმარინოს“ ვეტერანი მარცხენა მცველი მოწოდების სიმაღლეზეა. ამ სეზონში მას უფრო მეტი შემტევითი ფუნქციები დაეკისრა და ის გუნდის რიგებში რიგით მესამე ბომბარდირი გახდა. ხოანმა „სარაგოსას“ გაუტანა და კიდევ ერთ გოლშიც ლომის წილი დაიდო.

**ჟუკა** (დეპორტივო): ბრაზილიელმა „დეპორის“ უშუალო კონკურენტ „ბილბაოს“ შუა ხაზის პარალიზება მარტომ შეძლო, ამას დავუმატოთ ბასკთა კარში გატანილი მეორე გოლი...

**ხესუს ნავასი** (სევილია): ფლანგის ნახევარმცველი ამ სეზონში შეუდარებელია. რაც მთავარია, 24 წლის ნავასი უკვე ძალზე სტაბილურად თამაშობს მაღალ დონეზე. „ალმერიასთან“ მატჩში მას თანაგუნდელები ვერ აჰყვნენ, ამიტომაც ნავასი მარტო არბევდა სტუმართა დაცვას და ეს ბრწყინვალედ გამოსდიოდა.

**ჩავი** (ბარსელონა): ჩავიმ ბრწყინვალე დარტყმით გახსნა ანგარიში. თამაშით კი ჩვეულად, ბრწყინვალედ გაისარჯა, ყველაფერი მის კონტროლქვეშ იყო.

**გუტი** (რეალი): შანსი მისცეს და გამოიყენა კიდეც. „ლოს მერენგესის“ ვიცე-კაპიტანმა **რონალდოს** ორივე გოლში მიიღო აქტიური მონაწილეობა.

**მანუ დელ მორალი** (ხეტაფე): მანუმ ბრწყინვალედ ითამაშა ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. ქალაქის დერბიში მან აიკლო მეტოქის მარჯვენა ფლანგი და გაიტანა ისტორიული გოლი „ატლეტიკოს“ კარში. „ხეტაფემ“ მისი წყალობით შინ პირველად დაამარცხა „ატლეტიკო“.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): მიუხედავად წითელი ბარათისა, ჩვენ ის რჩეულთა 11-ეულის ღირსად მივიჩნიეთ. მან „მალაგას“ კარში დუბლი შეასრულა, მეორე გოლი კი თითქმის შედევრი იყო. მართალია, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პორტუგალიელმა იდაყვით მეტოქეს ცხვირი გაუტეხა...

სხვები, რომელთა აღნიშვნაც გვინდოდა: **ვალდესი** (ბარსელონა), **ალბიოლი** (რეალი), **მონრეალი** (ოსასუნა), **სენა** (ვილიარეალი), **რენატო** (სევილია), **სილვა** (ვალენსია), **ნილმარი** (ვილიარეალი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მანჩინი კასანოს უხმობს

„უდინეზე“ - „სამპდორიას“ შეხვედრაში, სათადარიგოთა სკამზე დარჩა **ანტონიო კასანო**, რამაც გულშემატკივრებთან ერთად, ჟურნალისტებიც გააკვირვა. ანტონიო გენუური კლუბის ლიდერია და მისი რეზერვში დატოვება მართლაც მოულოდნელი გახლდათ. უკვე რამდენიმეა დღეა, რაც იტალიური პრესა კასანოს ინგლისში შესაძლო გადაბარგებაზე ავრცელებს ინფორმაციას. საუბრობენ „მანჩესტერ სიტის“ ვარიანტზე, სადაც მთავარ მწვრთნელად იტალიელი **რობერტო მანჩინი** მუშაობს. ჟურნალისტთა ვარაუდით, ანტონიომ მართლაც განიზრახა ალბიონზე გადაბარგება, რისთვისაც დაისაჯა კიდეც და სათადარიგოთა სკამზე ამოყო თავი. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს „სამპდორიას“ მთავარი მწვრთნელი. აი, რას ამბობს **ლუიჯი დელ ნერი**:

*„ანტონიო ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ისიც ადამიანია და ხანდახან ფორმას კარგავს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კასანო დღეს ცუდ სათამაშო კონდიციაშია, რისთვისაც ის სათადარიგოთა სკამზე გავამწესე. საჭიროდ ჩავთვალე, ძირითად შემადგენლობაში პაცინი-პოცის ტანდემი დამეყენებინა და არც შევმცდარვარ, შესანიშნავად ითამაშეს და თითო გოლი მიითვალეს აქტივში. პოცის სახით, ძალიან კარგი ფეხბურთელი გვყავს, რომელიც უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ. რაც შეეხება კასანოს, დაუბრუნდება ოპტიმალურ ფორმას და აუცილებლად ვათამაშებ“.*

დელ ნერი იმას ამბობს, რასაც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კასანოს გენუური მომავალი ერთობ ბუნდოვნად მოჩანს. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ დარჩა გარკვეული პერიოდი და გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ ჭირვეული ფორვარდი ინგლისში გადაბარგდეს. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში „მანჩესტერ სიტის“ **რობინიო** დატოვებს და მშობლიურ „სანტოსს“ დაუბრუნდება, მანჩინი კი კასანოში ბრაზილიელის შემცვლელს ხედავს. ვნახოთ, უახლოეს დღეებში წესით ბევრი რამე უნდა გაირკვეს.

**ლაშა ნიკლაური**



ანტონიო კასანო და რობერტო მანჩინი



ვესლი სნეიდერი ტყუილად დავობდა...

დანაშაული და სასჯელი

# სნეიდერის ორი მატჩი

## ინტერს სანქციები დაუწესეს

მილანური დერბის შემდეგ, **ჟოზე მოურინიომ** ბევრი იწუწუნა, კი გავიმარჯვეთ, მაგრამ იმის უთქმელობა არ შეიძლება, მსაჯი რომ მუდმივად მეტოქის მხარეს იჭერდაო. ანალოგიური კომენტარები გააკეთეს „ნერაძურის“ ფეხბურთელებმა და თვით **მასიმო მორატიმ**, რომელიც აღშფოთებული გახლდათ არბიტრ **ჯანლუკას როკის** გადაწყვეტილებებით. ყველაზე მეტად, „ინტერისტები“ **ვესლი სნეიდერის** გაძევებით დარჩნენ უკმაყოფილონი, წითელი ნამეტანი იყო, ყვითელი ბარათით უნდა შემოფარგლულიყოო. შეგახსენებთ, რომ ვესლიმ როკი ცინიკური ტაშით „დააჯილდოვა“, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა „მილანის“ სასარგებლოდ ჩასტვინა.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ ვერც კი წარმოიდგენდნენ „ნერაძურის“ ბანაკში, რომ სნეიდერს სულაც ორმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოუწერდნენ. დიახ, ვესლის ერთი თამაშის გამოტოვება არ აკმარეს და სასჯელი გაუორმაგეს. ამასთან დაკავშირებით კომენტარი სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელმა გააკეთა და განაცხადა, რომ მატჩის მთავარი არბიტრის შეურაცხყოფა დაუსჯელი არც სამომავლოდ დარჩება. განიხილეს **ლუსიოს** საკითხიც, ბრაზილიელს მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. რაც შეეხება **მარკო მატერაცის**, მას მკაცრი გაფრთხილება მისცეს და ანალოგიურის გამეორების შემთხვევაში, მძიმე სასჯელით დაემუქრნენ - შეგახსენებთ, რომ „ინტერის“ უკანახაზელმა დერბიში გამარჯვება ექსტრავაგანტურად აღნიშნა: **სილვიო ბერლუსკონის** ნიღაბი გაიკეთა და ისე შეირბინა „ჯუზეპე მეაცას“ მწვანე მინდორზე.

„ინტერს“ ფინანსური სანქციებიც დააკისრეს: ტიფოზების აგრესიული ქმედებებისთვის „ნერაძურის“ მესვეურებს 7000 ევროს გადახდა მოუწევთ, ზედ 2500 ევროც უნდა დაამატონ, რადგან გუნდი შესვენებისას გასახდელიდან სამწუთიანი დაგვიანებით გამოვიდა.

**ლაშა ნიკლაური**

სენსაცია!

# სპინელიმ კოზმი დააბრუნა

როგორც გუშინ გაუწყეთ, „ლივორნოს“ მთავარი მწვრთნელი **სერსე კოზმი** პრეზიდენტ **ალდო სპინელისთან** დაძაბული ურთიერთობის მოტივით პოსტიდან გადადგა. გუშინვე სპინელიმ კოზმის სავარაუდო შემცვლელებად დაასახელა რუმინელი **დან პეტრესკუ** და სკანდალურად ცნობილი ჩეხი **ზდენეკ ზემანი**, რომელმაც თითქმის მთელი სამწვრთნელო კარიერა იტალიაში გაატარა...

მაგრამ უცებ ყველაფერი თავდაყირა დადგა. გუშინ სპინელიმ ყოფილი მწვრთნელი ოფისში მიიწვია. შეხვედრის შემდეგ ტოსკანური კლუბის ბოსმა სენსაციური განცხადება გააკეთა: *„სინიორ კოზმის პროფესიონალიზმი არასოდეს დამიყენებია ეჭვქვეშ. ასე რომ, გაყრა არ შედგა, თანამშრომლობა გრძელდება“.*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ბუსკეტსი უკვე მწყობრშია

„ბარსელონას" ტრავმირებული ნახევარმცველი **სერხიო ბუსკეტსი** უბრუნდება - ბუსკეტსი კუნთის დაზიანების გამო 10 დღით გამოადგა კატალონიურ გუნდს. გუშინ მან გუნდთან ერთად შეძლო ვარჯიში ყოველგვარი გართულების გარეშე. ასე რომ, **პეპ გვარდიოლას** მისი გამოყენება შაბათს „სპორტინგის" წინააღმდეგ შეეძლება. გუნდთან ერთად არ უვარჯიშიათ და ტრენაჟორების დარბაზში მომზადებით დაკმაყოფილდნენ **კარლეს პუიოლი, ჟერარდ პიკე** და **სეიდუ კეიტა**.

## მთავარ გუნდში გადაიყვანეს

მადრიდის „რეალის" მწვრთნელმა **მანუელ პელეგრინის** პირველ გუნდში თავის გამოჩენის შანსი მცველ **ხავი ველაიოსს** მისცა. 22 წლის მარჯვენა მცველი ეს კვირა ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშებს და თუ თავს გამოიჩენს, შეიძლება „დეპორტივოსთან" მატჩის განაცხადშიც მოხვდეს. ტრენაჟორების დარბაზში ვარჯიშობენ: **ვან დერ ვაარტი, გაგო, იგუაინი, გარაი** და **ლასანა დიარა**. მათი თამაში გალისიაში თითქმის გამორიცხულია. **მამადუ დიარამ** კი ესეც ვერ შეძლო, აფრიკის ერთა თასზე მიღებული ტრავმის გამო ის „სამეფო კლუბს" უახლოესი 2 კვირის განმავლობაში ვერაფრით დაეხმარება.

## სანტანა სან პაულუში

**კლებერ სანტანა** მესამე ფეხბურთელი გახდება, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოს" დატოვებს. „მარკას" ცნობით, ბრაზილიელი ნახევარმცველი „სან პაულუში" გადადის. არადა, დიდი ხანი არ არის, რაც კლებერმა 2012 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი, მაგრამ კლუბში არგენტინელი **ედუარდო სალვიოს** გამოჩენით გუნდში არაევროკავშირელების კვოტა ამოიწურა. ათლეტთა სპორტული დირექტორი **ხესუს გარსია** ბრაზილიაში კონტრაქტის შესათანხმებლად იმყოფება. „ატლეტიკო" უკვე დატოვეს **ფლორენ სინამა-პონგოლმა** და **მაქსი როდრიგესმა**. სავარაუდოდ, წავა **ლეანდრო კაბრერაც**.

## მესის შერჩა, კრიშტიანოს არა

მადრიდული AS-ის ვებსაიტმა გამოაქვეყნა ვიდეოეპიზოდი, რომელზეც კარგად ჩანს, რომ „სევილიასთან" 4:0 დასრულებულ მატჩში **ლეო მესი** ზუსტად ისე არღვევს წესს, როგორც ეს **კრიშტიანო რონალდომ** „მალაგასთან" გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ანდალუსიელებთან მატჩის მეორე ტაიმში რონალდომ იდაყვით ცხვირი გაუტეხა მალაგელ **პატრიკ მტილიგას**. პორტუგალიელმა ამის გამო წითელი ბარათი მიიღო. „ბარსელონა"-„სევილიას" მატჩში მესის იდაყვმა სევილიელი **მარკ ვალიენტე** შეიწირა, მაგრამ რეფერიმ არათუ გააფრთხილა არგენტინელი, ვალიენტეს გაპროტესტებისთვის ყვითელი ბარათიც მისცა. ეპიზოდებზე კარგად დაკვირვებისას ორ განსხვავებას აღმოაჩენთ, მესი ცდილობდა გასცდენოდა მეტოქეს, რომელიც მას ხელით იჭერდა და ორჯერ უთავაზა იდაყვი მას, მაგრამ რონალდოსგან განსხვავებით ცხვირი ვერ გაუტეხა. „რეალის" ხელმძღვანელობა ამ ვიდეოს გამოყენებას რონალდოს დისკვალიფიკაციის გასაპროტესტებლად აპირებს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ესპანური ინკვიზიცია

# შუა ლალიგური რეპორტაჟი



ლეო მესი და ბარსა ისევ ყველაზე უკეთესები არიან

**ესპანურმა ლა ლიგამ ეკვატორი გადალახა. საინტერესოა, როგორ ითამაშა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატის საუკეთესო 20-ეულმა. რომელმა გუნდმა გაამართლა, რომელმა კი გული დასწყვიტა მხარდამჭერებს...**

### A-კლასელები

#### ბარსელონა

კრიტიკოსები ამბობენ, „ბარსელონა" ისე ბრწყინვალედ არ გამოიყურება, როგორც გასულ სეზონშიო. ძნელია ამ მოსაზრებას დაეთანხმო, **პეპ გვარდიოლას** გუნდი 19 მატჩის შემდეგ დაუმარცხებელია და ხუთქულიანი ჰანდიკაპით სჯობნის მთავარ კონკურენტ „რეალს". არ ვიცით დაკარგა თუ არა „ბარსას" თამაშმა ხიბლი, მაგრამ ფაქტია, ეს გუნდი ჯერაც საუკეთესო თამაშს აჩვენებს პლანეტაზე. მართალია, „ბლაუგრანას" ქულით ნაკლები აქვს, ვიდრე შარშან ამ დროს, მაგრამ გუნდმა შეინარჩუნა მთავარი - იგივე საფეხბურთო ფილოსოფია და არ დაუკარგავს მონდომება.

***საუკეთესოები:*** ლიონელ მესი, ჩავი, პედრო.

**კატეგორია: A**

#### მალიორკა

ბალეარელები ბოლო სეზონებში ცხრილის ქვედა ნახევარში იტანჯებოდნენ. ამას ერთვოდა გუნდის ხელმძღვანელობის უცნაური, არაკომპეტენტური გადაწყვეტილებები და ფინანსური სირთულეები, რაც **გრეგორიო მანსანოს** სოლიდური გუნდის ჩამოყალიბების შანსს არ უტოვებდა. მაგრამ ამ სეზონში მწვრთნელმა ეს რაღაც მანქანებით შეძლო, გუნდს არ დაუმატებია სუპერვარსკვლავი, თუმცა ბარეალელები მაღალი დონის გუნდურ თამაშს გვიჩვენებენ, საქმე მხოლოდ კარგ შედეგებში არაა. მშობლიურ სტადიონზე „მალიორკას" სენსაციური რეკორდი აქვს - 9-დან 9 გამარჯვება და 3 გაშვებული გოლი! აი, რატომ იკავებენ კუნძულელები ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელ ადგილს.

***საუკეთესოები:*** დუდუ ავატე, ბორხა ვალერო, არიც ადურისი

**კატეგორია: A+**

#### დეპორტივო

კიდევ ერთი გუნდი, რომელმაც ბოლო სეზონების კრიზისი ალმოფხვრა. ლაკორუნიელებს კვლავ შეუძლიათ იამაყონ 2000-იანების დასაწყისში შერქმეული სახელით - სუპერდეპორი. შესაძლოა, **მიგელ ანხელ ლოტინას** გუნდის სათამაშო სტილი ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ გალისიური გუნდი მწყობრად იცავს თავს, შედეგიც შესაბამისია - 19 თამაშში გაშვებული 19 გოლი. გუნდმა ბრწყინვალე თამაშები გამართა მაღალი კლასის მეტოქეებთან: „ვილიარეალთან", „სევილიასთან", „ატლეტიკოსთან", „ვალენსიასთან"... თუკი სეზონის მეორე ნახევარიც ასეთი იქნება, სუპერდეპორი ჩემპიონთა ლიგას დაუბრუნდება

***საუკეთესოები:*** ფილიპე ლუიში, ანდრეს გუარდადო

**კატეგორია: A**

### სამაგალითოები

#### ვალენსია

ბოლო ორი სეზონის საშინელების შემდეგ „ლოს ჩემ" საკუთარი თამაში იპოვა. გუნდი მესამე ადგილზეა გრანდების შემდეგ, თუმცა ლიდერთან 10 ქულა აშორებს.

„მესტალიელები" ნელ-ნელა გამოდიან იმ არასაფეხბურთო კრიზისიდან, რომლის გამოც გუნდს საფეხბურთო საქმეებიც აერია. ეს გუნდი მხოლოდ იმიტომ არ შევიყვანეთ უმაღლეს კატეგორიაში, რომ რამდენჯერმე „ძველებურად" უაზროდ დაკარგა ქულები - შინ ხიხონის „სპორტინგთან", მაშინ ძალიან ცუდ ფორმაში მყოფ „ატლეტიკოსთან", სტუმრად „ტენერიფესთან". სწორედ ამიტომ, „ვალენსიას" საჩემპიონო ამბიცია ფანტასტიკის სფეროდანაა.

***საუკეთესოები:*** პაბლო ერნანდესი, ევერ ბანეგა, დავიდ ვილია

**კატეგორია: B+**

#### რეალი

„რეალის" ნებისმიერი გულშემატკივრისთვის „ბარსელონასთან" ჩამორჩენა დიდი ნაკლია, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რას წარმოადგენს დღევანდელი „ბარსელონა", მასთან ხუთქულიანი ჩამორჩენა არცთუ სასირცხვილო უნდა იყოს.

ზაფხულში „რეალი" მნიშვნელოვნად გამოიცვალა, ჩილელმა მწვრთნელმა **მანუელ პელეგრინიმ** შეძლო კლუბის პრეზიდენტის, **ფლორენტინო პერესის** მოთხოვნების დაკმაყოფილება, მან მოაწონა თავი ფანებს, მისი ხელმძღვანელობით დისკომფორტს არ განიცდიან სუპერვარსკვლავები. „რეალს" 100-პროცენტიანი შედეგი აქვს „სანტიაგო ბერნაბეუზე", ეს დიდი პლუსია, თან მუდამ არსებობს შეგრძნება იმისა, რომ „რეალი" ჯერ თავის პოტენციალს ახლოსაც არ მიკარებია...

***საუკეთესოები:*** კრიშტიანო რონალდო, ლასანა დიარა, გონსალო იგუაინი

**კატეგორია: B+**

#### ხეტაფე

შარშანდელ სეზონში მადრიდის გარეუბნის გუნდს ლამის საკუთარი ტყავიდან გამოძრომა დასჭირდა, პრიმერა დივიზიონს რომ არ დამშვიდობებოდა. სპეციალისტების 99% „ხეტაფეს" იმავე ჯოჯოხეთის გავლას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ გუნდის დამრიგებელი, წარსულში „რეალის" ვარსკვლავი **მიჩელი** სხვაგვარად ფიქრობდა...

„ლოს ასულონესმა" სეზონი ყველაზე საუკეთესო სცენარით დაიწყო, კანტაბრიაში ადგილობრივი „რასინგი" მოსრა - 4:1. „ხეტაფე" უკომპრომისო ბრძოლით გამოირჩევა, გუნდს ჯერ ერთი ფრეც არა აქვს. მოკლედ, გუნდმა ყველა თამაში მოიგო, რისი მოგებაც ამ მცირე კლუბის შესაძლებლობებს არ აღემატებოდა.

***საუკეთესოები:*** რობერტო სოლდადო, მანუ დელ მორალი, პედრო ლეონი

**კატეგორია: B**

#### სპორტინგი

ასტურიელები პრიმერაში ყველაზე ცუდ ფეხბურთს გვაჩვენებდნენ შარშან. „სპორტინგს" წლეულს გავარდნის უპირველეს კანდიდატთა შორის ასახელებდნენ. **მანოლო პრესიადოს** გუნდს ზაფხულში, თითქოს, ჯადოსნური ჯოხი დაჰკრეს - დაცვაში უნიჭო „სპორტინგი", ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ხაზის პატრონია. მძიმე დასაწყისის შემდეგ გუნდი სულ ცხრილის ზედა ნაწილშია.

***საუკეთესოები:*** ალბერტო ბოტია, მიგელ დე ლას კუევასი

**კატეგორია: B**

#### ბილბაო

„ლოს ლეონესს" ბოლო დროს ერთ-ერთი საუკეთესო სტარტი გამოუვიდა. ბასკებმა „სან მამესზე" არც „ბარსელონა" და არც „რეალი" გაახარეს.

მაგრამ „ათლეტთა" აქილევსის ქუსლი შედარებით სუსტ მეტოქეებთან ნაჩვენები თამაშია, რომელიც ხშირად ვერ უძლებს კრიტიკას. ეს თუ არ გამოასწორეს, ბასკები ევროსაგზურის გარეშე დარჩებიან.

***საუკეთესოები:*** გორკა ირაისოსი, ხავი მარტინესი, იკერ მუნიაინი

**კატეგორია: B**

### უკეთაც შეიძლებოდა

#### ოსასუნა

ვინც **ხოსე ანტონიო კამაჩოს** გუნდის თამაშები ნახა „რეალთან" და „ბარსელონასთან", გაიკვირვებს, რატომ არ არის ეს გუნდი უფრო მაღლა გათამაშების ცხრილში. თუმცა მათ „ალმერიასთან" და „ტენერიფესთან" წაგებული მატჩებიც უნდა ენახათ და ამ კითხვაზე პასუხს მიიღებდნენ. მეორე ნახევარში თუ არ მოუმატებენ, ნავარელები ერთი საშუალო კლუბის მოკრძალებულ საბოლოო შედეგზე მეტს ვერ მიიღებენ.

***საუკეთესოები:*** ვალტერ პანდიანი, ხუანფრანი

**კატეგორია: C+**

#### ესპანიოლი

ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ვერ ახერხებს გუნდურ თამაშს. **მაურისიო პოჩეტინოს** გუნდმა სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით შეძლო 7 წაუგებელი მატჩის გამართვა, ეს იყო და ეს...

კლუბს უჩივის ყოფილი კაპიტანი და მთავარი ვარსკვლავი **რაულ ტამუდო**, შეუძლებელია ეს არ აისახოს გუნდის თამაშზე.

***საუკეთესოები:*** კარლოს კამენი, ნიკო პარეხა, ივან ალონსო

**კატეგორია: C**

#### რასინგი

„ესპანიოლის" მსგავსად, კანტაბრიული გუნდი კარგი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც კარგა ხანია ერთად თამაშობენ და უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. მაგრამ გამოუცდელმა მწვრთნელმა **ხუან კარლოს მანდიამ** „რასინგი" ვერ ააწყო და გუნდის დატოვებამ მოუწია.

**მიგელ ანხელ პორტუგალის** ხელში კი გუნდი უმატებს და უმატებს. ბოლო შვიდ მატჩში კანტაბრიელებმა 5 მოიგეს და გავარდნის ზონას თავი დააღწიეს.

***საუკეთესოები:*** ოსკარ სერანო, სერხიო კანალესი

**კატეგორია: C**

### ვერ ივარგეს

#### სევილია

სეზონი დიდი იმედებით დაიწყო ანდალუსიის საუკეთესო კლუბმა, მაგრამ „ვალენსიასთან" მარცხმა „სევილიას" იმედებს ცივი წყალი გადაასხა. შემდეგ იყო გამარჯვება მადრიდის „რეალთან" - 2:1. ისევ დაიჯერა ბევრმა, რომ „სევილია" ტიტულის სერიოზული კანდიდატია.

ბოლო რვა ტურიდან „სევილიამ" მხოლოდ 2 შეხვედრა მოიგო, ახლა მანოლო სანჩესის გუნდი მე-6-ეა და 16 ქულით ჩამორჩება „ბარსას", რომელ ტიტულზე არის ლაპარაკი...

**კატეგორია: C-**

#### ვილიარეალი

ბოლო დროს ესპანური ფეხბურთის ელიტაში დამკვიდრებული „ელ სუბმარინო" პირველი 8 ტური გავარდნის ზონაში დაილექა, თუმცა „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" მაინც ამოყვინთა. მანუელ პელეგრინის წასვლა ძალზე დაეტყო გუნდს, ერნესტო ვალვერდე კი, ისევე როგორც მისი ვარსკვლავები, თავიდან კარგად ვერ გაერკვა სიტუაციაში.

**კატეგორია: C-**

#### მალაგა

შარშანდელი სეზონის სენსაცია, გუნდი, რომელსაც სულ ცოტა დააკლდა ევროსაგზურის მოსაპოვებლად. ახალ სეზონში ანდალუსიელები 13-მატჩიანი მოუგებელი სერიით „იწონებენ" თავს.

**კატეგორია: C-**

### ტოტალური ჩავარდნა

#### ატლეტიკო

საოცარია, მაგრამ **სიმაოს, აგუეროს, რეიესის, ფორლანის** და **რაულ გარსიას** პატრონი გუნდი პირველ ნახევარში გავარდნის ზონას გაუშინაურდა. „ატლეტიკო", როგორც გუნდი არ არსებობდა, **აბელ რესინოს** 11-ეულს დაცვაში დიდი ხვრელები ჰქონდა, მადრიდელებიც აგებდნენ გაუთავებლად. **კიკე ფლორესის** მოსვლამ გუნდს აშკარად უშველა, მაგრამ დაცვის ხაზი ისევ ისეთი სუსტია.

**კატეგორია: D**

#### სხვები

„ხერესს", თავისი მწირი ბიუჯეტის და სუსტი ფეხბურთელების წყალობით რამე სახეირო რომ გაეკეთებინა, გმირობად ჩავუთვლიდით და A კატეგორიას მივანიჭებდით. „ტენერიფე" და „სარაგოსა" დამსახურებულად იმყოფებიან გავარდნის ზონაში, თუ კანარელების შემადგენლობას მეტი, უბრალოდ, არ შეუძლია, გაუგებარია, **პენანტის, აიალას, ლაფიტას, ევერტონისა** და **არისმენდის** პატრონმა არაგონელებმა მეტის მიღწევა, როგორ ვერ შეძლეს. „ვალიადოლიდი" და „ალმერია" თუ ვერ გამონახავენ რესურსს, რომლის წყალობითაც თამაშის ხარისხს აამაღლებენ, პრიმერას დაემშვიდობებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მანჩესტერ იუნაიტედი**

# ფერგის ღრიალი

„მანჩესტერ იუნაიტედში“ **ანდერსონის** მომავალს კითხვის ნიშანი გაუჩნდა - 21 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი ორშაბათს ვარჯიშზე აღარ მივიდა. მიზეზი: გასულ სამშაბათს „ქარლინგის თასის“ ნახევარფინალში „მანჩესტერ სიტისთან“ 2:1 წაგების შემდეგ ანდერსონს მწვრთნელმა, **სერ ალექს ფერგიუსონმა** ულრიალა - ეს ხომ მისთვის ჩვეული საქციელია. ღრიალის გარდა ფერგიუსონმა ბრაზილიელი იმითაც დასაჯა, რომ შაბათს „ჰალის“ წინააღმდეგ არ ათამაშა და ისიც, გაბრაზდა. როგორც დამსწრეთაგან გახდა ცნობილი, როდესაც თამაშის დილას ანდერსონმა შეიტყო, რომ ფერგიუსონი მას მოედანზე შეშვებას არ უპირებს, წყენა აღარ დამალა. მან განაცხადა, რომ მშვენიერ ფორმაშია და თამაშის სანახავად აღარც კი დარჩა. როგორც მოგახსენეთ, ამის გაგრძელება ის გახლდათ, რომ იგი ორშაბათს ვარჯიშზე არ მივიდა.

ანდერსონი, ბევრის აზრით, მიმდინარე სეზონში მართლაც ვერ თამაშობს კარგად, თავად კი ასე არ ფიქრობს და უკმაყოფილოა, რომ იშვიათად რთავენ საქმეში. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 23 შეხვედრიდან ბრაზილიელმა მხოლოდ ცხრაჯერ ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში. ბოლო სამ ტურში ის ძირითადში არ ყოფილა. საინტერესოა, რომ ბოლო ოთხი შეხვედრა, როდესაც ფერგიუსონმა ანდერსონი თერთმეტ კაცში დაასახელა, „იუნაიტედმა“ წააგო. მათგან ფერგიუსონი ყველაზე მეტად ბოლომ გააბრაზა, „მანჩესტერ სიტისთან“, რომელშიც, მწვრთნელის აზრით, ფეხბურთელი ძალისმიერ ორთაბრძოლებს გაურბოდა.

**ილია ბაბუნაშვილი**



ანდერსონსა და სერ ალექსს შორის შავმა კატამ გაირბინა



უეინ რუნი

# რუნი ისტორიაზე ფიქრობს

**უეინ რუნიმ** კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი მომავალი მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ იქნება დაკავშირებული - ინგლისელი ვარსკვლავი, მოგეხსენებათ, საუცხოო ფორმაშია, პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში მან უკვე 19 გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთბაშად ოთხი ბოლო ტურში „ჰალს“ შეუგდო. რამდენადაც ცნობილია, სერ **ალექს ფერგიუსონის** ფავორიტის შეძენა ესპანურ გრანდებს, „ბარსელონასა“ და „რეალს“ სურთ, თუმცა თავად ფეხბურთელმა ასე განაცხადა:

*„ჩემ გარშემო ყოველთვის სატრანსფერო ჭორები ტრიალებს. ისე, როდესაც შენს სახელს სხვა დიდ კლუბებს უკავშირებენ, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ იძულებული ვარ, იგივე გავიმეორო, რაც აქამდეც ბევრჯერ მითქვამს: მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ვარ და ამ გუნდში თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ“.*

სხვა სიტყვებით, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფინანსური წელიწადის მოგებით დასრულება, ყოველ შემთხვევაში, იმ ხერხით, რომლითაც კლუბმა ეს შარშან შეძლო, აღარ გამოუვა. ხერხს კი აქვე შეგახსენებთ, რადგან ის ძალიან მარტივია და მის აღწერას სულ ორი სტრიქონი სჭირდება - „იუნაიტედმა“ გასულ ზაფხულს 80 მილიონ ფუნტად **კრისტიანო რონალდო** გაყიდა.

ხმები, რუნისაც გაყიდიანო, ინგლისში მას მერე დაირხა, რაც გაირკვა, რომ ინგლისის ჩემპიონს ვალად 716 მილიონი ფუნტი აწევს, მაგრამ 24 წლის ფეხბურთელი კლუბის ფინანსებსა და ვალების გადახდის მეთოდებზე არ ფიქრობს. მისთვის დღეს მთავარი ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაა.

რუნიმ თქვა: *„ჩვენ ინგლისის ჩემპიონობა ზედიზედ სამჯერ მოვიპოვეთ, ზედიზედ ოთხჯერ კი ეს აქამდე ვერავის მოუხერხებია. შესაბამისად, ჩვენი დღევანდელი მიზანი ისტორიაში ახალი ფურცლის ჩაწერაა. თან, წლეულს ტიტულისთვის ბრძოლა წინა წლებზე გაცილებით ცხარეა, ამიტომაც ინგლისში ფანებისა თუ ნეიტრალური ადამიანებისთვის ჩვენი შეჯიბრებისთვის თვალყურის მიდევნება ძალიან საინტერესო უნდა იყოს. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ცხრილში პირველ ადგილზეა და ვიმედოვნებთ, რომ ამ პოზიციას აღარ დავთმობთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

**სატრანსფერო ამბები**

# ლონდონში ხმლები იშიშვლეს

„ვესტ ჰემი“ კვლავ თავდამსხმელის ძიებაშია და „ბლექბერნ როვერსს“ **ბენი მაკარტის** ყიდვის სურვილით მიმართა. „როვერსის“ მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** ლონდონელებს პასუხად ასეთი რამ შეუთვალა - თუ უახლოეს დღეებში ჩემთვის კარგ ფორვარდს ვიშოვი, ეს 32 წლის სამხრეთაფრიკელი თქვენი იყოსო.

თუკი მიმდინარე სეზონის სტატისტიკას ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ მაკარტიმ „ბლექბერნის“ სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ცხრაჯერ ითამაშა, ჟურნალისტებისთვის კი ცნობილი გახდა, რომ ის ბოლო ორი ვარჯიშია აღარც ჩანს, აცდენს. ამ საქმესთან დაკავშირებით „ჩაქუჩების“ ახალმა თანამეპატრონემ **დევიდ სალივანმა** განაცხადა:

*„ჩვენ ყველამ ხმალი ვიშიშვლეთ და იმედია უახლოეს რამდენიმე დღეში სასიხარულო პასუხსაც მივიღებთ. ჩვენ უკვე ყელამდე საქმეში ვართ ჩაფლულები და „ვესტ ჰემის“ ფანებს მინდა ვუთხრა, რომ რამდენიმე კარგი საქმეც მოვასწარით - ორ თუ სამ ფეხბურთელს გუნდიდან გაქცევა გადავაფიქრებინეთ. ამის შემდეგ კიდევ ერთი ან ორი ახალი მოთამაშის დამატებასაც თუ მოვასწრებთ, ჩათვალეთ, რომ დიდ საქმეს გავაკეთებთ“.*

რაც შეეხება ელერდაისს, მან განაცხადა, რომ მაკარტის საქციელმა ძალიან გაანაწყენა. ფეხბურთელი ვარჯიშებს არ უნდა აცდენდეს, ხოლო გამცდენთან ურთიერთობა სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ ძალიან ძნელი საქმე იქნება.

*„ახლა ჩვენ ამ მოთამაშესთან დაკავშირებული ყველა შემოთავაზება უნდა მოვისმინოთ, ავწონ-დავწონოთ და თუ რომელიმე მათგანი „ბლექბერნის“ კომერციულ თუ საფეხბურთო ინტერესებს დააკმაყოფილებს, შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ“.*

„ვესტ ჰემი“, რომელსაც მაკარტის შეძენა სურს, ვალებშია. კლუბს მხრებზე 110 მილიონი დოლარი აწევს, მაგრამ ახალი მეპატრონეები მაინც არ ერიდებიან ფულის დახარჯვას, რადგან გრძნობენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მომავალი სეზონი ქვედა ლიგაში, „ჩემპიონატში“ გაატარონ.

ბენი მაკარტი „ბლექბერნში“ „პორტსუდან“ 2006 წელს გადავიდა და მას მერე 52 გოლი შეაგდო. მისი შეძენა „ჩაქუჩების“ მწვრთნელს, იტალიელ **ჯანფრანკო ძოლასთვის** სასიხარულო ამბავი იქნება.



ბენი მაკარტიმ ბლექბერნს შეიძლება ხელი დაუქნიოს

*„დღეს ყველაზე მეტად თავდასხმაში გვიჭირს. მეტი ფორვარდი გვჭირდება - თქვა ძოლამ - კლუბის დირექტორატმა მითხრა, რომ გადახალისება გვჭირდება, მაგრამ ბიუჯეტი ჯერ არ გაგვიხილავს. მე ახალ მეპატრონეებს ვენდობი და ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია. რასაკვირველია, ფეხბურთელებს დირექტორები კი არა, მე შევარჩევ, თუმცა ისინი გვერდში დამიდგებიან“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

**ინტერვიუ** — იოახიმ ლიოვი

# ფრინგსს უკვე ხუთი ფეხბურთელი სჯობია!

## ტორსტენის ბუნდესგუნდში დაბრუნება გამორიცხულია, ჰუმელსის, ბადშტუბერისა და ჰიოვედესის დრო კი მუნდიალის შემდეგ დადგება

**გერმანიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა წინა კვირაში ბუნდესგუნდის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. ბუნდესმწვრთნელი სწორედ ამ სიიდან შეარჩევს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის დროშის ქვეშ იასპარეზებენ. სიაში ვერ მოხვდა „ვერდერის“ საყრდენი ნახევარმცველი, გამოცდილი ტორსტენ ფრინგსი და ლიოვმა დაადასტურა, რომ ტორსტენისთვის სანაკრებო კარიერა დამთავრებულია - იოგიმ ფრინგსს ნაკრების კარი საბოლოოდ ჩაურაზა. გთავაზობთ ინტერვიუს იოახიმ ლიოვთან, რომელიც „ბილდში“ გამოქვეყნდა.

**- ჰერ ლიოვ, ტორსტენ ფრინგსს გერმანიის ნაკრებში 79 მატჩი აქვს ჩატარებული და ვფიქრობთ, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ბუნდესგუნდიდან ოფიციალური გაცილება მოვუწყოთ. საინტერესოა, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით.**

- დავემშვიდობებით თუ არა ტორსტენს ოფიციალურად და თუ დავემშვიდობებით, როგორ - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა არ შემიძლია. ფაქტია, რომ გამოსამშვიდობებელი მატჩი არ დაგვიგეგმავს. დავგეგმავთ თუ არა, ესეც არ ვიცი.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ მასთან პირადი უსიამოვნება უნდა დაივიწყოთ და საკითხს პრაგმატულად შეხედოთ?**

- არავითარი პირადი უსიამოვნება არ არსებობს.

**- ფრინგსს გერმანიის ნაკრების კარი საბოლოოდ დაუხურეთ?**

- დიახ, ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა. ტორსტენი ჩემს გეგმებში აღარ ზის. ფრინგსი საყრდენი ნახევარმცველია და გერმანიის ნაკრებს უდიდესი სამსახური გაუწია, მაგრამ დღესდღეობით საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ძალიან ბევრი ფეხბურთელი მყავს. უმეტესობა ტორსტენზე უკეთესია. მაგალითად, სამი ხედირა, სიმონ როლფესი, კრისტიან გენტნერი, თომას ჰიტცლშპერგერი და ბასტიან შვაინშტაიგერიც.

**- შვაინშტაიგერმა ცენტრში უნდა ითამაშოს?**

- პრინციპში, შვაინის უფრო ფლანგისთვის განვიხილავ, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ცენტრშიც ძალიან კარგად ითამაშებს. „ბაიერნში“ ხომ უმეტესად ცენტრალური ნახევარმცველია. მაგრამ გერმანიის ნაკრებში ცენტრში მხოლოდ იმ შემთხვევაში ვათამაშებ, თუ მარჯვენა ფლანგზე კარგი ალტერნატივა მეყოლება. დღეს კი შვაინშტაიგერი მარჯვენა ნახევარმცველის რანგში გვჭირდება. ამ პოზიციაზე მან უკვე ძალიან ბევრი მატჩი ჩაატარა და ყოველთვის კარგად თამაშობს. სწორედ ამიტომ, დღეს მის ადგილს არა ცენტრში, მიხაელ ბალაკის გვერდით, არამედ მარჯვენა ფლანგზე ვხედავ.

**- ღმერთმა არ ქნას და დავუშვათ, შვაინი დაშავდა. ვინ შეიძლება ითამაშოს მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე?**

- ამ პოზიციაზე თამაში, პირველ რიგში, თომას მიულერს შეუძლია და რა თქმა უნდა, ტონი კროოსსაც. მიულერიცა და კროოსიც ძალიან სწრაფები არიან და ამასთან, ტაქტიკურად და ტექნიკურად მაღალ დონეზე თამაშობენ. ორივე მათგანს ძალიან დიდი ყურადღებით ვაკვირდებით და მეორე წრეშიც დავაკვირდებით. იმედი მაქვს, რომ კიდევ უფრო მოუმატებენ.

**- გადაწყვეტილია, რომ თავდამსხმელებიდან მუნდიალზე აუცილებლად წაიყვანთ მიროსლავ კლოზეს, ლუკას პოდოლსკის და მარიო გომესს. რა შანსები აქვს შტეფან კისლინგს?**

- დღევანდელი გადასახედიდან, შტეფანს ძალიან კარგი შანსი აქვს, ითამაშოს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბევრი გოლი გააქვს, მაგრამ მე მას მხოლოდ გოლებით არ ვაფასებ. მაინტერესებს კისლინგის სათამაშო შესაძლებლობები. ბოლო წლებში კისლინგმა დიდი პროგრესი განიცადა. ადრე თავდაჯერება აკლდა და ამიტომაც ვერ ახერხებდა ბევრი გოლის გატანას. ახლა კი თავდაჯერებულია და შესაბამისად, ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს.

**- ვინ იქნება გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე, ეს ჯერ არ გაქვთ გადაწყვეტილი. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ მუნდიალზე რენე ადლერს, მანუელ ნოიერსა და ტიმ ვიზეს წაიყვანთ. ამ სამეულიდან რომელიმეს რაიმე საფრთხე ხომ არ ემუქრება?**



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი

- თუ რომელიმე მათგანმა მეორე წრეში თამაში მკვეთრად არ გააუარესა ან რომელიმემ ტრავმა არ მიიღო, გამორიცხულია, რომ მუნდიალზე ეს სამეული არ წავიყვანო. 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე განაცხადში სწორედ ადლერი, ნოიერი და ვიზე მეყოლებიან.

**- და მაინც, ვინ იქნება პირველი მეკარე?**

- მეკარეს, რომელიც არგენტინასთან ამხანაგურ მატჩში კარს დაიცავს, საუკეთესო შანსი ექნება, მუნდიალზეც პირველი ნომერი იყოს. თუ ის კიპერი არგენტინასთან კარგად ითამაშებს, მსოფლიოს ჩემპიონატზეც პირველი იქნება. ჩვენ არ გვითქვამს ზუსტი თარიღი, თუ როდის უნდა დავასახელოთ პირველი მეკარე და ვფიქრობ, ზუსტი თარიღის დათქმა საჭირო არც არის, რადგან დრო ბევრი გვაქვს, წნეხის ქვეშ ნამდვილად არ ვართ მოქცეულები.

**- ჰოლგერ ბადშტუბერი „ბაიერნის“ ძირითადი შემადგენლობის წევრია და მუდმივად თამაშობს. ბევრს უკვირს, რომ მას ნაკრებში არ უხმეთ და არც გაფართოებულ სიაში შეიყვანეთ...**

- მხოლოდ ბადშტუბერი არ შევიყვანე? გაფართოებულ სიაში არ არიან ისეთი პერსპექტიული ფეხბურთელებიც, როგორებიც არიან მატს ჰუმელსი ან ბენედიქტ ჰიოვედესი. ჩვენ ყველას ვაკვირდებით. უბრალოდ, ახლა გვყავს ისეთი მცველები, რომლებიც ამ სამეულზე უკეთ მომზადებულები და უფრო გამოცდილები არიან. ბადშტუბერის, ჰიოვედესისა და ჰუმელსის დრო კი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დადგება - თუ, რა თქმა უნდა, პროგრესს არ შეწყვეტენ. მათ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვთ.

**- ამ დღეებში 50 წლის ხდებით. როგორ იზეიმებთ ამ განსაკუთრებულ იუბილეს?**

- დიდ ზეიმებს მიჩვეული არ ვარ. ბოლო წლებში ჩემს დაბადების დღეებზე ყოველთვის საქმიან ვიზიტებში ვიყავი. მოკლედ, ზეიმებს გადავეჩვიე. ახლაც არაფერს ვაპირებ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# ჰუმელსი, იოახიმ, ჰუმელსი!

## სტატისტიკა ამტკიცებს: მატს ჰუმელსი გერმანიის ნაკრების მცველებს სჯობია!

დორტმუნდის „ბორუსიას" 21 წლის მცველი **მატს ჰუმელსი** შესანიშნავ სეზონს ატარებს და გარდა იმისა, რომ „შავ-ყვითლების" დაცვის ბურჯია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობების შესრულებაც ბრწყინვალედ ეხერხება, ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია ბუნდესლიგაში. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ბუნდესგუნდის გაფართოებულ სიაში ის არ შეიყვანა. სამაგიეროდ, ლიოვმა უხმო მივიწყებულ მცველ **რობერტ ჰუთს**, რომელიც „სტოკ სიტიში" თამაშობს. ლიოვი ამბობს, ჩვენ გაცილებით გამოცდილი და მომწიფებული მცველები გვყავს, მატს ჰუმელსის დრო კი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დადგებაო.

სტატისტიკა კი ამტკიცებს, რომ დორტმუნდის ახალგაზრდა მცველი თითქმის ყველა იმ უკანახაზელს სჯობია, რომლებსაც ლიოვი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოიაზრებს. ციფრები არ იტყუებიან: მატსის კონკურენტები **პერ მერტეზაკერი** (25 წლის, „ვერდერი"), **სერდარ ტასკი** (22 წლის, შტუტგარტი), **ჟერომ ბოატენგი** (21 წლის, ჰამბურგი) და **არნე ფრიდრიხი** (30 წლის, ჰერტა) არიან - ალარაფერს ვამბობთ რობერტ ჰუთზე და სტატისტიკით, ჰუმელსი ზოგიერთზე გაცილებით უკეთესია, ზოგს კი თანაბარ დონეზე უდგას.

მართალია, გოლის გატანა მცველის მოვალეობა არ არის, მაგრამ დაგვეთანხმებით, როდესაც ცენტრალურ მცველს საგოლე ალღო აქვს და გოლის გატანა შეუძლია, ამის გამო ის დაფასებას იმსახურებს. მატს ჰუმელსს კი ამ სეზონში 4 გოლი და 2 საგოლე პასი აქვს, რითაც აბსოლუტურად ყველა გერმანელ მცველს სჯობს. ამასთან, ჰუმელსი ყველაზე მეტჯერ, უკვე ხუთჯერ მოხვდა ბუნდესლიგის ტურის სიმბოლურ ნაკრებში. მერტეზაკერს და ბოატენგს ეს პატივი მხოლოდ ერთხელ ხვდათ წილად, ტასკი და ფრიდრიხი კი სიმბოლურ ნაკრებში საერთოდ არ ყოფილან. უფრო დაწვრილებით:

**მოგებული ორთაბრძოლები:** 1. მერტეზაკერი - 73.6%; 2. ა. ფრიდრიხი - 67.9%; 3. ჰუმელსი - 62.1%; 4. ტასკი - 59.8%.

**გოლები:** ჰუმელსი - 4; მერტეზაკერი - 2; ა. ფრიდრიხი - 1; ტასკი - 1; ბოატენგი - 0.

**საგოლე პასები:** ჰუმელსი - 2; ბოატენგი - 2; ა. ფრიდრიხი - 1; ტასკი - 1; მერტეზაკერი - 0.

**საშუალო შეფასება (ბილდი):** ჰუმელსი - 2.96; მერტეზაკერი - 3.185; ბოატენგი - 3.190; ტასკი - 3.445; ა. ფრიდრიხი - 4.125.

გასაგებია, რომ ლიოვი უარს ვერ იტყვის (და არც უნდა თქვას) ისეთ გამოცდილ მცველებზე, როგორებიც არიან მერტეზაკერი ან **ჰაიკო ვესტერმანი**, თუნდაც არნე ფრიდრიხიც. მაგრამ რატომ სერდარ ტასკი, ჟერომ ბოატენგი და მით უმეტეს, რობერტ ჰუთი, რომელიც „სტოკ სიტიმ" ნაკრებში არც კი გაუშვა (!) და არა ჰუმელსი? შეგახსენებთ, რომ მატსი „ბორუსიაში" 2008 წელს „ბაიერნიდან" გადავიდა და მაშინ დორტმუნდელებმა მასში 4.2 მილიონი ევრო გადაიხადეს. დღეს კი ჰუმელსის ფასი უკვე მინიმუმ 10 მილიონია. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც „ჰუმელსს" მიუნხენერ თაგესცაითუნგმა ჩამოართვა.


დორტმუნდის ბორუსიას 21 წლის მცველი მატს ჰუმელსი ბრწყინვალე სეზონს ატარებს

### ჰუმელსი: ლიოვმა იცის, რა შემიძლია!

**- ჰერ ჰუმელს, „დორტმუნდს" ძალიან კარგად აქვს საქმე. პირადად თქვენც შესანიშნავ ფორმაში ხართ. რას მიაწერთ თქვენი და თქვენი გუნდის ასეთ წარმატებებს?**

- მაგალითად, „ჰამბურგთან" რომ მოვიგეთ, ეს პირველ რიგში უდიდესი მონდომებისა და მოტივაციის დამსახურებაა. ვინც თამაში ნახა, დამეთანხმება: ძალიან მედგრად და რაც მთავარია, ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. იმედია, ახლა მაინც დაინახა ყველამ, რომ როცა ვინდომებთ, ძალიან მაგრები ვართ. რაც ყველაზე მთავარია, „ბორუსია" ერთ მუშტად შეკრული გუნდია. პირადად მე კი ახლა განსაკუთრებით იმაზე ვზრუნავ, რომ ფიზიკურად კიდევ უფრო მოვძლიერდე. კვირაში ორჯერ დამატებით ვვარჯიშობ. კუნთები უნდა გავიმაგრო. იურგენ კლოპმაც მითხრა და მეც ვხედავ, რომ ცოტა სუსტი ვარ.

**- თქვენ უკვე „ბორუსიას" უპირველესი ვარსკვლავი ხართ. პირველი ფეხბურთელი, რომელზეც ჟურნალისტები საფინალო სასტვენის შემდეგ ნადირობას იწყებენ, მატს ჰუმელსია ხოლმე...**

- მიხარია, რომ ყველა მაფასებს. ნებისმიერი ადამიანი ბედნიერია, როცა მის შრომას აფასებენ და ამ მხრივ მეც არ ვარ გამონაკლისი. ისე კი „ბორუსიაში" ბევრი ჩემზე უკეთესი ფეხბურთელი თამაშობს. ხოლო ის, რომ პირველ რიგში ჩემს ინტერვიუზე ნადირობენ, იმის „ბრალია", რომ გერმანელი ვარ და თანაც, ძალიან ახალგაზრდა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ გამორიცხულია, თავში ამივარდეს და ვინმეს, მით უმეტეს, თანაგუნდელებს ზემოდან დავუწყო ყურება. კარგად ვიცი, რომ „ბორუსიაში" ბევრი ფეხბურთელი ჩემზე გაცილებით გამოცდილი და უკეთესია. ცხადია, მიხარია, რომ მაქებენ, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ საკმარისია ერთი თამაში ჩავაგდო, მაშინვე ყველაფერი შეიცვლება.

**- როგორ ფიქრობთ, კიდევ რა უნდა გააკეთოთ, ან რა უნდა მოხდეს, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმაც დაგაფასოთ?**

- სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ ლიოვი ფიტნესტესტისთვის გამომიძახებდა. არც იმას ვფიქრობდი, რომ გაფართოებულ სიაში ჩემი ადგილი მოიძებნებოდა. შესაბამისად, იმედგაცრუებულიც არ ვარ. გერმანიის ეროვნულ ნაკრებში აქამდე არასდროს ვყოფილვარ გამოძახებული. შესაბამისად, რომ გითხრათ, სიაში ჩემი გვარი რომ ვერ ამოვიკითხე, კინალამ გული გამისკდამეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ჩემს შანსს კიდევ ათი წელი რომ უნდა ველოდო. არც ასეთი მიამიტი ვარ.

**- ლიოვთან კონტაქტი გაქვთ?**

- იოგი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გვესტუმრა. ვერ ვიტყვი, რომ ხშირად გვაქვს კონტაქტი, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებ, რომ ლიოვს არ ვახსოვვარ.

**- ახალგაზრდული ნაკრების გარდა იოახიმს თქვენთან დაკავშირება არ უცდია?**

- კი, ერთხელ დამირეკა. ნუ შიშობთ, ბუნდესმწვრთნელი ყურადღებას მაქცევს. მან ძალიან კარგად იცის, რა შემიძლია.

**- არ ფიქრობთ, რომ უკვე დროა, ეროვნულ ნაკრებში გიხმოთ? რობერტ ჰუთი თქვენზე უკეთესია?**

- (იცინის) არ ვიცი, რა გითხრათ. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ დროა, გამომიძახოს ან თუ მიგაჩნიათ, რომ ჰუთზე ან კიდევ ვინმეზე უკეთესი ვარ, შეგიძლიათ დაწეროთ და მე ეს მხოლოდ გამიხარდება. სხვა მხრივ, არაფერს ვითხოვ და მით უმეტეს, მოვითხოვ. ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია. თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი...

**- ჯერ კიდევ გაქვთ იმედი, რომ შეიძლება მუნდიალზე წაგიყვანონ?**

- იმედი, რა თქმა უნდა, მაქვს.

ჰამბურგი

# ვერ გავფრინდები!

## გერერო ბერგკამპი არ არის, თუ თვითმფრინავში არ ჩაჯდება, კონტრაქტს არ გაუგრძელებენ


ხოსე პაოლო გერერო

„ჰამბურგის" პერუელ თავდამსხმელ **ხოსე პაოლო გერეროს** თვითმფრინავით მგზავრობის ეშინია და გერმანიაში ვერ ბრუნდება. ფორვარდი ტრავმირებულია, მაგრამ ვალდებული იყო, ჰამბურგში ერთი კვირის წინ დაბრუნებულიყო. ის კი აცხადებს, რომ ფრენის ეშინია და თვითმფრინავში არაფრისდიდებით ალარ ჩაჯდება. აქამდე გერერო უპრობლემოდ დაფრინავდა, არ ეშინოდა, მაგრამ ახლა ეშინია და კაციშვილმა არ იცის, ეს რამ გამოიწვია. ფაქტია, რომ სამშობლოში გაფრენისას არანაირ ისეთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი, რომელიც პაულოს შეაშინებდა.

როგორც „ჰამბურგის" პრესსამსახურიც ადასტურებს, 26 წლის თავდამსხმელმა უკვე სამჯერ სცადა გამოფრენა, მაგრამ აფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე თვითმფრინავი მაინც დატოვა. სწორედ ამ მიზეზით გააცდინა მან ამერიკელ ექიმთან შეხვედრაც, რომელსაც მისთვის მუხლზე უნდა ემკურნალა.

*„პაოლო ამ დღეებში კიდევ ერთხელ ეცდება თვითმფრინავში ჩაჯდომას, მაგრამ თუ არაფერი გამოვა, სხვა გზა არ არის, გემით უნდა ჩამოვიდეს,"* - აცხადებს „ჰამბურგის" პრესატაშე **იორნ ვოლფი**. პრობლემა ის არის, რომ პერუდან გერმანიაში გემით მგზავრობას დაახლოებით სამი კვირა სჭირდება. ამას ისიც ემატება, რომ თუ პერუდან გემით წამოვა, სამი კვირის განმავლობაში ვერანაირ თერაპიას ვერ გაივლის და ვერც მსუბუქად ივარჯიშებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ **რუუდ ვან ნისტელროის** გადაბირების შემდეგ, ძალიან შემცირდა იმის შანსი, რომ ჰამბურგელებმა გერეროს კონტრაქტი გაუგრძელონ. ამჟამინდელ ხელშეკრულებას კი ვადა ივნისში გასდის. ფაქტია, თუ გერერო საბოლოოდ უარს იტყვის თვითმფრინავით მგზავრობაზე, ჰამბურგელები მას ახალ კონტრაქტს არ გაუფორმებენ, რადგან ჩრდილოგერმანულ კლუბს სეზონის განმავლობაში ძალიან ხშირად უწევს თვითმფრინავით მგზავრობა - ბუნდესლიგის გასვლითი მატჩებისა და ევროტურნირების შეხვედრებისთვის. ჰოდა, „ჰამბურგს" გერეროსთვის კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ საშინაო მატჩებისთვის ნამდვილად არ ულირს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხოსე პაოლო გერერო **დენის ბერგკამპი** ნამდვილად არ არის...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ფიგურული ციგურაობა

# ვანკუვერის თამაშების ესტონური პრელუდია



ირაკლი ჯაფარიძე

**საქართველოში** ჯერაც არ ჩამცხრალა ის ვნებათაღელვა, ტალინში მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე ელენე გედევანიშვილის მიერ ბრინჯაოს მედლის მოპოვებამ რომ გამოიწვია. ითქვა და გავიმეორებთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სპორტის ზამთრის სახეობებში ეს იყო პირველი დიდი ჯილდო, რომელიც ქართველმა ასეთ დიდ ფორუმზე დაიმსახურეს.

ტალინში ნანახსა და განცდილზე შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ საქართველოს ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი ჯაფარიძეს, რომელიც ესტონეთის დედაქალაქიდან ეს-ეს არის, დაბრუნდა:

— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო, მაგრამ ჯერ კიდევ ეიფორიულ მდგომარეობაში ვარ. ძალიან გაგვახარა ელენე გედევანიშვილმა. თუმცა მისი წარმატება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. წინა ინტერვიუსას გითხარით, რომ, გრან-პრის ტურნირებიდან გამომდინარე, იგი კონტინენტის პირველობისთვის კარგად იყო მომზადებული, რაშიც დიდი წვლილი მის ამჟამინდელ მწვრთნელ რობინ ვაგნერს მიუძღვის.

ელენესთვის დამატებითი სტიმული გახდა შეჯიბრებაზე ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის სტუმრობა, რამაც ჩვენი სპორტსმენის პასუხისმგებლობა ერთი-ორად აამაღლა.

როგორც ნახეთ, მოკლე პროგრამა დავენპორტის „ციებცხელების“ მუსიკაზე შესანიშნავად შეასრულა. ფინალში მეოთხე ნომრად შევიდა. უკეთესი იყო თავისუფალი პროგრამა ბიზეს „კარმენის“ ჰანგებით. „კასკადით“ გულშემატკივრებიც მოხიბლა და სპეციალისტებიც. ტექნიკური ქულებით იტალიელ კოსტნერსაც აჯობა. ამ პროგრამით მეორე ადგილი დაიკავა და მცირე ვერცხლის მედალიც დაიმსახურა. საბოლოოდ კი, როგორც იცით, დიდი ბრინჯაოს მედალი ერგო. ქართველ მოციგურავეს ეს წარმატება თბილისიდან ტელეფონით ქვეყნის პრეზიდენტმა მიულოცა. მოსკოვიდან ყოფილმა მწვრთნელმა ელენა ვოდორეზოვამ დაურეკა. სხვა რუსმა სპეციალისტებმაც გაიზიარეს ჩვენი სიხარული, იმის მიუხედავად, რომ ელენემ ჩრდილოელ მეზობლებს საგრძნობლად გაუსწრო. არც არის გასაკვირი — სპორტსმენები ვართ და ვცდილობთ, პოლიტიკისგან შორს ვიდგეთ. მეხუთე წელიწადია, გედევანიშვილი ტოპათეულში ტრიალებს, საპრიზო ადგილების ფავორიტია, თუმცა, ვფიქრობ, წლევანდელივით მომზადებული არასდროს ყოფილა. წონაში ოთხი კილოც დაიკლო და ძალიან მსუბუქად გრძნობს თავს. გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, ელენემ ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზეც უნდა გვასახელოს.

**— ევროპულ სარბიელზე წარმატებული დებიუტის შემდეგ, მახსოვს, ქვეყნის პრეზიდენტი გედევანიშვილს შეჰპირდა, შენთვის ყინულის სასახლეს ავაშენებთო...**

— პირფერობის გარეშე მინდა გითხრათ, რომ ბატონ მიხეილ სააკაშვილის ტალინში სტუმრობამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩვენი სპორტსმენებისთვის ეს უდიდესი თანადგომა იყო. ქვეყნის პრეზიდენტი შეხვდა საციგურაო სპორტის ფედერაციის მესვეურებს, ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებს, ქართველ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს. მათთან საუბარში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აგვისტოს ბოლომდე ბათუმში გაიხსნება საციგურაო დარბაზი სტანდარტული მოედნითა და 5 ათასამდე მაყურებლისთვის განკუთვნილი ტრიბუნებით, სადაც შეიძლება გაიმართოს საერთაშორისო ტურნირები, საწვრთნელი შეკრებები, ყინულზე შოუკონცერტები, ჰოკეისტთა შეჯიბრებები. ყოველივე ამან უცხოელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

სულ მალე დადებითად გადაწყდება თბილისში სტანდარტული საციგურაოს აშენების საკითხიც. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ზამთრის სპორტის განვითარებას, არამედ მასობრიობას, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას.

**— არაფერი გვითქვამს სპორტულ ცეკვებში ქართული დუეტის დებიუტზე.**

— შვიდი თვის წინათ შეიქმნა ოთარ ჯაფარიძისა და ელისონ რიდის წყვილი. მას შემდეგ, რაც მათ გერმანიის სალიცენზიო ტურნირზე ზამთრის ოლიმპიადის საგზური მოიპოვეს, ქვეყნის პრეზიდენტმა ამერიკელ ელისონ რიდს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. ტალინში მათი დებიუტი ურიგო არ ყოფილა. ასპარეზობის პირველ დღეს 27 წყვილს შორის 22-ე ადგილი დაიკავეს, მეორე დღეს კი ქართული მუსიკის ჰანგებზე შესრულებული პროგრამის შემდეგ საბოლოოდ მე-19 ადგილზე გავიდნენ. ჩვენებურთა მწვრთნელს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ევგენი პლატოვს მიაჩნია, რომ ახალგაზრდა, პერსპექტიული დუეტია და მისგან მომავალში წარმატებებს უნდა ველოდოთ.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ირაკლი სამყურაშვილს, რომელიც ტალინში ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში დაგვეხმარა. მადლიერი ვარ ჟურნალისტებისა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატი ფართოდ გააშუქეს.

**— ვანკუვერის ზამთრის თამაშების გახსნამდე ორიოდე კვირა დარჩა. რას იტყვით, როგორც ოლიმპიურ სოფელში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი?**

— წინა წლებისგან განსხვავებით, ამჟამად ოლიმპიადაზე შვიდი სპორტსმენი გვეყოლება. ფიგურულად მოციგურავეთა ერთეულთა თანრიგში გედევანიშვილი ისრიალებს და საუკეთესო ათეულში მოსახვედრად იბრძოლებს. იგი ვანკუვერში 19 თებერვალს ჩავა, სარბიელზე კი 23 და 25 თებერვალს გავა. ძლიერი კონკურენტები ეყოლება: იტალიელი კოსტნერი, ფინელები — ლეპისტო და კორპი, შვეიცარიელი მაიერი, კანადელი როჩე, იაპონელები — ასადა და ანდო, კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი იუნა კიმი და სხვები. ძნელი პაექრობა ელის. 11 თებერვალს ეწვევიან კანადას ოთარ ჯაფარიძე და ელისონ რიდი, ასევე, მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი, სამთო-მოთხილამურეები — იასონ აბრამაშვილი და ნინო წიკლაური. მეშვიდე სპორტსმენის ვინაობა ორიოდე დღეში გაირკვევა. ვიმედოვნებთ, რომ წინა თამაშების შედეგებს გავაუმჯობესებთ.



ელენე გედევანიშვილი ტალინის ყინულზე

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

ინტერვიუ ვლადიმერ ნუცუბიძესთან

# ჩვენთვისაც კარგი ცვლილებები

## წელში გასწორდით, ძიუდოისტებო!

**სიახლეები** ცხოვრების ნებისმიერ სფეროშიც საჭიროა და სპორტის ნებისმიერ სახეობაშიც. თუმცა წესების ხშირი ცვლა გაურკვევლობასაც იწვევს, ხოლო თუ ამას სათანადო განმარტებებიც არ მოჰყვება, ვითარება კიდევ უფრო რთულდება. ასეთ მდგომარეობაში ალმოვჩნდით ძიუდოს ახალ წესებთან დაკავშირებითაც, კონკრეტულად კი, ერთ წონაში ქვეყნიდან ორი მონაწილის გამოყვანაზე... საერთაშორისო ფედერაციის მიერ გავრცელებულ ცნობაში არ ყოფილა ლაპარაკი რაიმე შეზღუდვაზე, ახლა კი ირკვევა, რომ თურმე ეს უფლება მხოლოდ რეიტინგში დაწინაურებულებს მიეცემათ და არა ყველას. ოღონდ ჯერ არ გარკვეულა, რეიტინგში მერამდენე ადგილი იძლევა ამის უფლებას. თავიდან ასევე გავრცელდა ხმები, რომ ეს წესი მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე გავრცელდებოდა, ახლა კი ირკვევა, რომ ევროპული ფედერაცია ჯერჯერობით მხოლოდ განიხილავს საკითხს, საბოლოო გადაწყვეტილება კი ჯერ არ მიუღია.

ამ წესის გარდა, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ სხვა ცვლილებებსაც მიმართა - სანახაობრივი მხარის გასაუმჯობესებლად აკრძალა არაერთი ილეთი და ძიუდოც წელში გამართა ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. პირდაპირია ის, რომ ამიერიდან წელში მოხრილი ჭიდაობა ისჯება და ათლეტებმა წელგამართულებმა უნდა იჭიდაონ, გადატანითი კი ისაა, რომ ძიუდო მართლაც უფრო თვალსასეირო გახდა. საერთაშორისო ფედერაციამ სამიდან ორი მსაჯის განდევნაც განიზრახა, მაგრამ ცოტა ხანში ს ვარიანტი უკან წაიღო. ახალი წესების ავ-კარგზე და მათი მიღების აუცილებლობაზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვლადიმერ ნუცუბიძე გვესაუბრება.

**- მიესალმებით ახალ წესებს?**

- წესებში რეფორმების აუცილებლობა იმიტომ დადგა, რომ სპორტის სახეობა, რომელიც არ იქნება, ასე ვთქვათ, გაყიდვადი, თანდათან დაკარგავს თავის სახესაც და ფუნქციასაც – ჯერ მოისაკლისებს მაყურებელს, მერე კი ოლიმპიადის პროგრამიდანაც ამოიღებენ. საჭიდაო სახეობები იმიტომაც არ არის მარკეტინგული, რომ მათი ტურნირები დროში გაწელილია. ძალიან მეეჭვება, შემთხვევითი ადამიანი მოხვდეს ძიუდოს ტურნირზე და მთელი დღე უყუროს შეჯიბრებას. ეს მისთვის ძნელად ასაქმელიცაა და მოსაბეზრებელ-დამღლელიც. ამასთან, აუცილებელია ტელევიზიაში გაყიდვაც, რადგან უამისოდ რეკლამაზე ვერ იმუშავებ, სპორტული ეკონომიკა კი მთლიანად ამაზეა აწყობილი. ტელევიზიები გარკვეული დროით რომ დაგითმობენ პირდაპირ ეთერს, ზუსტად ვერ ეუბნები, როდის დაგჭირდება ეს დრო, როდის იქნება დასკვნითი, გადამწყვეტი ეტაპი. არადა, მაყურებელს გამარჯვებული აინტერესებს და არა ის, ვინ გავიდა მესამეზე, მეხუთეზე და ასე შემდეგ. ძველი წესებით, საჭიდაო ტურნირები დროში იმდენად იყო გაწელილი, რომ ზუსტად ვერ იტყოდი, როდის იქნებოდა ეს გადამწყვეტი შეხვედრები. *ცვლილებებიც იმიტომ დადგა დღის წესრიგში, რომ ჭიდაობა იყოს დროში შეზღუდული და მაქსიმალურად სანახაობრივი*, ნაკლებად ტრავმული და ეროვნული ჭიდაობების თუ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ილეთებისგან თავისუფალი. ამიტომ პირველ ეტაპზე ჭიდაობისგან გადმოღებული რამდენიმე ფანდი ამოიღეს, ახლახან - ფეხში შესვლები, რაც ოლიმპიური საჭიდაო სახეობების ილეთებია. მანამდე აკრძალეს გადავლებებიდან ქამარში დიდხანს ჩავლება და კიდევ მთელი წყება ფანდებისა, რაც უკვე ეროვნული საჭიდაო სახეობებიდან იყო შესული ძიუდოში.

ამის შემდეგ გადავიდნენ ტრავმული ილეთების ამოღებაზე. წარმოიდგინეთ, მე ვარ შემთხვევითი ადამიანი, რომელსაც არასოდეს მიჭიდავია ძიუდო, მაგრამ მინდა შვილის ამ სახეობაზე მიყვანა. მე თუ ტელევიზორში ვნახე, როგორ დაეჯახნენ ერთმანეთს თავებით, როგორ წამოუვიდა რომელიმეს სისხლი, რომელიც მოუწმინდეს, გადაუხვიეს და ისევ საჭიდაოდ შეუშვეს, სადაც კვლავ დაეჯახნენ ერთმანეთს და იგივე განმეორდა, დავფიქრდები, ღირს თუ არა ასეთ სახეობაზე შვილის მიყვანა. ამიტომ მაქსიმალურად ეცადნენ ყველა იმ ილეთის ამოღებას, რომელთაც ტრავმები სდევს. ასეთი იყო მოხრილი ჭიდაობა – ამ დროს თავებით ხშირად ეჯახებოდნენ ერთმანეთს. შედეგად, ძიუდოისტები თანდათან შეაჩვიეს გამართულ ჭიდაობას – ჯერ მოხრილ დგომზე გაფრთხილება შემოიღეს, მერე კი შარვალში ჩავლებაზეც ასეთივე სასჯელი დააწესეს, რადგან შარვალში ხელს თუ ჰკიდებ, ესე იგი, მოხრილი დგახარ. სადღეისოდ ეს წესი კიდევ უფრო გაამკაცრეს – თუ თავიდან პირველ ჩავლებაზე აფრთხილებდნენ და მხოლოდ განმეორების შემთხვევაში ხსნიდნენ, ახლა პირველივე ჩავლებიდან ხსნიან. ასევე მკაცრად ისჯება ცრუ შეტევა – ახლა ისიც პირველივე ცდაზე ისჯება.

სანახაობრივი მხარის ამაღლების გარდა, ამ წესების საფუძველი ძიუდოს კოდექსიც გახდა, რომელსაც თავის დროზე დაეფუძნა სპორტის ეს სახეობა. იმ კოდექსიდან შარშან თითქმის არაფერი იყო დარჩენილი. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, კიმონოების მატერია, რომელიც აქამდე უხეში იყო, ახლა კი ადრინდელი რბილი ნაჭერი ბრუნდება, რომელიც კარგად ახსოვთ ჩვენი პირველი თაობის ძიუდოისტებს. კოდექსიდან გამომდინარე, დაიწყეს ძველი ილეთების დაბრუნებაზე ზრუნვაც, რადგან ხალხს ის ჭიდაობა ახსოვს, ის იყო სანახაობრივი და მისი მონატრება აქვთ. რასაც ბოლო ხანებში ტურნირებს ვუყურე, არნახულად მოიმატა გდებების რაოდენობამ. თან ძიუდოში ყველაფერი აღირიცხება, ყველაფრის სტატისტიკა კეთდება - რამდენ წამში მთავრდება შეხვედრები; რამდენი და რა სახის ილეთები კეთდება; რამდენი გაფრთხილება ეძლევა... პროგრესი სანახაობრივი მხარის, ილეთების, გდებების გაზრდისკენ აშკარაა. შესაბამისად, გაჩნდა კომერციული ტურნირები. შეჯიბრება უკვე მთავრდება სამ საათში და ყველა ნახულობს, ვინ გახდა ჩემპიონი. როგორც უკვე გითხარით, მაყურებელს არ აინტერესებს, ვინ გავა მეხუთე ან მეშვიდე ადგილზე.

ახლა იმაზე, ჩვენთვის როგორია ეს წესები. ქართულ ჭიდაობაში არასოდეს ყოფილა ფეხებში ძრომიალი, ეს არ გვიდევს ტრადიციაში. ეს იყო შემოვლითი გზა, ერთ-ერთი ფანდი იმათ წინააღმდეგ, ვინც წელში გამართულად ჭიდაობდა. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ეს იმდენად ტრადიციული გახდა, მძიმეწონოსნებიც კი ფეხებში დაძვრებოდნენ, რამაც ძიუდო სიმახინჯემდე მიიყვანა. შეიძლება, ახალ სტილზე გადაწყობა ძნელი იყოს, მაგრამ ჩვენთვის მაინც გამართლებულია, რადგან ტრადიციაში არ გვიდევს წელში მოხრილი ჭიდაობა. სამომავლოდ ეს აუცილებლად წაგვადგება, როგორც იაპონელებს წაადგათ, სადაც ორ-სამჯერ მოიმატა შედეგებმა. ეს მწვრთნელების განსაკუთრებული მუშაობის გამო კი არ მოხდა, არამედ ამ ახალი წესების წყალობითაა. იაპონელებს იმ დამახინჯებული ჭიდაობის წინააღმდეგ კონტრილეთები ჰქონდათ.

**- რა შემთხვევაშია ნებადართული ფეხზე ხელის მოკიდება?**

- მხოლოდ რეალური შეტევისას. მსაჯი გრძნობს, დაკარგა თუ არა რომელიმე მეტოქემ წონასწორობა, ამ ილეთის გამოყენებისას ისედაც ეცემოდა თუ არა. თუ მეტოქემ წონასწორობა დაკარგა და ისედაც ეცემა, მაშინ შეგიძლია, ესეც მიახმარო. მაგრამ, კომბინაციაში თუ გადააბამ და წინასწარ იცი, ისე ვაჩვენებ, თითქოს ამას ვაკეთებ და მერე მაინც იმას გავაკეთებო, მაშინ ისჯები.

**- მაგრამ ეს მსაჯის სუბიექტურობას არ გამორიცხავს. ვინ უნდა დაადგინოს, ობიექტურად გასაჯა თუ არა მან?**

- მსაჯის სუბიექტურობას სამი მსაჯის ფაქტორი გამორიცხავს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიდან იქნებიან. ამასთან, არსებობს მაგიდის კომისარი, მთავარი მსაჯი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, რომელიც ამ ყველაფერს აკონტროლებს. თან შეხვედრებს ორი ვიდეოკამერით იღებენ.

**- ანუ, სამი მსაჯის დატოვებასაც ემხრობით...**

-კი, ასეა. როცა მე ვმსაჯობ და ვამჩნევ, გვერდითები დაბალი კვალიფიკაციისა არიან, საერთოდ არ ვიყურები იმათკენ. განსაკუთრებით სადავო მომენტებისას. თან ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ისედაც ვიცით, ვინ რას წარმოადგენს.

>> მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ჩვენთვისაც კარგი ცვლილებები

« მე-10 გვერდიდან

- დაბალი კვალიფიკაციის ან არაკეთილსინდისიერი არბიტრი ნებისმიერ ტურნირზე შეიძლება მოხვდეს. თან სამი მსაჯი თავის კომისრიანად და ყველა იმ ინსტანციიანად, რაც წინა კითხვისას ჩამოთვალეთ, მანამდეც არსებობდა, მაგრამ ჩემზე უკეთ იცით, რა დონის ჩაწყობები ხდებოდა. როცა ტექნიკა იმ დონეზე განვითარდა, თბილისიდან ამერიკაშიც კი დააკვირდები ადამიანს, რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული მსაჯის კეთილსინდისიერებაზე? არ აჯობებს, ეს ყველაფერი ტექნიკამ გადაწყვიტოს, რაც უკვე ხდება კიდეც სპორტის ბევრ სახეობაში?

- ამის გამოსარიცხად ძიუდოს მსოფლიო ფედერაციამ მსაჯთა რეიტინგები შემოიღო, ოლონდ ეს არ აგვერიოს კონტინენტური ფედერაციების რეიტინგებში. საერთაშორისო ფედერაცია მსაჯებს ამ კლასიფიკაციის მიხედვით იძახებს პრინციპით სახლიდან სახლამდე, ანუ ყველანაირ ხარჯს თვითონ იხდის – სასტუმრო, გზის ფული და სხვა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ, რაც უფრო მაღალი რანგისაა ტურნირი, მით მეტი მსაჯია საჭირო. ადრე ყველა ტურნირზე ეროვნულ ფედერაციებს თვითონ მიჰყავდათ გამოძახებული მსაჯები და ფულსაც თვითონ უხდიდნენ, ახლა კი საერთაშორისო ფედერაცია იძახებს და ის ანაზღაურებს. ამასთან, აუცილებელია, მსაჯი დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ, როცა ეროვნულ ფედერაციას მიჰყავდა, მაშინ მასზე იყო დამოკიდებული. თან ეროვნულ ფედერაციას ყოველთვის ექნებოდა საკუთარი ინტერესები, ახლა კი მსაჯი ვალდებულია საერთაშორისო ფედერაციის და არა ეროვნულის წინაშე, ის მიიწვევს და ფულსაც ის გადაუხდის. ამიტომ ეცდება, არაფერი შეეშალოს. თან არავის წინაშე არ იქნება ვალდებული და ვინმესადმი მიკერძოებული.

**- მაგრამ მსაჯები საერთაშორისო ფედერაციასთან ყოველთვის იყვნენ ვალდებულები და ზუსტად იქაური მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე, ესპანელი ბარკოსის მიმართ იყო დიდი პრეტენზიები ჩვენშიც და ზოგადად ევროპაშიც.**

- ფინანსური მხარის უზრუნველყოფა ზუსტად მიკერძოების გამოსარიცხად დაიწყეს. ადამიანს რამე რომ მოსთხოვო, რალაც ფორმით მაინც უნდა იყოს დამოკიდებული შენზე, ანუ რალაც ვალდებულება უნდა გააჩნდეს. სწორედ ასეთია დაფინანსება, რასაც საკუთარ თავზე ილებს საერთაშორისო ფედერაცია. ამას მოჰყვება რეიტინგი, გახშირდება სემინარები და ბოლოს, როგორც ამბობენ, იქნება ხელფასებიც.

**- შეხვედრების გაპროტესტების ფორმა თუ იქნება, რაც დღემდე არ ხდებოდა ძიუდოში?**

- მეეჭვება, ეს შემოილონ, რადგან ის ეწინააღმდეგება ძიუდოს ზემოხსენებულ კოდექსს, რომლის მიხედვით, სპორტსმენს არ შეიძლება პროტესტი ჰქონდეს ხელმძღვანელის მიმართ. ძიუდო ხომ საბრძოლო ხელოვნება იყო და მიიჩნევდნენ, რომ დამარცხებული ან ილუპებოდა ბრძოლაში, ან ჰარაკირის იკეთებდა. ესეც იქიდან გამომდინარეობს და თავის მართლება, აი, მე ძლიერი კი ვიყავი, მაგრამ წამაგებინესო, ან ნებისმიერი სხვა მიზეზი მიუღებელია.

**- ანუ ამბობთ, რომ „მესაფლავეთა ბრიგადები" და ამგვარები, როგორც მოიხსენიებდნენ შეხვედრების გაფუჭებით ცნობილ მსაჯებს, აღარ იქნებიან?**

- ასე ნამდვილად აღარ იქნება, თუმცა ისიც ვთქვათ, მიკერძოება და სუბიექტურობა სად არის?! გარდა ასეთი, ევროკავშირი, ევროსასამართლო თუ რომელი?! მიკერძოება და არაობიექტურობა ყველგანაა, სადაც კი ადამიანია გარეული, მაგრამ მთავარია, ამის გაკეთების საშუალება მაქსიმალურად შეიზღუდოს.

**- წილისყრაშიც ისევ ჩაერევიან გარეშე პირები თუ მას კომპიუტერი ჩაატარებს?**

- უმთავრეს ტურნირებზე რეიტინგული სისტემა იქნება, ანუ ძლიერები განითესებიან. თუმცა შეიძლება, ერთი ქვეყნის წარმომადგენლები პირველივე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს. ეს იმიტომ, რომ ყველას აინტერესებს, ვინ იქნება ყველაზე ძლიერი და არა ის, ვინ რომელი ქვეყნიდანაა და რომელ წრეში შეხვდებიან ისინი ერთმანეთს.

**- როგორც ვხვდები, ეროვნული ფედერაციები ყველა ტურნირზე ველარ გაგზავნიან მსაჯებს. სად უნდა აიმაღლონ არბიტრებმა კვალიფიკაცია?**

- ამისთვის მსოფლიოს თასებია დატოვებული, თუმცა ამბობენ, რომ აქაც B კატეგორიას შემოიღებენ და იქ არანაირი შეზღუდვა არ ექნებათ.

**- ბოლოს, ერთი ქვეყნიდან წონაში ორი კაცის გამოყვანის წესზე ვთქვათ. გაირკვა თუ არა საბოლოოდ ეს საკითხი?**

- ესეც რეიტინგით გადაწყდება, მაგრამ, მოდი, ჯერ ის ვთქვათ, რამ განაპირობა ამ წესის შემოღება. თუ რომელიმე ქვეყანას წონაში ორი კარგი სპორტსმენი ჰყავს, შენ ერთ-ერთს მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევ. პრაქტიკულად, მას არჩევანს არ უტოვებ – ან მოქალაქეობა უნდა შეიცვალოს, ან დიდ ტურნირებზე ველარ გამოვა. მაგრამ თუ ძლიერია, რატომ ვერ უნდა იჭიდაოს მსოფლიოს პირველობაზე? აი, ასეთი დისკრიმინაცია რომ არ იყოს, ამიტომ გადაწყვიტეს წონაში ორი კაცის დაშვება.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ორმა კი არა, მეტმაც იჭიდაოს და ამბობენ იმასაც, რომ სამომავლოდ შეიძლება, ეს რიცხვი კიდევ გაიზარდოს, მაგრამ დგება მეორე საკითხიც – მონაწილეთა რაოდენობა ძალიანაც არ უნდა გაიბეროს. აბა, როგორი იქნება, ჩადის რესპუბლიკაში ვილაცამ იშოვოს ფული და წავიდეს მსოფლიოს პირველობაზე ისე, რომ მსოფლიოს თასებზე არ ჰქონდეს ნაჭიდავები? წავიდეს ჯერ იმ დაბალი რანგის ტურნირებში, იჭიდაოს კონტინენტურ შეჯიბრებებში, დააგროვოს ქულები და მერე გამოვიდეს მსოფლიოზე. ასე მოუმზადებელი იქ პირველივე წრეში წააგებს და შეიძლება, საშიში ტრავმაც კი მიიღოს. აბა, ვის აინტერესებს ასეთი მოჭიდავე მსოფლიოს ჩემპიონატზე, ან მისი წაგება იქ?! მსოფლიოს პირველობა ხომ უძლიერესთა გამოსავლენი კონკურსი უნდა იყოს. ამიტომაც გადაწყვიტეს, რეიტინგით განისაზღვროს, რომელ ქვეყნებს მიეცეთ ორი კაცის გამოყვანის უფლება, მაგრამ ჯერ არ დაზუსტებულა, მერამდენე ადგილის ჩათვლით მოიპოვებენ ამის უფლებას. ეს სპორტულმა დირექტორატმა უნდა გააკეთოს.

ამ წესის ერთადერთი ცუდი მხარე ის მგონია, რომ ზოგიერთი ქვეყანა, ვისაც ცოტა ფული აქვს, ყველა ტურნირზე ვერ ატარებს სპორტსმენებს რეიტინგის ასამაღლებლად. მდიდარ ქვეყნებთან შედარებით, ასეთთა წარმომადგენლები დაიჩაგრებიან. ზოგიერთ ქვეყანას მხოლოდ ერთი-ორ ტურნირში მონაწილეობის საშუალება თუ აქვს, ამ დროს კი შეიძლება, ბევრად ძლიერი სპორტსმენები ჰყავდეს. პარალელურად, შედარებით სუსტმა ფრანგმა, ჰოლანდიელმა ან ასეთი ქვეყნის წარმომადგენელმა ექვს-შვიდ ტურნირში იჭიდაოს, ცოტა-ცოტაობით მეტი ქულა დააგროვოს. არადა, რეიტინგში არც ტურნირების რაოდენობაა განსაზღვრული – რამდენსაც იჭიდავებს, იმდენივეს შედეგი შევა საერთო ჩათვლაში.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



# თავი უცხოეთში გვეგონა...

საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა 67-ე ეროვნული ჩემპიონატი უკვე ისტორიაა. დამოუკიდებლობის წლებში ქუთაისმა პირველად უმასპინძლა ჩემპიონატს. *„როცა ჩემპიონატის ჩატარება თბილისის გარეთ გადავწყვიტეთ, რამდენიმე ქალაქის ვარიანტს განვიხილავდით. საბოლოოდ არჩევანი ქუთაისზე გავაკეთეთ, რადგან ამ ქალაქს მდიდარი საჭადრაკო ტრადიცია აქვს და ორგანიზებულობითაც გამოირჩევა. აქ ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში „სავარდო და სამაისო", რომელიც მოჭადრაკეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს... ჩვენს იდეას ქუთაისის მერიამ და საკრებულომაც დაუჭირეს მხარი და ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა ამ პრესტიჟული ტურნირის ქუთაისში ჩატარება."* - აღნიშნა „ლელოსთან" საუბარში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ.** ფედერაციის ამ გადაწყვეტილებამ სავსებით გაამართლა. სავარდო და სამაისო ქალაქი მომზადებული და ორგანიზებული დაუხვდა ქვეყნის ჩემპიონობისთვის მებრძოლ ქალ მოჭადრაკეებს. ტურნირიც ულრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ჩემპიონის ბედი ბოლო ტურამდე გაურკვეველი იყო. ტურნირის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა **ალექსანდრე არსენიძემ** ჟურნალისტებზეც იზრუნა და ჩემპიონატის დღეებში მათთვის კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახი გამოყო, რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. მისივე ინიციატივით, მთელი ტურნირის მიმდინარეობა ფოტო და ვიდეოკამერებით გადაილეს და შეიქმნა საქართველოს ჩემპიონატის ამსახველი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ჩემპიონატის დახურვის დღეს სხვა პრიზებთან ერთად ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცა. მართალია, მოჭადრაკეებს დასვენებისთვის დიდი დრო არ ჰქონდათ, თუმცა ერთდღიანი პაუზაც შინაარსიანად გამოიყენეს. ტურნირის ორგანიზატორებმა მათ გელათსა და მოწამეთაში მოუწყვეს ექსკურსია, რაც მოჭადრაკეებს განტვირთვასა და ძალების აღდგენაში დაეხმარა.

*„ქუთაისში ისეთი პირობები დაგვახვედრეს, უცხოეთში, საერთაშორისო ტურნირზე გვეგონა თავი, ასეთ პირობებს ნამდვილად არ ველოდებოდით"* - გვითხრა ბათუმელმა **მირანდა მიქაძემ.** ფედერაციასთან ერთად ადგილობრივმა თვითმმართველობამაც იზრუნა ტურნირის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. მერიამ ბიუჯეტიდან 25 000 ლარი გამოყო, რაც ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარების გარდა სოლიდური საპრიზო ფონდის (13 500 ლარი) დაწესებას მოხმარდა. ჩემპიონატს აგრეთვე „ავერსი", „თიბისი ბანკი", „ისი პარი" და „მაგთიკომი" სპონსორობდნენ.

ახლა თავად ჩემპიონატსა და მის შედეგებზე. ტურნირი თავიდანვე მოულოდნელობით დაიწყო და მთავარი ფავორიტი, **ნანა ძაგნიძე** ჯერ ნაადრევად ჩამოშორდა ლიდერთა რბოლას, შემდეგ კი ავადმყოფობის გამო ტურნირს საერთოდ გამოეთიშა. ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში უნდა გარკვეულიყო. ყველაზე უკეთესი შანსი **ნინო ხურციძეს** ჰქონდა, რომელმაც ამ ტურნირზე დრეზდენის ოლიმპიადის გამარჯვებულები, ძაგნიძე, **ლომინეიშვილი** და **ხუხაშვილი** დაამარცხა და მომავალ ჩემპიონ **სალომე მელიასაც** სძლია, თუმცა ყველასთვის მოულოდნელად ხურციძემ ბოლო ტურში ახალგაზრდა **მერი არაბიძის** წინააღმდეგობა ვერ დაძლია, ყაიმს დასჯერდა და ჩემპიონობის შანსი ხელიდან გაუშვა. მოქმედი ჩემპიონი ლომინეიშვილი ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა და ბოლო ტურში მათი წაფორხილების იმედად იყო, თუმცა საბოლოოდ თვითონ დამარცხდა **ხუხაშვილთან** და მხოლოდ მე-3 ადგილს დასჯერდა. კონკურენტების წარუმატებლობით კარგად ისარგებლა ბათუმელმა სალომე მელიამ, მისი თანაქალაქელი **ნინო ბაციაშვილი** დაამარცხა და მერვე ცდაზე პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. *„ქუთაისში ჩატარებულ ტურნირებში ადრე ორჯერ ვითამაშე და ორივეჯერ გავიმარჯვე. როგორც ხედავთ, ჩემპიონიც ქუთაისში გავხდი, ეს ქალაქი ძალიან კარგად მაქვს დაცდილი..."* - გახარებული იყო საქართველოს ახალი ჩემპიონი, რომელიც მალე მოსკოვისა და პარიზის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებს და ორივეს მოგებას ეშურება. სალომეს წარმატებები აქამდეც არ აკლდა. იგი სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია და არაერთი საერთაშორისო ტურნირი აქვს მოგებული. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ კი ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრების პირველ კანდიდატადაც განიხილება. ჩემპიონატის გამარჯვებული და პრიზიორები ხორვატიაში მარტში გასამართავი ევროპის ჩემპიონატისთვის დაფინანსდებიან. აღსანიშნავია, რომ დიდოსტატის მეორე ბალი მეოთხეადგილოსანმა მირანდა მიქაძემ, ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა კი **ქეთი წანალაშვილმა** შეასრულა, ხოლო ნინო ბაციაშვილმა ვაჟთა შორის დიდოსტატის ნორმას უწია.

ლარსენი ამბობდა - *„ჭადრაკი სასტიკი სპორტია, წაგებას საკუთარი თავის გარდა ვერავის დააბრალებ."... ზოგს გაუმართლა, ზოგს არა, საბოლოოდ კი მაინც ვფიქრობ, რომ საპრიზო ადგილები სამართლიანად გადანაწილდა."* - აღნიშნა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო დიდოსტატმა **ნანა ალექსანდრიამ.** 22 იანვარს საჭადრაკო დღე ჩემპიონატის დახურვით არ დასრულებულა... სასტუმრო „იმერში", სადაც ტურნირის მონაწილეები იყვნენ დაბინავებული, გია გიორგაძემ საჭადრაკო კლუბი „იმერის გვირგვინი" გახსნა. იდეა ნანა ალექსანდრიას ეკუთვნის. კლუბში ჭადრაკის მოყვარულებს და გულშემატკივრებსაც შეეძლებათ გაწევრება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

სპორტი და მეცნიერება

# მეორე ნაბიჯი

თანდათან ვუახლოვდებით მიზანს — მალე საქართველოში „სპორტისა და მეცნიერების" (სახელწოდება ჯერჯერობით პირობითია, შინაარსი — უცვლელი) ასოციაცია გვექნება, რომელიც მეცნიერულ კვლევებს მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით წარმართავს სახელმწიფოს მხარდაჭერით. კვლევებში სპორტში მომუშავე მეცნიერები აქტიურად ჩაერთვებიან.

გაიმართა ასოციაციის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის მეორე სხდომა. *„მივესალმებით ასოციაციის შექმნას. ალბათ გამოჩნდებიან სკეპტიკოსები და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ სიახლეს. ასე იყო არცთუ დიდი ხნის წინათაც, როცა ანტიდოპინგური სააგენტო იქმნებოდა, მაგრამ დღეს ყველა დარწმუნებულია მის საჭიროებაში"* — თქვა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა.**

საორგანიზაციო კომიტეტი აქტიურად შეუდგა დამფუძნებელი ყრილობის მომზადებას.

ავტოსპორტი



# გადაიხადე 10 ლარი და...

31 იანვარს, რუსთავის ეროვნულ ავტოდრომზე გაიმართება წყვილთა რბოლა Under 150 hp ავტომობილებისთვის. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, ვისაც აქვს მართვის მოწმობა (პროფესიონალი, მოყვარული) და გადაიხდის 10 ლარს. გამარჯვებული სამეული დაჯილდოვდება პრიზებით!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# მადა ჭამაში მოდის



2003 წლის იანვარში გიორგი ცინცაძე „აკადემიადან“ „ბასკოში“ გადავიდა. იმავე იანვარს ბათუმელებმა საქართველოს თასი მოიგეს, მაგრამ გიორგის ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან „ბასკოს“ თავკაც ნუგზარ კანდელაკთან და ზვიად ბაბიაშვილთან ერთად იტალიაში იყო, „ბენეტონში“ გადიოდა სინჯებს. 2003-04 წლების სეზონში აჭარლებმა „დინამოსთან“ ფინალში წააგეს და გიორგი ცინცაძემ საქართველო ისე დატოვა, რომ ტიტული არ მოუგია. ლაპარაკია გუნდურ ჯილდოზე, თორემ ინდივიდუალური ტიტული მართლაც ღირებული მიიღო - ჩვენი გაზეთის გამოკითხვაში 16 წლის ბუ სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

მას შემდეგ იგი საქართველოში ერთხელ დაბრუნდა - 2005 წელს თბილისის „დინამოში“ ითამაშა, თუმცა ერთ კვირაში მოსკოვში გაბრუნდა - რუსულ „დინამოში“ დუშან ივკოვიჩმა მიიწვია. გავიდა ოთხი წელი და ცინცაძე საქართველოში ერთხელაც ჩამოვიდა: 2010 წლის 23 იანვარს აგრარული უნივერსიტეტის მაისურით საქართველოს თასის ფინალში ითამაშა და პირველი გუნდური ჯილდოც მოიგო.

თუმცა ბუ საქართველოში დიდხანს მაინც არ გაჩერდება. იგი პოლონურმა „სოპოტმა“ მიიწვია და ამ კვირაში საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი ჩრდილოეთში გაფრინდება. წასვლამდე კი სათასო და სანაკრებო ამბებზე გვესაუბრა.

- საქართველოს თასზე გუნდის გამოსვლას წარმატებულად შევაფასებ — „აგრარულმა“ ხომ საქართველოს თასი მოიგო. ძლიერი მეტოქეები გვყავდა, თუმცა სასიამოვნოა, რომ პირველობა საბოლოოდ ჩვენ დაგვრჩა.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- მთავარი გამარჯვებაა, მაგრამ საკუთარ თამაშს მაინც კრიტიკულად ვუდგები. ვერ ვიტყვი, რომ ხარისხი იდეალური იყო. მქონდა შეცდომები, რაც, ალბათ, გუნდთან შეუთამაშებლობის ბრალი იყო. სსაუ-ს შემადგენლობაში ხომ სულ 3 მატჩი ჩავატარე.

**- საქართველოდან 2003 წელს წახვედი. მას შემდეგ ჩვენს ჩემპიონატს რა ცვლილებებს ატყობ?**

- ვფიქრობ, მაშინ უფრო ძლიერი პირველობა გვქონდა, რადგან მეტი ფინანსურად ძლიერი გუნდი თამაშობდა. თუმცა საინტერესო გუნდები ამ ჩემპიონატშიცაა. ბევრი პერსპექტიული კალათბურთელია. თასის პირველ მატჩში დავუპირისპირდით „აკადემიას“, რომელშიც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრები თამაშობენ. მათ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

**- 16 იანვარს A დივიზიონში საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობა გაირკვა.**

- თბილისში რომ ჩამოვედი, ისეთი ფონი დამხვდა, თითქოს წილისყრისას გაგვიმართლა, სუსტი მეტოქეები შეგვხვდა. ჩემი აზრით, ძლიერ ჯგუფში ვართ. თანაბარი ძალის მოწინააღმდეგეები გვყავს, რაც სიტუაციას ნამდვილად ართულებს. თუმცა, ზედა ლიგაში რომ სუსტი გუნდები არ თამაშობდნენ, წინასწარ ვიცოდით.

**- რა მიზანი შეიძლება დავუსახოთ საქართველოს ნაკრებს?**

- ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. B დივიზიონში ჩვენი შესაძლებლობები სრულად ამოვწურეთ. ახლა A ლიგაში უნდა ვითამაშოთ წარმატებით. ჯგუფის საუკეთესო ორ გუნდში მოხვედრის პრეტენზია გვაქვს, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება სხვადასხვა ნიუანსზე. მაგალითად, ტრავმების რაოდენობაზე. მოგეხსენებათ, ორი წელია, საქართველოს ნაკრებში მანუჩარ მარკოიშვილს არ უთამაშია. იმედია, იგი ამ ზაფხულს ჩვენთან იქნება...

**- ახლა ახალ კლუბზე ვთქვათ...**

- „სოპოტთან“ შეთანხმება უკვე მიღწეულია. პოლონეთში ამ დღეებში გავფრინდები. ოღონდ ზუსტი თარიღი არ ვიცი, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, როდის ავიღებ ვიზას.

**- „სოპოტი“ როგორი გუნდია?**

- მდიდარი ტრადიციები აქვს, სადღეისოდ ძველებურად ძლიერი ვერ არის, თუმცა პოლონეთის ჩემპიონატში მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. ვნახოთ, საბოლოოდ რას მივაღწევთ.

**- „დონეცკში“ სულ სამი მატჩი ჩაატარე. ერთ-ერთი, რუმინულ „პლოიეშტთან“ პირდაპირ ეთერში ვიხილე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გუნდთან დიდი ხნის შეთამაშებული იყავი...**

- „დონეცკიდან“ წამოსვლა ნამდვილად არ მინდოდა. გუნდში ძლიერი შემადგენლობა იყო შეკრებილი და კარგადაც შევეწყვე. ასეა თუ ისე, სხვა გზა არ იყო, კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და ყველა ლეგიონერი წამოვედით.

**- მანამდე იყო ბერძნული „ტრიკალა“, რომელთანაც მიმდინარე სეზონი დაიწყე.**

- გუნდის მწვრთნელს მანამდეც ვიცნობდი - მოსკოვის „დინამოში“ დუშან იუკოვიჩთან მუშაობდა. თუმცა, „ტრიკალაში“ ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ გუნდის დატოვება საუკეთესო გამოსავალი აღმოჩნდა.

**- ფინანსურ მდგომარეობას გულისხმობ?**

- გუნდს მატერიალური პრობლემები რომ ჰქონდა, ამან „ტრიკალას“ დატოვება გამიადვილა. წამოსვლას იმიტომ ვფიქრობდი, რომ გუნდში არაჯანსაღი სიტუაცია იყო - თამაში ორ ამერიკელზე ეწყობოდა და დანარჩენები მეორეხარისხოვან როლს ვთამაშობდით. ეს ნამდვილად არ მსიამოვნებდა და „ტრიკალა“ ამიტომაც დავტოვე.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ტეხასური ტრიუმფი და ზაზას სამქულიანები

## პირველად 1999 წლის შემდეგ...

1999 წლის 25 თებერვლის მერე „ატლანტა ჰოქსმა“ ჰიუსტონში პირველი მატჩი მოიგო. ჯორჯიელებმა „როკეტსთან“ შეხვედრა თავიდანვე დამაჯერებლად დაიწყეს, ხოლო მეორე პერიოდში 55:44 დაწინაურდნენ.

მესამე და მეოთხე პერიოდებში „ატლანტამ“ უპირატესობა შეინარჩუნა და საბოლოოდ 102:95 მოიგო.

ეს გახლდათ „ქორების“ 29-ე გამარჯვება 43 მატჩში. მათ აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე პოზიცია გაიმყარეს.

ზაზა ფაჩულიამ მეტოქის კალათისკენ სულ ორჯერ ისროლა. ორივე შემთხვევაში მოედნის საკუთარი ნახევრიდან: ზაზამ პირველი და მეორე პერიოდების ბოლო წამებზე ბურთი საკუთარი კალათიდან მოხსნა და სხვა გზა არ ჰქონდა, იქიდანვე ისროლა.

ფაჩულია დამაჯერებელი იყო დაცვაში თამაშისას: ექვსივე მოხსნა საკუთარ ფარზე მიითვალა, რასაც ერთი დაფარება წაამატა.

„ატლანტა“ 27 იანვრამდე ტეხასში დარჩება. ამ დღეს „სან ანტონიოს“ დაუპირისპირდება.

**ჰიუსტ.-ატლანტა 95:102**

ფაჩულია: 14 წუთი, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 3 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:08 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:40 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:01 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:01 | სამქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 10:36 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 10:36 | ფოლი: 1 |
| 08:24 | ზაზა ბიბიმ შეცვალა |
| 01:30 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:04 | ფოლი: 2 |
| 00:04 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 00:00 | სამქულიანი: არაზუსტი |
| **III პერიოდი** | |
| 02:51 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 02:37 | მოხსნა: შეტ-0, დაც-5 |
| 02:13 | დაფარება: 1 |
| 01:08 | ფოლი: 3 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:15 | მოხსნა: შეტ-0, დაც-6 |
| 10:22 | პასი: 1 (ჰროუფორდი 2ქ, 81:69) |
| 08:57 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**





# ჰოპსის ჰოპლა კუპერთან

**დავით უგრეხელიძის** „კუპერს“ 2010 წელს ერთი მატჩიც არ მოუგია. კუპერელებმა ბოლო შეხვედრა სტუმრად „ჰოპსისთან“ ჩაატარეს და 16-ქულიანი სხვაობით წააგეს - 69:85.

თუ სხვა მატჩებში დავით უგრეხელიძე „კუპერის“ სნაიპერობას არ თმობდა, ამჯერად შეტევაში ძველებურად არ უაქტიურია: სულ ორი ორქულიანი ისროლა, ერთი ჩააგდო და 2 ქულას 5 მოხსნა მიამატა. გარდა ამისა, დათო 20 წუთში ოთხჯერ დაჯარიმდა.

„კუპერი“ სლოვენიის ჩემპიონატში ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

თავისუფალი ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი

# თავისუფლებს ბათუმი დაახარისხებს

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა უკვე მოილიეს საქართველოს პირველობა და ევროპის ჩემპიონატზე წასვლის უმთავრესი კანდიდატებიც გაარკვიეს, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები კი იმავე ამოცანის შესრულებას დღეს ბათუმში შეუდგებიან. ჭიდაობის ამ სახეობაში საქართველოს 2010 წლის პირველობას სწორედ ზღვისპირა ქალაქი უმასპინძლებს. ჩემპიონატს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** (84) რომ დააკლდებოდა, ადრევე ვიცოდით, ბოლო დღეებმა კი კიდევ ერთი დანაკლისი მოგვიტანა – ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ბესარიონ გოჩაშვილმა** (55) ორიოდ დღის წინ ვარჯიშზე ხელი იტკინა და ვერ იჭიდავებს. ცხადია, ვერც მძიმეწონოსანი **დავით მოძმანაშვილი** იასპარეზებს – დისკვალიფიკაციის ვადა ჯერ არ გასვლია, სხვებმა კი აუცილებლად უნდა იჭიდაონ. მათ სხვა გზა არ რჩებათ, რაკილა აქ გამარჯვების გარეშე ვერც საევროპო ნაკრებში მოხვდებიან და ხელფასებიც გვარიანად შეუმცირდებათ. ამიტომ ჭიდაობენ ისინიც კი, ვისაც მცირეოდენი ტრავმა აწუხებთ... ბათუმურ ტატამზე ახალგაზრდული ნაკრების ყველა იმ წევრს ვიხილავთ, რომლებმაც შარშან თბილისში გამართულ ევროპის პირველობაზე მედლები მოიპოვეს. იმედია, ასაკის მიუხედავად, ისინი მედგარ ბრძოლებს გაუმართავენ ლიდერებს.

დღეს 55, 60, 66 და 74 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ, ხვალ კი ხალიჩას დარჩენილი სამი წონის წარმომადგენლები დააჭაშნიკებენ. დღევანდელი შეხვედრების წილისყრა გუშინ საღამოს გაიმართა, თუმცა ის განთესვით ჩატარდა და არც დამაინტრიგებელი წყვილები ყოფილა.

**ირაკლი თავაძე**

სამთო თხილამურობა

# ბენიანიძის მეხუთე ადგილი

მაშინ, როცა საქართველოს ნაკრების ლიდერი **იასონ აბრამაშვილი** მსოფლიოს თასის ეტაპზე ცდიდა ბედს კიცბიუელში, ორმა ქართველმა სამთო-მოთხილამურემ იტალიურ ფონდო გრანდეში იასპარეზა ახალგაზრდული ეგიდით გამართულ სლალომსა და გიგანტურ სლალომში. ორივე შეჯიბრება ერთ დღეს გაიმართა. სლალომში 16 წლის **ბიძინა ქართველიშვილმა** 37-ე ადგილი დაიკავა, ხოლო 18 წლის **ალექსი ბენიანიძემ** პირველი ჩამოსრიალება გააცუდა. გიგანტურ სლალომში ბენიანიძემ იყოჩაღა, მან მე-5 ადგილი დაიკავა, მაშინ, როცა ორი ცდის ჯამში ფინიშთან 86 სპორტსმენი მივიდა. ბიძინა ქართველიშვილი ამ დისციპლინაში 71-ე შედეგით დაკმაყოფილდა. ეს სეზონი საუკეთესოა ბენიანიძის კარიერაში.

ფონდე გრანდეში იასპარეზა მომავალმა ოლიმპიელმა **ნინო ნიკლაურმაც**, რომელმაც გიგანტურ სლალომში 24-ე ადგილი დაიკავა. გუშინ ნინომ უკვე დიდებში, „სითიზენის“ ეგიდით გამართულ გიგანტურ სლალომში სცადა ბედი აბეტონე ოვოვიაში (იტალია) და მე-11 ადგილი დაიკავა.

16 წლის ნიჭიერი სამთო-მოთხილამურე **ჯაბა გელაშვილი** ავსტრიულ ინერკრემსშია, სადაც მექსიკის ღია ჩემპიონატში სუპერ-გიგანტში იასპარეზა და 24-ე ადგილი დაიკავა. იმავე დღეს FIS-ის ეგიდით გამართულ სუპერგიგანტში ჯაბამ 34-ე ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

თამაზ ფხაკაძესთან

# ვიცე-ჩემპიონი უმაღლესში დარჩენისთვის იბრძოლებს

**„ბათუმი XV" საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის აღმოჩენაა. გუნდმა, რომლის პლეი ოფში გასვლაც კი ძნელი დასაჯერებელი იყო, დიდი ფინალი ითამაშა და ვერცხლის მედლების მფლობელი გახდა. მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. „ბათუმი XV" დატოვა მთავარმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული შარშანდელი ტრიუმფი. ბათუმური კლუბი მისმა ასისტენტმა თამაზ ფხაკაძემ ჩაიბარა. ახალი სეზონისთვის გუნდის მზადებასა და მიზნებზეც სწორედ მას ვესაუბრეთ.**



თამაზ ფხაკაძე

- გუნდმა სეზონისთვის მზადება 20 იანვრიდან დაიწყო. ტრადიციულად, მზადების პირველ ეტაპს ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას ვუთმობთ. მძლეოსნურ ვარჯიშებს ძალოსნურს ვუნაცვლებთ. რამდენიმე დღის შემდეგ ბურთით ვარჯიშსაც დავიწყებთ.

თებერვლის შუა რიცხვებში გვინდა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც გავმართოთ. გვსურს საწვრთნელი შეკრების მოწყობაც საქართველოს რომელიმე რეგიონში. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, წლეულს როგორი დაფინანსება გვექნება.

**- გუნდს სპონსორი ხომ არ გამოუჩნდა?**

- არა, სპონსორი არ გვყავს. ქალაქის მერია გვეხმარება. ძალიან დიდი იმედი გვაქვს საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილის დაკავებისთვის სპორტის დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი პრემიალური თანხისა. ჯერჯერობით სულ ესაა.

**- როგორია წლეულს კლუბის ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. სად ივარჯიშებს და ითამაშებს ახალ სეზონში „ბათუმი XV"?**

- დღესდღეობით ანგისაზე ვვარჯიშობთ. თამაშითაც იქვე ვითამაშებთ. ქალაქის ხელმძღვანელობამ მოედნის მოსაწყობად ტერიტორია კი გამოგვიყო, მაგრამ ჯერ სამუშაოები არ დაწყებულა. იმედი გვაქვს, რომ წლის ბოლოსთვის გუნდს საკუთარი ბაზა ექნება.

**- გუნდის შემადგენლობაში რაიმე ცვლილებები ხომ არ მომხდარა?**

- გუნდი დატოვა ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშე გელა სირბილაძემ, რომელმაც საფრანგეთში თამაში არჩია. გუნდიდან სხვა არავინ წასულა. რუსეთის „პენზადან" დაგვემატება ზაზა ჩირგაძე, ასევე შევიმატეთ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე ჩვენი მეორე გუნდიდან. ტრავმა მოირჩინა და უკვე ვარჯიშობს მამუკა ნინიძე.

ქუთაისიდან ჩვენთან სამუშაოდ გადმოვიდა მწვრთნელი გიორგი ჩუბინიძე, რომელიც ჩემთან ერთად თანაბარი უფლებებით გაწვრთნის გუნდს.

**- თქვენმა გუნდმა შარშანდელ სეზონში ფურორი მოახდინა - მას დიდ ფინალში არავინ ელოდა. შეძლებთ, წლეულსაც გაიმეოროთ შარშანდელი მიღწევა?**

- წლეულს ჩვენი მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ჩემპიონატის მსვლელობისას შევხედავთ, თუ შანსი მოგვეცა, პლეი ოფში გასვლისთვისაც ვიბრძოლებთ.

**- ვინ მიგაჩნიათ წლეულს მთავარ კონკურენტებად?**

- კონკურენტია ყველა, ჩემპიონატის მონაწილე შვიდივე გუნდი. პრეტენზია და საფუძვლიანი ამბიცია ჩემპიონატის მედლებზე ყველა მათგანს აქვს. ყველას პატივს ვცემთ, ყველას წინააღმდეგ თამაშს სრული პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. იოლად არავინ არაფერს დათმობს. ბრძოლა, როგორც მორაგბეებს გვჩვევია, თამაშის ბოლო წამებამდე იქნება.

წინ ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველის. წინასწარ ვერავინ იტყვის, რა მოხდება. პლეი ოფში ადგილი დაჯავშნული არავის აქვს. გამორიცხული არაა, შარშანდელივით, პლეი ოფში ისეთმა გუნდმა გააღწიოს, ვისაც იქ არ ელოდებიან.

**- ლევან მგელაძემ გუნდისთვის ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. მან ამჯერად „ვისოლი ყოჩებში" მუშაობა არჩია. რამდენად დიდი დანაკლისია იგი თქვენთვის?**

- ლევანი მგელაძეს „ბათუმი XV"-ის წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. ცხადია, მისი არყოფნა გუნდისთვის დიდი დანაკლისია: ლევანს ხომ მწვრთნელობის დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს.

ვეცდებით, ეს დანაკლისი გაორკეცებული შრომით შევავსოთ. მე და გიორგი ჩუბინიძეს გვინდა, გუნდის თამაშის მანერა ოდნავ შევცვალოთ. ცხადია, ჩვენს უმთავრეს იარაღს, მძიმე და საკმაოდ მობილურ შერკინებას არაფერს დავაკლებთ. უფრო მეტ ყურადღებას უკანახაზელების ხელდახელ ბურთაობას მივაქცევთ. ამის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს. ასე რომ, ჩვენი შედეგზე ორიენტირებული თამაში, ხელდახელ მეტი ბურთაობით უფრო სანახაობრივი იქნება.



ამბები

# კიდევ ერთი ახალი გუნდი: ჭიათურის იმერეთი

საქართველოს ჩემპიონატში წლეულს მეორე ლიგა შეიქმნება. ექვსი ახალი გუნდი მარტში მინი- ტურნირში დაუპირისპირდება ერთმანეთს და პირველი ლიგის ერთ საგზურს გაითამაშებს. დანარჩენი ხუთი კი მეორე ლიგას შექმნის. ამ ხუთეულს, სავარაუდოდ, დაემატება კიდევ ერთი ახალი გუნდი - ჭიათურის „იმერეთი", რომელმაც საპირველლიგო ბრძოლებისთვის საქართველოს რაგბის კავშირში განაცხადის დროულად შეტანა ვერ მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ პირველი ლიგის საგზურისთვის იბრძვიან: გორის „ლომები", სენაკის „ჯიხა", თბილსის „ჯიქები", თბილისის „დინამო", თბილისის „ქორები" და „ჯარი".

# აზერბაიჯანელებს საქართველოს ჩემპიონატში თამაში უნდათ

საქართველოს რაგბის კავშირმა სათადარიგო გუნდების, ანუ ესპუარების ჩემპიონატი პირველად შარშან ჩაატარა. მასში მონაწილეობა უმაღლესი ლიგის რვა გუნდიდან მხოლოდ ოთხის ესპუარებმა მიიღეს. წლეულს მათი რაოდენობა ორით გაიზრდება. თბილისის „ლელოს", თბილისის „ლოკომოტივს", თბილისის „ვისოლი ყოჩებს" და „ბათუმი XV"-ს კიდევ ორი თბილისური გუნდი -"აკადემია" და „არმაზი" დაემატება.

გამორიცხული არაა, ესპუართა ჩემპიონატში ან მეორე ლიგაში მეზობელი აზერბაიჯანის, ბაქოს გუნდმა უკონკურსოდ იასპარეზოს. ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანელებმა ამის სურვილი უკვე გამოთქვეს. აღსანიშნავია, რომ ბაქოელთა თავკაცი საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **მალხაზ ჭეიშვილია**.

# ტენდაი მთავარირას დეპორტაცია ემუქრება



ტენდაი მთავარირა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების პირველხაზელ **ტენდაი მთავარირას** დეპორტაციის საფრთე ემუქრება. სპორტის ეროვნული კომიტეტი მას საიმიგრაციო კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებს. კომიტეტის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ სამხრეთ აფრიკამ სპორტის ნებისმიერ სახეობაში სამართლიანად უნდა იბრძოლოს.

საქმე ისაა, რომ მთავარირა წარმოშობით ზიმბაბველია და კომიტეტს მისი „ბოკეს" შემადგენლობაში თამაში უკანონოდ მიაჩნია. თუმცა სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა პროფკავშირის თავმჯდომარე **ორხენ ხოსკინსი** ეროვნული საბჭოს ბრალდებებს უარყოფს. ის ამტკიცებს, რომ მთავარირამ სამხრეთ აფრიკაში მუშაობის უფლება ყველა კანონის დაცვით მიიღო.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირი ქვეყნის ხელისუფალთ თხოვნით მიმართავს, ამ ფაქტს ისე მიუდგნენ, როგორც განსაკუთრებულ შემთხვევას. ცხადია, ყოველივე ამას მწვავედ განიცდის თავად მორაგბეც.

*„მე თხემით ტერფამდე, მთელი სულითა და გულით სამხრეთაფრიკელი ვარ. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. ის ჩემი ნამდვილი სახლია. „ბოკეს" მწვანე კვართის ტარება ჩემთვის უდიდესი პატივია. სამხრეთ აფრიკის ნაკრებში თამაში ჩემთვის ისეთივე საამაყოა, როგორც გუნდის ნებისმიერი წევრისთვის. მე სამხრეთაფრიკელი ვარ"* - თქვა ტენდაი მთავარირამ.

# რობი დინსი ვოლაბებს მსოფლიოზე გაჰყვება

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი **რობი დინსი** გუნდს 2011 წლის მსოფლიო თასზე გაუძღვება. მას ავსტრალიის რაგბის კავშირმა მხარი დაუჭირა და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

რობი დინსი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, ვისაც ზე 14-ის გუნდებთან უმუშავია, თუმცა, რაც ავსტრალიის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა, ვოლაბები არასტაბილურად გამოიყურებიან.

*„ჩვენ დრო უნდა მივცეთ რობის ავსტრალიის ახალგაზრდული გუნდის განვითარებისთვის. სხვა გამოსავალს შექმნილ ვითარებაში ვერ ვხედავთ,"* - თქვა ავსტრალიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ჯონ ონილმა.**

# სტივ ბორტვიკი ისევ პომებს უკაპიტნებს



მარტინ ჯონსონი

ექვსი ერის ახალ გათამაშებაში ინგლისის ნაკრებს ისევ **სტივ ბორტვიკი** უკაპიტნებს. ინგლისელთა თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** ეს განცხადება პორტუგალიაში საწვრთნელ შეკრებაზე გამგზავრების წინ გააკეთა.

ბორტვიკი ინგლისის ნაკრების კაპიტნად სწორედ ჯონსონმა დანიშნა. მისმა გადაწყვეტილებამ, ოდნავ მოგვიანებით დაესახელებინა გუნდის კაპიტანი მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვარაუდობდნენ, რომ „პომებს" წლეულს ახალი კაპიტანი წარუძღვებოდა. თუმცა ჯონსონი ასე არ ფიქრობდა და ისევ ნაცად მორაგბეს ენდო.

რამდენიმე დღით ადრე კი მარტინ ჯონსონს ლესტერის უნივერსიტეტმა საპატიო სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა, რითაც „პომების" ლეგენდარული კაპიტნის ღვაწლი ინგლისური რაგბის წინაშე კიდევ ერთხელ აღინიშნა.

# სტივენსი სარასენზში ბრუნდება

ინგლისის ნაკრებისა და „ბასის" ყოფილი შერკინების ბურჯი **მეთ სტივენსი** კარიერის გაგრძელებას სხვა ინგლისურ გუნდ „სარასენზში"აპირებს. თუმცა მანამდე სტივენსმა უნდა მოიხადოს ორწლიანი დისკვალიფიკაცია, რომლითაც მან კოკაინის გამოყენებისთვის დაისაჯა. დიკვალიფიკაციის ვადა 2011 წლის 19 იანვარს გასდის.

*„მოუთმენლად ველი ჩემი სარაგბო კარიერის დისკვალიფიკაციის შემდგომ ეტაპს. „ბასისთან" ძალიან ბევრი კარგი მოგონებები მაკავშირებს, იქ მეგობრებიც ბევრი მყავს, მაგრამ „სარასენზმა" ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, ამიტომ ძალიან მინდა, ამ გუნდის ნაწილი გავხდე,"* - თქვა მეთ სტივენსმა

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ვანკუვერი 2010. დარჩა 17 დღე

# ჰოკეი

**მონაწილე:** 3 390 (3 075 კაცი, 315 ქალი) 33 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** ვალენტინა ბეტარინი (იტალია) - 15 წლის, 228 დღის (2006)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** ბელა ორდოდი (უნგრეთი) - 48 წლის, 29 დღის (1928)
**ყველაზე მეტი მედალი:** 3 სპორტსმენი 4-4 მედლით
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** კანადა (16 მედალი)

დღემდე რამდენიმე ვერსია არსებობს შაიბის ჰოკეის წარმოშობის. ზუსტად ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ის ინგლისელებმა შეიტანეს. პირველად ყინულზე თამაში ჯარისკაცებმა დაიწყეს, რომლებიც კანადის პროვინცია ახალ შოტლანდიაში იყვნენ დაბანაკებულნი. 1879 წელს მონრეალის მაკგილის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თამაშის წესები მოიგონეს და შაიბის ჰოკეიში პირველი შეჯიბრება მოაწყვეს.

მამაკაცთა გუნდებს შორის პირველი ოფიციალური ტურნირი 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმართა.

ქალების ჰოკეი ოლიმპიურ პროგრამაში პირველად 1998 წელს შეიტანეს.

ჰოკეის მატჩები ყინულის მოედანზე ტარდება. სათამაშოდ გამოიყენება ვულკანიზებული რეზინით დამზადებული შაიბა. უმაღლესი რანგის თამაშების წინ შაიბას ყინულთან ხახუნის ძალის შესამცირებლად ყინავენ.

ჰოკეის მატჩში ორი გუნდი ეჯიბრება ერთმანეთს. მოთამაშეები ჯოხების საშუალებით ცდილობენ მეტოქის კარში გოლის გატანას. იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მოწინააღმდეგეზე მეტ შაიბას გაიტანს.

თითო გუნდიდან მოედანზე ერთდროულად ექვსი მოთამაშე იმყოფება: მეკარე, ორი მცველი და სამი თავდამსხმელი (მარცხენა, ცენტრალური და მარჯვენა). წესის დამრღვევ მოთამაშეს მოედნიდან გარკვეული ხნით აძევებენ. დაშვებულია მეკარის შეცვლა წინა ხაზის მოთამაშით.

მატჩი სამი 20-წუთიანი პერიოდისგან შედგება. პირველი და მეორე პერიოდების შემდეგ 15-წუთიანი შესვენებებია გათვალისწინებული. თამაშის მსვლელობისას შემადგენლობები რეგულარულად იცვლება.

ოლიმპიურ თამაშებზე მედლების ორი კომპლექტი თამაშდება - კაცებსა და ქალებს შორის.



## მედლების ცხრილი

**კაცები**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 7 | 4 | 2 | 13 |
| 2. სსრკ | 7 | 1 | 1 | 9 |
| 3. აშშ | 2 | 7 | 1 | 10 |
| 4. შვედეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| 5. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 6. ბრიტანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 7. დსთ | 1 | 0 | 0 | 1 |
| 8. ჩეხოსლოვაკია | 0 | 4 | 4 | 8 |
| 9. ფინეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| 10. რუსეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 11. შვეიცარია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 12. გერმანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 13. გფრ | 0 | 0 | 1 | 1 |

**ქალები**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 2 | 1 | 0 | 3 |
| 2. აშშ | 1 | 1 | 1 | 3 |
| 3. შვედეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 4. ფინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

**ლიდერები**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ვლადისლავ ტრეტიაკი (სსრკ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 2. ალექსანდრ რაგულინი (სსრკ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 2. ვიტალი დავიდოვი (სსრკ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 2. ვიქტორ კუზკინი (სსრკ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 2. ანდრეი ხომუტოვი (სსრკ) | 3 | 0 | 0 | 3 |

# კალენდარი

**კაცები**

| | |
|---|---|
| **16 თებერვალი** | |
| 00:00 | აშშ-შვეიცარია (A ჯგუფი) |
| 04:30 | კანადა-ნორვეგია (A ჯგუფი) |
| 09:00 | რუსეთი-ლატვია (B ჯგუფი) |
| **17 თებერვალი** | |
| 00:00 | ფინეთი-ბელარუსი (C) |
| 04:30 | შვედეთი-გერმანია (C) |
| 09:00 | ჩეხეთი-სლოვაკეთი (B) |
| **18 თებერვალი** | |
| 00:00 | აშშ-ნორვეგია (A) |
| 04:30 | შვეიცარია-კანადა (A) |
| 09:00 | სლოვაკეთი-რუსეთი (B) |
| **19 თებერვალი** | |
| 00:00 | ბელარუსი-შვედეთი (C) |
| 04:30 | ჩეხეთი-ლატვია (B) |
| 09:00 | ფინეთი-გერმანია (C) |
| **20 თებერვალი** | |
| 00:00 | ნორვეგია-შვეიცარია (A) |
| 04:30 | ლატვია-სლოვაკეთი (B) |
| 09:00 | გერმანია-ბელარუსი (C) |
| **21 თებერვალი** | |
| 00:00 | რუსეთი-ჩეხეთი (B) |
| 04:40 | კანადა-აშშ (A) |
| 09:00 | შვედეთი-ფინეთი (C) |
| **23 თებერვალი** | |
| 00:00 | პლეი ოფის კლასიფიკაცია |
| 04:30 | პლეი ოფის კლასიფიკაცია |
| 07:00 | პლეი ოფის კლასიფიკაცია |
| 09:00 | პლეი ოფის კლასიფიკაცია |
| **24 თებერვალი** | |
| 00:00 | 1/4 ფინალი |
| 04:30 | 1/4 ფინალი |
| 07:00 | 1/4 ფინალი |
| 09:00 | 1/4 ფინალი |
| **26 თებერვალი** | |
| 00:00 | 1/2 ფინალი |
| 06:30 | 1/2 ფინალი |
| **27 თებერვალი** | |
| 07:00 | მე-3 ადგილისთვის |
| **28 თებერვალი** | |
| 00:15 | ფინალი |

**ქალები**

| | |
|---|---|
| **13 თებერვალი** | |
| 00:00 | შვედეთი-შვეიცარია (A) |
| 05:00 | კანადა-სლოვაკეთი (A) |
| **14 თებერვალი** | |
| 00:00 | აშშ-ჩინეთი (B) |
| 04:30 | ფინეთი-რუსეთი (B) |
| **15 თებერვალი** | |
| 02:30 | შვეიცარია-კანადა (A) |
| 07:00 | შვედეთი-სლოვაკეთი (A) |
| **16 თებერვალი** | |
| 02:30 | რუსეთი-აშშ (B) |
| 07:00 | ფინეთი-ჩინეთი (B) |
| **17 თებერვალი** | |
| 02:30 | კანადა-შვედეთი (A) |
| 07:00 | სლოვაკეთი-შვეიცარია (A) |
| **18 თებერვალი** | |
| 02:30 | აშშ-ფინეთი (B) |
| 07:00 | ჩინეთი-რუსეთი (B) |
| **20 თებერვალი** | |
| 02:30 | პლეი ოფის კლასიფიკაცია |
| 07:00 | პლეი ოფის კლასიფიკაცია |
| **22 თებერვალი** | |
| 00:00 | 1/2 ფინალი |
| 02:00 | 7-8 ადგილები |
| 05:00 | 1/2 ფინალი |
| 07:00 | 5-6 ადგილები |
| **25 თებერვალი** | |
| 23:00 | მე-3 ადგილისთვის |
| 03:30 | ფინალი |

*შენიშვნა: დრო თბილისისაა*



# ვანკუვერში საგანგებო მდგომარეობაა

გუშინდელი დღიდან ვანკუვერის ოლიმპიური ობიექტები უსაფრთხოების საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. პირველ რიგში ეს ეხება ფოლს კრიკის ყურეს, რომლის სანაპიროზეც 2010 წლის თამაშების ოლიმპიური სოფელია გაშენებული.

ორშაბათს ყურე ყველა გემისთვის დაიკეტა, გამონაკლისი მხოლოდ უსაფრთხოების კატერებისთვისაა დაშვებული. ეს აკრძალვა 25 მარტამდე - პარაოლიმპიადის ბოლო დღემდე იმოქმედებს.

პოლიციის გეგმის მიხედვით, 30 იანვრიდან 25 მარტამდე ასევე აკრძალული იქნება გემების მოძრაობა ინგლისის ყურეში - ოლიმპიადის მთავარი პრესცენტრის სიახლოვეს, ხოლო პირველიდან 28 თებერვლამდე ანალოგიური აკრძალვა შევა ძალაში მდინარე ფრეიზერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც "ოვალის" საციგურაო დარბაზი მდებარეობს - ეს არენა ციგურებით მორბენლებს უმასპინძლებს.

კვირის ბოლოს ვანკუვერსა და მის გარეუბნებში დაიწყება საჰაერო პატრულირება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამერიკა-კანადის აეროკოსმოსური დაცვის გაერთიანებულ სისტემაში შემავალი CF-18 Hornet-ის ბომბდამშენები. მათი და აგრეთვე კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების მეშვეობით გაკონტროლდება ორი საჰაერო ზონა 30 საზღვაო მილის რადიუსსა და 5.5 ათას მეტრ სიმაღლეზე. ერთი ზონის ვირტუალური ცენტრი ვანკუვერის საერთაშორისო აეროპორტში იქნება განთავსებული, მეორე - ოლიმპიურ სოფელში. ამ ზონებში შემოსვლა აეკრძალებათ დამწყებ პილოტებსა და ექსტრემალ მფრინავებს.

ოლიმპიური ამბები

## ბრიტანეთი რეკორდს უმიზნებს

ვანკუვერის ოლიმპიადაზე ბრიტანეთის ნაკრები 1936 წელს, გარმიშ-პარტენკირხენში დამყარებული რეკორდის გამეორებას აპირებს. კანადაში ბრიტანელ ოლიმპიელებს სამი მედლის მოპოვება აქვთ დაგეგმილი.

ქვეყნის სპორტის სამინისტრომ სკელეტონის, ქიორლინგის, შორტ-ტრეკის, ციგურებით სირბილის, ბობსლეის, ფიგურული სრიალის, სათხილამურო სპორტისა და სნოუბორდის განვითარებაში დაახლოებით 10 მილიონი დოლარი ჩადო და ახლა იქაური სპორტული ფუნქციონერები ელიან, რომ ბრიტანელი სპორტსმენები 74 წლის წინ ნაჩვენებ შედეგს გაიმეორებენ და ვანკუვერში თითო სინჯის მედალს დაისაკუთრებენ.

ბრიტანეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ესმის ამ ამოცანის სირთულე, მაგრამ იმედი აქვს, რომ მსგავი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იქნება.

2006 წელს ბრიტანეთმა ტურინის თამაშებზე მხოლოდ ერთი ვერცხლი მოიგო. მაშინ სკელეტონში მეორე ადგილი **შელი რუდმანმა** დაიკავა.

## კოენმა კვალიფიკაცია ვერ გაიარა

კრახით დასრულდა დიდ სპორტში ტურინის თამაშების ვერცხლის პრიზიორის **საშა კოენის** დაბრუნება. ტიტულოვანი მოციგურავე ამერიკის ჩემპიონატზე საპრიზო სამეულში ვერ მოხვდა და ვანკუვერის თამაშების საგზურის გარეშე დარჩა.

ამერიკის ჩემპიონატი პირველი ოფიციალური ტურნირი იყო კოენისთვის. მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ საშა მეორე ადგილს იკავებდა, მაგრამ ძალიან ცუდად შეასრულა თავისუფალი პროგრამა და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. თანაც საპრიზო სამეულთან ჩამორჩენა საკმაოდ დიდი აღმოჩნდა: კოენსა და ბრინჯაოს პრიზიორ **ეშლი ვაგნერს** შორის სხვაობამ 10 ქულაზე მეტი შეადგინა.

ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა 17 წლის **რეიჩელ ფლატი**, ვერცხლი **მირაი ნაგასუს** ერგო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# პეხშტაინი ვანკუვერში ვერ მიდის

ციგურებით სირბილში გერმანიის ფედერაციამ ვანკუვერში გასამგზავრებელი მოციგურავეების სია შეადგინა და ის ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს დასამტკიცებლად გადასცა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, სიაში შეყვანილია ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 37 წლის **კლაუდია პეხშტაინი**, რომელიც ივლისში საერთაშორისო ფედერაციამ სისხლის დოპინგისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

პეხშტაინმა შვეიცარიის სასამართლოში აპელაცია მოიგო და სოლტ-ლეიკსიტიში მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვა, მაგრამ იქ 3000 მეტრ დისტანციაზე მხოლოდ მე-13 ადგილი დაიკავა და გერმანიის ფედერაციის ნორმატივი ვერ გაიარა. ასეთი შედეგის მიუხედავად, პეხშტაინი ჯერჯერობით ნაკრების წევრთა სიაშია შეყვანილი. არადა, არც მისი დისკვალიფიკაციის საკითხია ბოლომდე გარკვეული.

და აი, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ტიტულოვანი გერმანელი ვანკუვერში ვერ გაემგზავრება. შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა კლაუდიას სარჩელი და მას კვლავ აუკრძალა ოფიციალურ ტურნირებზე გამოსვლა.

პეხშტაინი კვლავინდებურად უარყოფს აკრძალული პრეპარატის გამოყენებას და აცხადებს, რომ არ აპირებს კარიერის დასრულებას.

*"ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან გამამართლებენ. ჯერ კიდევ შემიძლია ჩემი გულშემატკივრების გახარება"*, - ამბობს პეხშტაინი.



# რუსული დოპინგი მოქმედებს

მოახლოებული ოლიმპიადის წინ რუსული სათხილამურო სპორტი მორიგ დოპინგსკანდალში გაეხვია. რუსეთის მოთხილამურეთა ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი, სპრინტში ტურინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ალიონა სიდკო** ოლიმპიური გუნდიდან გარიცხეს. ამის მიზეზი 30 წლის მოთხილამურის ბოლო დოპინგსინჯის დადებითი შედეგი აღმოჩნდა.

სიდკო დოპინგზე 26 დეკემბერს შეამოწმეს და ანტისადოპინგო სამსახურებმა კვლავ ნაცნობი სურათი მიიღეს - რუს სპორტსმენს ყველაზე გავრცელებული პრეპარატი - ერითროპოეტინი აღმოუჩინეს.

თხილამურებით სირბილში ოლიმპიური პრიზიორი რუსეთის ნაკრებში 12 იანვარს შეიყვანეს, ათი დღის შემდეგ კი ამავე გუნდიდან გარიცხეს, თუმცა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიზეზად არა დოპინგი, არამედ სპორტსმენის ზედმეტი წონა დაასახელა.

ჰოკეი. რეგულარული ჩემპიონატი

**კალგარი-სტ. ლუისი 0:2**

0:0, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ბერგლუნდი-7 (ჯეკმენი-11, პოლაკი-10), 0:2 პერონი-15 (ენდი მაკდონალდი-16, სიდორი-7).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 2:4**

0:1, 1:0, 1:3

გოლები: 0:1 კონერი-1 (კროსბი-33, ლეტანგი-15), 1:1 ანისიმოვი-8 (ჰიგინსი-8, ლისინი-7), 2:1 ანისიმოვი-9 (ჟირარდი-10), 2:2 მალკინი-18 (გონჩარი-24, ლეტანგი-16), 2:3 კონერი-2 (კროსბი-34, დუპუი-11), 2:4 დუპუი-12 (მალკინი-35, გონჩარი-25).

**ვანკუვერი-ბაფალო 3:2**

0:0, 2:1, 1:1

გოლები: 0:1 მეირი-1 (ელისი-5, ტიმ კენედი-12), 1:1 სამუელსონი-18 (რეიმონდი-18, ერჰოფი-16), 2:1 ჰ. სედინი-24 (ბაროუზი-22, დ. სედინი-33), 2:2 ვანეკი-15 (კონოლი-35, მიერსი-23), 3:2 ლუკოვიჩი-1 (დ. სედინი-34, ჰ. სედინი-52).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**კალათბურთი.** NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ნიქსი რუბიოზე ნადირობს

„ნიუ იორკ ნიქსი" მომავალი სეზონისთვის ესპანელი ვუნდერკინდის რიკი რუბიოს დამატებაზე ფიქრობს. „ბარსელონას" მცველი „მინესოტას" ჰყავს აყვანილი დრაფტზე, თუმცა ცნობილია, რომ ესპანელს არ სურს „მგლების" რიგებში თამაში და სწორედ ამ მომენტის გამოყენებას აპირებს „ნიქსის" გენერალური მენეჯერი **დონი უოლში.**

თუმცა ეს უკანასკნელი დარწმუნებულია, რომ ამგვარი გარიგების განხორციელება რთული იქნება. *„მინესოტას" პრეზიდენტმა შემატყობინა, რომ მათ მომავალ სეზონში რუბიოს დიდი იმედი აქვთ"*, - ამბობს უოლში.

აქვე „ნიქსის" ერთ-ერთი საერთაშორისო სკაუტი, რომელიც ბარსელონაში ცხოვრობს, კლუბის ხელმძღვანელობას ატყობინებს, რომ ესპანელ კალათბურთელს სწორედ „ნიუ იორკში" სურს კარიერის გაგრძელება. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ სკაუტმა გაუწია რეკომენდაცია „ნიქსის" შეფობასთან იტალიელ **დანილო გალინარის.**

■ ■ ■

გუშინ გაცვლა განახორციელეს „ნიუ ორლეან ჰორნეტსმა" და „ჩიკაგო ბულზმა". „ხარებმა" მცველი **დევინ ბრაუნი** დაიმატეს, ხოლო „ჰორნეტსს" „ჩიკაგოდან" სათადარიგო მძიმე ფორვარდი **აარონ გრეი** ერგო.



ამ სეზონში ბრაუნის საშუალო მაჩვენებლები 9.7 ქულასა და 2.8 მოხსნას უდრის, რაც შეეხება გრეის, რომელიც „ბულზმა" 2007 წლის დრაფტზე აიყვანა, მისი საშუალო შედეგიანობა 3.8 ქულას შეადგენს, რასაც 3.2 მოხსნა ემატება.

ამ ვაჭრობით „ნიუ იორლეანმა" ოდნავ შეამცირა სახელფასო ბიუჯეტი, მაგრამ ლიგის მიერ დაწესებული ლიმიტის დასაცავად კიდევ ერთი გაცვლა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში ლიგაში ე. წ. „ფუფუნების გადასახადი" უნდა შეიტანოს.

# კვირის სიმბოლური

გამთამაშებელი
**ჩონსი ბილაპსი** (დენვერი)
**სტატისტიკა:** 26.5 ქულა+6.6 პასი+5.3 მოხსნა
**გუნდური შედეგი:** 4-0

შემტევი მცველი
**კარმელო ენტონი** (დენვერი)
**სტატისტიკა:** 29.5 ქულა+8.3 მოხსნა+3.0 პასი
**გუნდური შედეგი:** 4-0

დღეისთვის „დენვერი" ერთადერთი გუნდია დასავლეთში, რომლის მოგებათა სერია ხუთ შეხვედრას აჭარბებს. **ენტონისა** და **ბილაპსის** წყვილის წყალობით, **ჯორჯ კარლს** კარგი შანსი აქვს რაიმე ღირებულს მიაღწიოს კოლორადოში. ამ დუეტის გარშემო გამოცდილმა მწვრთნელმა აშკარა საჩემპიონო გუნდი შექმნა.

გასულ კვირას კარმელომ და ჩონსიმ გასაქანი არ მისცეს ოპონენტებს და თავიანთი გუნდის სერია ექვს მოგებამდე აიყვანეს. ცუდი ამბავი კი ის იყო, რომ ენტონიმ „ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ მატჩში ტრავმა მიიღო. თუმცა კარმელოს ტრავმას ჯერ არ უმოქმედია საერთო გუნდურ თამაშზე, რადგან გუშინ „ნაგეტსმა" მომძლავრებული „ბობკეტსიც" დაამარცხა და ახლა ზედიზედ შვიდი მოგებული მატჩით იწონებს თავს.

მსუბუქი ფორვარდი
**ლებრონ ჯეიმსი** (კლივლენდი)
**სტატისტიკა:** 34.0 ქულა+10.7 პასი+7.7 მოხსნა
**გუნდური შედეგი:** 3-0

„მეფეს" ბრწყინვალე კვირა ჰქონდა. **კობისა** და მისი „ლეიკერსის" დამარცხებით ჯეიმსმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა MVP-ის ზედიზედ მეორე ტიტულისკენ. თუმცა გუნდური წარმატება პირად მიღწევებზე მაღლა დგას. **მო უილიამსის** გარეშეც „კავალიერზი" დამაჯერებლად გაუსწორდა თავის ოპონენტებს და ამით ლიდერობა შეინარჩუნა აღმოსავლეთ კონფერენციაში. შეშფოთების საბაბს მხოლოდ ის იძლევა, რომ „კლივლენდის" მოთამაშეები ნაადრევად გავიდნენ სპორტული ფორმის პიკზე. ყველას კარგად ახსოვს, შარშან ეს რითიც დასრულდა.

მძიმე ფორვარდი
**კრის ბოში** (ტორონტო)
**სტატისტიკა:** 24.6 ქულა+11.0 მოხსნა
**გუნდური შედეგი:** 3-2

**კრის ბოში** აგრძელებს იმის დამტკიცებას, თუ რატომ იქნება **ამარე სტაუდმაიერზე** უფრო ძვირფასი მოთამაშე ზაფხულში თავისუფალი აგენტების ბაზარზე. პირველად ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში „რეპტორზი" სტაბილურად ინარჩუნებს მოგება-წაგების 50-პროცენტიან მაჩვენებელს, რაც დღევანდელ პირობებში პლეი ოფში მოხვედრის გარანტია გახლავთ. მოქმედ ჩემპიონზე ბოლო გამარჯვების შემდეგ, კანადური კლუბის მომავალი წარმატება სულ უფრო რეალური ჩანს. და თუ კრისი პლეი ოფის მატჩებშიც გამოიჩენს თავს, მისი ფიგურის მიმართ აჟიოტაჟი უბრალოდ გრანდიოზული გახდება.

ცენტრი
**დუაიტ ჰოვარდი** (ორლანდო)
**სტატისტიკა:** 21.3 ქულა+12.0 მოხსნა+3 დაფარება
**გუნდური შედეგი:** 3-1

კვირის დასაწყისში „ლეიკერსისგან" მიღებული მორიგი გაკვეთილის შემდეგ, „სუპერმენმა" თავის პარტნიორებთან ერთად ზედიზედ სამ გამარჯვებას მიაღწია. „ინდიანასთან" და „საკრამენტოსთან" მატჩებში გამარჯვება მაღალი კლასის დამსახურება იყო, „შარლოტთან" კი **დუაიტსა** და კომპანიას გაუჭირდა. სწორედ ასეთ მატჩებში გვახსენებს ჰოვარდი, რომ დღეისთვის ის ლიგის საუკეთესო ცენტრია.

**ფილადელფია-ინდიანა 98:109**
29:25, 30:31, 17:24, 22:29
ფ: იგუოდალა (22+7 მოხსნა), აივერსონი (20+6 პასი), უილიამსი (16+5 პასი), ბრენდი (12+6 მოხსნა).
ი: გრეინჯერი (26+8 მოხსნა), ჯონსი (18), რაში (16), მერფი (11+12 მოხსნა+7 პასი), ჰიბერტი (10).

**ბოსტონი-კლიპერსი 95:89**
17:19, 26:25, 21:15, 31:30
ბ: პირსი (22), გარნეტი (17), რონდო (16+7 მოხსნა+12 პასი+4 ჩაჭრა), რ. ალენი (15).
კ: ბატლერი (17), დევისი (16+7 პასი), სმიტი (13), რ. დევისი (12), ტორნტონი (12), კამანი (10+9 მოხსნა).

**მაიამი-კლივლენდი 91:92**
34:24, 20:26, 15:17, 22:25
მ: უეიდი (32+5 პასი), ჯ. ო'ნილი (18+8 მოხსნა), ბისლი (16), ელსტონი (10), ჰასლემი (10+9 მოხსნა).
კ: ჯეიმსი (32+9 მოხსნა), შ. ო'ნილი (19), გიბსონი (15), ვარეჟაო (13+10 მოხსნა).

**მემფისი-ორლანდო 99:94**
22:23, 30:27, 25:29, 22:15
მ: რენდოლფი (23+19 მოხსნა), მაიო (20+7 მოხსნა), გასოლი (19+8 მოხსნა+4 ჩაჭრა+3 დაფარება), გეი (15), კონლი (14+7 პასი).
ო: ჰოვარდი (27+15 მოხსნა+6 დაფარება), ლუისი (19), კარტერი (15), ნელსონი (11), რედიკი (11).

**ჰიუსტონი-ატლანტა 95:102**
25:23, 19:32, 23:22, 28:25
ჰ: ლენდრი (16), ბრუქსი (15+5 პასი), სკოლა (12+8 მოხსნა), ბატიე (10+7 მოხსნა), ლოური (10).
ა: სმიტი (22+10 მოხსნა+4 ჩაჭრა+4 დაფარება), ჯონსონი (20+6 მოხსნა), კროუფორდი (17), უილიამსი (12), ბიბი (11).

**სან ანტონიო-ჩიკაგო 93:98**
31:29, 19:23, 21:18, 22:28
ს-ა: პარკერი (20+8 პასი), დანკანი (15+3 დაფარება), მაკდაესი (14+7 მოხსნა), ჯინობილი (14), ჰილი (12)
ჩ: როუზი (27+6 პასი), ჰაინრიხი (18+5 პასი), ნოა (11), დენგი (10+9 მოხსნა), მილერი (10), სალმონსი (10).

**დენვერი-შარლოტი 104:93**
29:26,27:26,28:21, 20:20
დ: ბილაპსი (27+11 პასი), აფლალო (24+7 პასი), ნენე (17+4 ჩაჭრა), გრემი (13), სმიტი (12).
შ: ჯექსონი (22), უოლასი (20+7 მოხსნა), მიურეი (13), დიაო (13).

**იუტა-ფინიქსი 124:115**
24:24, 34:45, 33:27, 33:19
ი: კირილენკო (25), ბუზერი (21), მეტიუზი (21), უილიამსი (18), ოქური (12), მილსეპი (12).
ფ: დრაგიჩი (32), ფრაიე (21), სტაუდმაიერი (16), ნეში (15+15 პასი), რიჩარდსონი (14+6 მოხსნა).

**პორტლენდი-ნიუ ორლეანი 97:98**
23:31, 26:16, 24:25, 24:26
პ: ოლდრიჯი (16), ჰოვარდი (16+7 მოხსნა), უებსტერი (14), ფერნანდესი (12+7 მოხსნა), ბეილესი (12+5 პასი).
ნ-ო: პოლი (24+7 მოხსნა+12 პასი+5 ჩაჭრა), ტორნტონი (19), უესტი (18+7 მოხსნა), ოკაფორი (14+9 მოხსნა).

**ჩოგბურთი**

# ფედერაციის თასი უილიამსებისა და კიმის გარეშე

ამერიკის ნაკრები ფედერაციის თასზე (ქალთა არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატი) კვლავ დები **უილიამსების** გარეშე ითამაშებს. **სერენამ** და **ვენუსმა** მელბურნში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ მათ გეგმებში არ შედის მეოთხედფინალში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაში. შეხვედრა 6-7 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ ლიევენში გაიმართება. როგორც დები ამბობენ, ისინი 8 თებერვალს ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის ფინალს - „სუპერბოულს" დაესწრებიან.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი სერენა უილიამსი ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა ფედერაციის თასზე. მისმა უფროსმა დამ - ვენუსმა უფრო ხშირად ითამაშა ამ ტურნირზე, მაგრამ 2006 წლის შემდეგ ის ერთხელაც არ გამოხმაურებია ამერიკის ნაკრების ხელმძღვანელთა მიწვევას.

ფედერაციის თასზე თამაშს არ აპირებს ბელგიელი **კიმ კლაისტერსი.** ბელგიის ნაკრებს 6-7 თებერვალს პოლონეთის წინააღმდეგ უწევს თამაში. როგორც ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, კლაისტერსმა ცალსახად მიანიშნა მათ, რომ გარკვეული დრო დასჭირდება ვარჯიშების გასაახლებლად.

მეორე ბელგიელმა ვარსკვლავმა **ჟუსტინ ანენმა,** რომელიც ახლახან დაბრუნდა კორტზე, განაცხადა, რომ მისთვის ჯერ ნაადრევია ფედერაციის თასზე თამაში. ასე რომ, პოლონეთის წინააღმდეგ ბელგიის ნაკრების პირველი ნომერი **იანინა ვიკმაიერი** იქნება, რომელსაც პარტნიორობას **კირსტენ ფლიპკენსი** გაუწევს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**ცხელი ხაზი**

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| პორტსმუთი-ვესტ ჰემი | 1:1 |
| ვულვზი-ლივერპული | 0:0 |
| ბოლტონი-ბარნლი | 1:0 |
| ტოტენჰემი-ფულჰემი | 2:0 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნსლი-ლესტერი | 1:0 |
| ბრისტოლი-კარდიფი | 0:6 |
| დონკასტერი-მიდლსბრო | 1:4 |
| იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |
| ნოტინგემი-ქუინზ პარკი | 5:0 |
| პიტერბრო-პრესტონი | 0:1 |
| პლიმუტი-დერბი | 1:0 |
| შეფილდი-რიდინგი | 3:0 |
| სუონსი-ქოვენთრი | 0:0 |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-საუთჰემპტონი | 1:1 |
| კოლჩესტერი-მილტონი | 2:0 |
| ექსეტერი-კარლაილი | 2:3 |
| ჰარტლპული-ჯილინგემი | 1:1 |
| მილუოლი-საუთენდი | 2:0 |
| სტოკპორტი-ბრაიტონი | 1:1 |
| სუინდონი-ლიდსი | 3:0 |
| ტრანმერი-იეოვილი | 2:1 |
| უოლსოლი-ნორვიჩი | 1:2 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ალდერშოტი | 2:1 |
| ბარნეტი-ტორკი | 1:1 |
| ჩესტერფილდი-როტერჰემი | 0:1 |
| დაგენჰემი-ნოტსი | 0:3 |
| დარლინგტონი-ნორთჰემპტონი | 1:2 |
| მაკლსფილდი-მორეკამბი | 2:2 |
| როჩდეილი-პორტ ვეილი | 0:0 |
| **კონფერენსი** | |
| გეიტშიდი-კეტერინგი | 0:2 |
| ჰეიესი-ფორესტ გრინი | 2:3 |
| კიდერმინსტერი-გრეისი | 4:1 |
| რაშდენი-რექსჰემი | 0:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| რომა-კატანია | 1:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ოსერი-სედანი | 1:1 პენ. 3:0 |
| ვანი-გრენობლი | 2:2 დ.დ. 4:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი. 1/4 ფინალი** | |
| ლე მანი-ბორდო | 2:3 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩი** | |
| სერკლი-ანდერლეხტი | 1:0 (1:2) |
| **შოტლანდია** | |
| ჰემილტონი-კილმარნოკი | 0:0 |
| **III დივიზიონი** | |
| ლივინგსტონი-ელჯინი | 1:0 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| სტენჰაუზ.-დანფერმლ. | 1:1 დ.დ. 1:2 |
| **თურქეთის თასი** | |
| ალთაი-ანთალია | 0:0 |
| ესქისეჰირი-თოძათი | 1:2 |
| ბეშიქთაში-ქონია | 4:2 |
| ქასიმფაშა-ბუიუქსეჰირი | 0:2 |
| **უელსი** | |
| ებერისთვითი-ნითი | 1:1 |
| რილი-ეირბასი | 2:1 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნი-ველინგტონი | 4:0 |

| მინი-ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| რუსეთი-ესპანეთი | 0:0 |
| პორტუგალია-სერბეთი | 5:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| ნიმბურკი-ცრვენა ზვეზდა | 60:65 |
| გალათასარაი-უნიქსი | 79:85 |
| პანელინიოსი-ბამბერგი | 70:62 |
| ვალენსია-ჰაპოელი (ი) | 75:79 |
| ლე მანი-ალბა | 63:68 |
| ბენეტონი-ბილბაო | 69:76 |
| ხუვენტუდი-არისი | 74:72 |
| გრან კანარია-ტურკ ტელეკ. | 73:65 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ენისეი-როანი | 75:70 |
| ბანვითი-ანტვერპენი | 80:88 |
| ჟელეზნიკი-ერტლანდი | 86:80 |
| აპოელ-სკავოლინი | 70:76 |
| გეტინგენი-აელ | 92:59 |
| ბუდუჩნოსტი-შალონი | 76:79 |
| ლიეჟი-ზაგრები | 79:82 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| რუსეთი-ისლანდია | 30:38 |
| საფრანგეთი-სლოვენია | 37:28 |
| ავსტრია-ხორვატია | 23:26 |
| ესპანეთი-გერმანია | 25:20 |
| დანია-ნორვეგია | 24:23 |
| პოლონეთი-ჩეხეთი | 35:34 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-სპარტაკი | 1:2 |
| ბარისი-ლოკომოტივი | 2:2 |
| ავტომობილ.-მეტალურგი (ნ) | 0:4 |
| მეტალურგი (მ)-ამური | 4:1 |
| ს. იულიაევი-ცსკ | 3:3 |
| ტრაქტორი-სიბირი | 4:1 |
| სევერსტალი-დინამო (რ) | 3:3 |
| სკა-დინამო (მ) | 1:0 |
| ატლანტი-დინამო (მნ) | 3:2 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ზალცბურგი | 3:4 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 3:2 |
| კიოლნი-მანჰაიმი | 5:1 |
| **დანია** | |
| რუნგსტედი-ჰვიდოვრე | 4:0 |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 0:4 |
| ფრედრიკშავნი-როდოვრე | 3:3 |
| ესბერგი-ოდენსე | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-მანგლერუდი | 4:4 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 3:4 |
| ფრისკ ასკერი-სტიორნენი | 4:2 |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 3:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-მიკულაში | 5:3 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ჰპკ | 3:2 |
| იოკერიტი-ესეტი | 3:0 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფერიესტადი | 4:1 |
| ლულეა-ბრიუნასი | 3:3 |
| ტიმრა-ფრიოლუნდა | 2:1 |

**TV პროგრამა**

**27 იანვარი. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-ლივერპული.
12:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
13:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი.
15:30 სინქრონული ცურვა. კანადა.
17:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
18:45 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
19:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ლოს ანჯელესი.
21:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. ცსკა-უნიკახა (LIVE).
23:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი (LIVE).
01:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინგემი.
03:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ანაჰაიმი (LIVE).
06:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
07:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ფულჰემი.
09:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-შტუტგარტი.
11:25 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
11:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-ლივერპული.
13:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
16:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ბარნლი.
18:10 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
18:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-პიტსბურგი.
20:20 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
22:15 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
22:40 Libero.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინგემი (LIVE).
01:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ლოს ანჯელესი.
03:25 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. ცსკა-უნიკახა.
05:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-შტუტგარტი.
06:50 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.

**EUROSPORT**

10:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).
17:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. III დღე. ნიუპორტი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
20:55 ჩოგბურთი. ჟუსტინ ანენი. ტელეჟურნალი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
21:20 მულტისპორტი.
21:25 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ლაიპციგი. გერმანია.
22:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:30 გოლფი. PGA-ის ტური.
23:30 გოლფ-კლუბი.
23:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
23:40 მულტისპორტი.
23:45 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. III დღე. ნიუპორტი (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი.
04:00 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
04:25 ჩოგბურთი. ჟუსტინ ანენი. ტელეჟურნალი.
06:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი. მელბურნი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩოგბურთი.** ავსტრალიის ღია პირველობა



# ნადალმა ცუდად დაამთავრა

მიზეზი ტრავმა არ ყოფილა, უბრალოდ მან ვერ შეძლო კიდევ ერთხელ მაქსიმალური კონცენტრაციით თამაში. ჩინეთმა კი შეიძლება ფანტასტიკურ შედეგს მიაღწიოს. თუ დღეს **ნა ლი ვენუს უილიამსს** მოუგებს, ამ ქვეყანას ნახევარფინალურ ეტაპზე ორი წარმომადგენელი ეყოლება.

გუშინვე ხორვატული სენსაციაც ვიხილეთ. თუმცა ბევრს აღარ უკვირს **მარინ ჩილიჩის** წარმატებები და მისი ნახევარფინალში გასვლა. ხორვატმა ჩოგბურთელმა გუშინ მესამე ხუთსეტიანი მატჩი ჩაატარა ტურნირზე და **ხუან მარტინ დელ პოტროს** ძლევის შემდეგ, ამერიკელი **ენდი როდიკი** გამოთიშა ბრძოლას.

თუმცა წინა წრეში ენდისაც მოუწია ხუთსეტიანი ბრძოლის გადატანა **ფერნანდო გონსალესის** წინააღმდეგ, ასე რომ, დაღლილობა წესით მასაც უნდა დასტყობოდა. შესაძლოა, ამის გამოც როდიკმა პირველი ორი სეტი დათმო, მაგრამ შემდეგ მოახერხა მატჩის ბედის შემობრუნება და პარტიებს შორის ანგარიშის გათანაბრება. მაგრამ ნამდვილი სასწაულის მოსახდენად ამერიკელს ძალა აღარ ეყო. ბოლო პარტიაში მისი მეტოქე უფრო ძლიერი გახლდათ - ბრეიკი გააკეთა და თავისი მოწოდება შეინარჩუნა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩილიჩი პირველი ხორვატი მამაკაცია, ვინც ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა.

დღის ბოლოს კი მაყურებელს მთავარი მატჩი ელოდა, რომელიც არამარტო მეოთხედფინალის, არამედ მთელი ტურნირის მშვენება უნდა გამხდარიყო. რაფაელ ნადალი ენდი მიურეის ხვდებოდა. მათ უნდა გაერკვიათ, რომლის კონტრშეტევითი ჩოგბურთია მელბურნში უფრო კარგი.

მართალია, მელბურნში ამ დროისთვის უჩვეულო გრილი და ღრუბლიანი ამინდია, მაგრამ „მელბურნ პარკზე" სულ უფრო მატულობს დუღილის ტემპერატურა. გუშინ ავსტრალიის ღიაზე ნახევარფინალური ეტაპი დაიწყო და ქალთა ტურნირი რუსი ჩოგბურთელების გარეშე დარჩა. გუშინვე გაიმართა სუპერმატჩი - **ენდი მიურეი რაფაელ ნადალის** წინააღმდეგ.

პირველები კორტზე **ჟუსტინ ანენი** და **ნადეჟდა პეტროვა** გავიდნენ. რუსმა ამ ტურნირზე ერთ-ერთი მთავარი სენსაცია მოახდინა, როცა მესამე წრეში მეორე ბელგიელი - **კიმ კლაისტერსი** გაანადგურა. ასე რომ, ამ მატჩში ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

პეტროვამ მართლაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია ანენს, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში აშკარად ჩანდა, რომ ნადია კლასით უფრო დაბალი მოთამაშეა და მას ჟუსტინის დამარცხების არც ისე დიდი შანსი ჰქონდა. ბელგიელს შეეძლო ნებისმიერ მომენტში მოემატებინა თამაშისთვის.

არადა, ბელგიელმა თავისი მოწოდებების მხოლოდ ნახევარი მოახვედრა მიზანში და გადამწყვეტ მომენტებში მაინც აშკარა უპირატესობას ფლობდა. შეიძლება იმიტომაც, რომ პირველი მოწოდება არც რუსს წაუვიდა, თუმცა შვიდ ეისს მაინც მოუყარა თავი. ანენს სულ 12 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა მატჩში, რომელთაგანაც ხუთი გამოიყენა. ბელგიელმა მხოლოდ მეორე სეტის დასაწყისი ჩააგდო, როცა ზედიზედ სამი გეიმი დათმო, მაგრამ სულ მალე გამოასწორა სიტუაცია.

ამ შეხვედრის შემდეგ რუსების ერთადერთ იმედად **მარია კირილენკო** რჩებოდა, რომელმაც მანამდე **მარია შარაპოვასა** და **დინარა საფინას** ბარიერი გაიარა. მას მეტოქედ ჩინელი **ჟიე ჟენგი** ჰყავდა.

აზიელი ამჯერადაც მეტად კონცენტრირებული იყო და არნახულ შედეგს მიაღწია - „დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. ამაში მას მეტოქეც დაეხმარა, რადგან უამრავი შეცდომა დაუშვა, ეს კი სტაბილურად და საიმედოდ მოთამაშე ჩინელის წინააღმდეგ დამღუპველი აღმოჩნდა.

ჩაგდებული პირველი სეტის (1:6) შემდეგ რუსმა ჩოგბურთელმა სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო, რადგან ზურგის ტკივილმა შეაწუხა. ასეა თუ ისე, მარიას დამარცხების მთავარი

პირველი სეტის დასაწყისი ქალთა ჩოგბურთს მოგაგონებდათ, რადგან ჩოგბურთელებს უჭირდათ საკუთარი მოწოდებების მოგება. ამის გამო მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, შემდეგ კი მიურეიმ 0:40-დან გადაარჩინა საკუთარი გეიმი. ამის შემდეგ, ბრეიკი მხოლოდ ბრიტანელმა აილო და ამის ხარჯზე შეძლო პირველი სეტის მოგება.

მეორე პარტიაში ესპანელი 4:2 დაწინაურდა, მაგრამ პირველ რიგში, რითაც ის გუშინ ენდის ჩამორჩებოდა, სტაბილურობა იყო. რაფამ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ბრიტანელი შეუჩერებელი იყო - 6:1-ზე ხუთი სეტ-ბოლი მიალო და შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მესამე სეტის დაწყებიდან ერთი გეიმი იყო გასული, როცა მოქმედმა ჩემპიონმა ნადალმა სამედიცინო ტაიმ-აუტი აილო. ესპანელს მუხლის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. თამაშის განახლებისთანავე ნადალმა საკუთარი მოწოდება წააგო, შემდეგ საპასუხო ბრეიკის გაკეთება ვერ შეძლო და 0:3-ზე შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ასე რომ, გუშინდელი მატჩების შემდეგ ჩამოყალიბდა თითო ნახევარფინალური წყვილები შედგა კაცებისა და ქალების ბადეში: ენდი მიურეი-მარინ ჩილიჩი, ჟუსტინ ანენი-ჟიე ჟენგი.

**1/4 ფინალი**

**კაცები**

**მარინ ჩილიჩი (ხორ, 14)**-ენდი როდიკი (აშშ, 7) 7:6(4), 6:3, 3:6, 2:6, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 5)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:3, 7:6(2), 3:0 ნადალის უარი.

**ქალები**

**ჟუსტინ ანენი (ბელ)**-ნადია პეტროვა (რუს, 19) 7:6(3), 7:5; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-მარია კირილენკო (რუს) 6:1, 6:3.

კრივი



# ჩემპიონმა ქალი მოკლა

## კლიჩკო 20 მარტს იჩხუბებს, ჰეი 3 აპრილს

პირველ მჩატე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ხორხე ბარიოსი** სერიოზული ავარიის მოწყობაშია დადანაშაულებული. ამ ინციდენტის გამო ფეხმძიმე გოგონა დაიღუპა.

ტრაგედია ქალაქ მარ-ელ-პლატის სამხრეთით მოხდა. მოკრივე საკუთარი BMW-ს საჭესთან იჯდა. გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალმა საჭე ვერ დაიმორჩილა და შუქნიშანთან გაჩერებულ „ფიატს" შეეჯახა. მანქანა ტროტუარზე ავარდა და შვიდი ფეხით მოსიარულე დააზიანა. მათ შორის ოთხი მძიმე ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, ერთ-ერთი - 20 წლის **ვანესა გონსალესი** გარდაიცვალა. ის შვიდი თვის ფეხმძიმე იყო.

თავიდან ბარიოსმა სწრაფად დატოვა ავარიის ადგილი, მაგრამ ხუთი საათის შემდეგ ადვოკატთან ერთად პოლიციაში გამოცხადდა. მის მანქანაში სპირტიანი სასმელის ბოთლი იპოვეს. თუ დამტკიცდება, რომ მოკრივემ ავარია ნასვამ მდგომარეობაში მოახდინა, მაშინ მას რვიდან 15-წლამდე პატიმრობა ელის.

33 წლის ხოსე როდრიგო ბარიოსი 2005-06 წლებში WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი იყო. ბოლო ბრძოლა მან გასული წლის ნოემბერში ჩაატარა.

ბარიოსს კანონთან პრობლემები ადრეც ჰქონია. ორი თვის წინ ის კიკბოქსინგის ჩემპიონთან **ხორხე კალისთან** ჩხუბისთვის დააპატიმრეს. კონფლიქტი სატელევიზიო გადაცემის დასრულების შემდეგ მოხდა, რომელშიც სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას.

■ ■ ■

ოფიციალურად დადასტურდა, რომ უკრაინელი მძიმეწონოსანი **ვლადიმირ კლიჩკო** WBO-ის ვერსიით საჩემპიონო ტიტულს ამერიკელ **ედი ჩემბერსთან** ბრძოლაში დაიცავს.

ბრძოლის თარიღად 20 მარტია გამოცხადებული. მოკრივეები ერთმანეთს დიუსელდორფში სტადიონ Espit Arena-ზე შეხვდებიან, რომელიც 51 ათას მაყურებელს იტევს.

*„ბრძოლა გიგანტურ სტადიონზე გაიმართება და მოუთმენლად ველი 20 მარტის დადგომას,* - ამბობს ვლადიმირ კლიჩკო. - *ძლიერი მეტოქე მყავს. ჩემბერსი დღეს ამერიკის საუკეთესო მძიმეწონოსანია და შემთხვევით არ იკავებს ასეთ მაღალ ადგილს რეიტინგში".*

*„მესმის, რომ კლიჩკო ამ ბრძოლაში ფავორიტად მიიჩნევა, მაგრამ ვიცი, როგორ დავბრუნდე შინ გამარჯვებული",* - აცხადებს პრეტენდენტი მოკრივე.

ასევე ოფიციალურად გახდა ცნობილი WBA-ის ჩემპიონის, ბრიტანელი **დევიდ ჰეისა** და 38 წლის ამერიკელი **ჯონ რუისის** შეხვედრის თარილი. სატიტულო ბრძოლა 3 აპრილს, მანჩესტერის Men Arena-ზე გაიმართება.

გოლფი

# ტაიგერის მე-19 საყვარელი

**ბოლო** არ უჩანს ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტის **ტაიგერ ვუდსის** სექსუალურ სკანდალს. ბრიტანულმა ტაბლოიდმა The News of The World-მა მილიარდერი სპორტსმენის რიგით მე-19 საყვარელი აღმოაჩინა. ეს გახლავთ ორი შვილის დედა, 42 წლის **ემა როტერჰემი**, რომელთანაც ტაიგერს 18 თვის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სკანდალის ატეხვის შემდეგ ვუდსმა დაახლოებით 500 ათასი დოლარი გადაუხადა ემას დუმილისთვის. მაგრამ ქალმა ვუდსი „გადააგდო".

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



